საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№44 (562)
2 - 8 დეკემბერი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## ტრამპი მიდის, ჯობამა მოდის

9

## კარგად გაერკვიეთ, ვინ დგას დამთავრების გზაზე

3



## მადლობა საკუთარ პარტიასა და პირადად ივანიშვილს უთხარით!



ნანა კაკაბაძე:

## თუ ოდესმე ნორმალური ხელისუფლება გვეყოლება, აუცილებლად გაასამართლებს როგორც «ნაცმოძრაობას», ისე მისი დანაშაულების დამფარავ «ოცნებას»

5



თემურ ფიფია:

## საქართველოში მუშაობს სისტემა, რომელიც აუბედურებს ზურაბაშვილის მსგავს ასიათასობით ადამიანს

4



გულბაათ რცხილაძე:

## სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვისწავლეთ ცივილიზაციური კატეგორიებით აზროვნება, ჩვენ ისევ ვიწრო გაგების ნაციონალისტები ვართ

2

## დაანახვონ ალიევს ქართული ეკლესიების მდგომარეობა ჰერეთში და მერე ის მოასმენინონ, რასაც ყარაბაღში გაიძახის

8



## როგორი იყო ილია ჭავჭავაძის საბანკო პოლიტიკა, როცა საქართველოში ფეხს იდგამდა საბანკო სისტემა

18



## ჩინეთმა თავისი სამომავლო კლასტერი შემოსაზღვრა

10



## ინგლისელებს მასობრივ გაღარიბებაზე «დატესტავენ»

11



## ამერიკელი მილიარდერების «სიკვდილის ფაბრიკამ» დანაშაული აღიარა

14



თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„შეხედეთ, რა პროცესები მიდის გარშემო — თურქეთი და აზერბაიჯანი აცხადებენ, რომ ერთი ხალხია ორ სახელმწიფოში, ევროკავშირი კულტურულ ერთიანობაზე საუბრობს, რუსეთი თავის გარშემო იკრებს ევრაზიულ ხალხებს. იქ აქცენტი კეთდება მართლმადიდებლობასა და ევრაზიულ, ე.ი. ტრადიციულ ფასეულობებზე... საქართველო სად არის?! საქართველო ამოვარდნილია ყველანაირი კონტექსტიდან. ჩვენ, ფაქტობრივად, ჰაერში ვართ გამოკიდებული, იმიტომ, რომ არსად, არც ერთ გეოპოლიტიკურ კონტექსტსა და კონიუნქტურაში არ განგვიხილავენ“.**



### გულბაათ რცხილაძე:

# სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვისწავლეთ ცივილიზაციური კატეგორიებით აზროვნება, ჩვენ ისევ ვიწრო გაგების ნაციონალისტები ვართ

**რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერმინისტრის სპეციალური წარმომადგენლის — ზურაბ აბაშიძისა და რუსეთის ფედერალური სათათბიროს ფედერალური საბჭოს წევრის — გრიგორი კარასინის ონლაინრეჟიმში გამართულ შეხვედრას 28 ნოემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა. როგორც უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ განცხადებაშია აღნიშნული, მხარეებს შორის საუბარი ძირითადად ორ თემას შეეხო — საჰაერო მიმოსვლის აღდგენასა და კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობას, მათ შორის ადამიანების გატაცებას:**

„მხარეებმა ორ ქვეყანას შორის საჰაერო მიმოსვლის აღდგენის პერსპექტივები განიხილეს, რისი პირობებიც კარგად არის ცნობილი: საქართველოში ანტირუსული გამოხდომების შეწყვეტა და რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა... იმედი გვაქვს, რომ წინასაარჩევნო კამპანიისას რადიკალური წრეების მხრიდან გამოვლენილი რუსოფობიური რიტორიკა წარსულს ჩაბარდება“.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ 2019 წლის 20 ივნისის მოვლენები, რომლებიც თბილისში მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სესიის ფარგლებში რუსეთის დუმის დეპუტატის — სერგეი გავრილოვის ვიზიტს მოჰყვა, გარკვეული დესტრუქციული ძალების მხრიდან ანტირუსული პოლიტიკისა და განწყობების ყველაზე მკაფიო გამოვლინება იყო, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან შესაბამის მიდგომას საჭიროებს (ამის გარეშე უწყება ავიამიმოსვლის აღდგენას შეუძლებლად მიიჩნევს), თუმცა განცხადებაში დაკონკრეტებული არ არის, როდის შეიძლება ქვეყნებს შორის ავიამიმოსვლის აღდგენის პროცესის დაწყება ან რა კეთდება ამ ეტაპზე იმისთვის, რომ ეს პროცესი დაჩქარდეს.

**ცნობისთვის:** ზემოაღნიშნულ განცხადებას საქართველოს ე.წ. პროდასავლურმა ოპოზიციამ (ძირითადად, „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლებმა) პროვოკაციული უწოდეს, რაც, თურმე, ანტიქართული პოლიტიკის კიდევ ერთი ნათელი გამოვლინებაა. თუმცა არანაკლებ მძიმე და მწვავე განცხადებები საქართველოს ხელისუფლების მიმართაც გაკეთდა, რომელთა შორის „რუსეთის აგენტობის“ ტრადიციული ბრალდებაც იყო.

**არის თუ არა დღეს საქართველოში რუსოფობიური განწყობები, რა ძალები ცდილობენ ამ განწყობის შექმნას და რა პერსპექტივა აქვს ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებების აბაშიძე-კარასინის ფორმატს — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე.**

**— ბატონო გულბაათ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ორ ქვეყანას, რუსეთსა და საქართველოს, შორის ავიამიმოსვლის აღდგენის ერთ-ერთი პირობა „საქართველოში რუსოფობიური გამოვლინებების შეწყვეტაა...“ საუბარი იყო, აგრეთვე, ე.წ. გავრილოვის ღამის პროვოკაციაზე და შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე... რა გზავნილია ეს საქართველოსთვის, არის კი აქ რუსოფობიური განწყობები და რა ძალები დგანან ამ ყველაფრის უკან?**

— დავიწყოთ იმით, რომ ეს ყველაფერი უკვე იწვევს ერთგვარი დეჟავიუს განცდას, ვინაიდან მუდმივად მეორდება ერთი და იგივე და შედეგი არის ნული. **აბაშიძე-კარასინის** თუ კარასინი-აბაშიძის ფორმატი რომ ავიღოთ, არაფრის მომცემი ის არ არის, უკვე 4-5 წელია, ერთ ადგილს ტკეპნიან. საერთოდ, ნებისმიერი განცხადება, რომლებიც ამ ფორმატის ფარგლებში კეთდება, იქნება ეს შეხვედრის შემდეგ თუ მანამდე, როგორც რუსები იტყვიან ხოლმე, „მორიგე ფრაზებია“. მორჩა, ამის იქით პროცესი ვერ მიდის, ეს არის ფაქტი. თუმცა ყოველი შეხვედრის შემდეგ აქ იწყება ერთგვარი პოლიტიკური ფუსფუსი. გამოდის ბატონი აბაშიძე და ისე ლაპარაკობს, თითქოს გმირია, თითქოს პრინციპულად დასვა რაღაც საკითხები და ა.შ. რატომ, ვის, ან რაზე ელაპარაკება, გაუგებარია. ორ-სამ თვეში ერთხელ ეს ფორმატი თავს გვახსენებს, ოღონდ სიახლეებით კი არა, ძველი ტექსტებით, რომლებიც შეიძლება, სადღაც კომპიუტერში აქვთ დამახსოვრებული და შეხვედრების შემდეგ მცირე ცვლილებით ავრცელებენ. რაც შეეხება ავიამიმოსვლას, ამან თითქმის აზრი დაკარგა. ტურიზმი ამ პანდემიის გამო წელში გაწყდა და დიდი ხნით ველარ აღდგება ძველი სიმძლავრით... სხვათა შორის, არ მინდა, თემას გადავუხვიო, მაგრამ აქვე მოკლედ შევეხები ერთ ძალიან მნიშვნელოვან საკითხს, რომელზეც ჩვენი ე.წ. პროდასავლური პოლიტიკური სპექტრი და მედიასაშუალებები ყურადღებას არ ამახვილებენ. **ახლახან ძალაში შევიდა შეთანხმება ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში შემავალი ქვეყნების მოქალაქეების — შრომით მიგრანტების — საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც, ფაქტობრივად, ისტორიული შეთანხმებაა ამ კავშირის წევრი ქვეყნებისთვის.** კერძოდ, რას გულისხმობს ის? — **ვთქვათ, ერთი ქვეყნის, მაგალითად, ყირგიზეთის მოქალაქე ლეგალურად მუშაობს ევრაზიის კავშირის წევრ მეორე ქვეყანაში, ვთქვათ, რუსეთში და იხდის გადასახადებს, რომლებშიც, ბუნებრივია, საპენსიო შენატანებიც არის, სულ ცოტა, ერთწლიანი სტაჟის. საპენსიო ასაკში მას უფლება აქვს, მოითხოვოს რუსული პენსია. ხვდებით, რაზეა საუბარი?! ამ პირს თავის ქვეყანაში ნამუშევარი სტაჟიც ეთვლება და ორმაგ პენსიას იღებს...** ჩნდება შეკითხვა — სანამ ჩვენ ევროკავშირში შესვლას ველოდებით და გვაქვს იმედი, რომ ჩვენი მოქალაქეები იქ ლეგალურად შეძლებენ მუშაობას, რაც, რა თქმა უნდა, სრული ილუზიაა, **ხომ არ ჯობია, ცოტა გვერდითაც გავიხედოთ და ვიფიქროთ ამ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში ინტეგრაციაზე?**

**— გახსოვთ, ალბათ, ივანიშვილმა დაახლოებით ერთი წლის წინათ რომ განაცხადა: 2 მილიონ სამუშაო ადგილს საქართველოს ეკონომიკა ვერც 10 და ვერც 20 წელიწადში ვერ შექმნის, ამიტომ ხალხი საზღვარგარეთ უნდა წავიდეს სამუშაოდ, ზოგი ქუთაისში იმუშავებს, ზოგი — მიუნხენშიო...**

— მიუნხენში, დიდი ბოდიში, ვერ იმუშავებ... ამას წინათ საკუთარი თვალით ვნახე, რა დღეშია ხალხი გერმანიის საელჩოსთან, სადაც რიგი იდგა გაუბედურებული ახალგაზრდების და თითქმის ყველა ცივი უარით გამოისტუმრეს — ატირებული გოგონები, დალონებული ბიჭი... არაფერს ვამბობ იმაზე, რომ რიგში, ფაქტობრივად, ვერ ჩადგები, საათობით უნდა იჯდე კომპიუტერთან და აწკაპუნო, რომ გაჭირვებით დარეგისტრირდე... ეს, პრაქტიკულად, არის ადამიანების წვალება და უმეტეს შემთხვევაში მთავრდება საკონსულოს უარით. გამომდინარე აქედან, **ბატონ ივანიშვილს ტყუილად აქვს იმედი, რომ ევროპასთან რაღაც შეთანხმებას მიაღწევს და, აქ თუ ვერ შექმნის სამუშაო ადგილებს, მოქალაქეების რაღაც ნაწილი ევროპაში დასაქმდება.** ჩვენი ხალხი იქ არალეგალები არიან და მათი ბედი ბეწვზე კიდია. ახლახან სტამბოლის აეროპორტშიც ვნახე უამრავი ქართველი, რომელიც იძულებით ბრუნდებოდა ევროპიდან უკან, საქართველოში. **რაც შეეხება ისევ რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას და იმას, რომ საქართველოსთვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ვფიქრობ, ამ ყველაფრის დანახვას არ სჭირდება არც კარასინი და არც აბაშიძე, სჭირდება ნორმალურად მოაზროვნე მთავრობა, რომელიც არ გვყავს და, როგორც ჩანს, არც გვეყოლება...**

**— ამ ყველაფრის ფონზე, რა მომავალი აქვს საქართველოს? რას მოიტანს ის პოლიტიკა, რომელსაც დღეს ატარებს ქვეყანა?**

— არაერთხელ ვთქვი თქვენი გაზეთის მეშვეობით და კიდევ გავიმეორებ, რომ **ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ ჩვენი ქვეყნის მომავალს. ჩვენი ხალხი გადაშენებისთვისაა განწირული. ალბათ, 30-40 წელი დასჭირდება ამას...** არ მინდა ვთქვა, მაგრამ, ვფიქრობ, **აქ არაფერი გამოვა, თუ არ დამკვიდრდება სერიოზული ავტორიტარული სისტემა. შეიძლება, დიქტატურაც იყოს საჭირო, მაგრამ ეს, ალბათ, არ არის რეალური, იმიტომ, რომ დღეს ჩვენ არც სამხედრო და არც არანაირი ელიტა არ გვყავს. დღეს ყველა არის ჩარჩი, ვაჭარი, მედროვე და აფერისტი. არაფერს ვამბობ ცინიზმით სავსე მუცლით მეზღაპრეებზე, რომლებსაც რატომღაც პოლიტიკოსები შეარქვეს.**

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვისწავლეთ ცივილიზაციური კატეგორიებით აზროვნება, ჩვენ ისევ ვართ ვიწრო გაგების ნაციონალისტები. შეხედეთ, რა პროცესები მიდის გარშემო — **თურქეთი და აზერბაიჯანი აცხადებენ, რომ ერთი ხალხია ორ სახელმწიფოში (ე.ი. გაერთიანებისკენ ისწრაფვიან და ვინ ჰყავთ გაჩხერილი შუაში?), ევროკავშირი კულტურულ ერთიანობაზე საუბრობს, რუსეთი თავის გარშემო იკრებს ევრაზიულ ხალხებს. იქ აქცენტი კეთდება მართლმადიდებლობასა და ევრაზიულ, ე.ი. ტრადიციულ ფასეულობებზე... საქართველო სად არის?!** საქართველო ამოვარდნილია ყველანაირი კონტექსტიდან, ჩვენ, ფაქტობრივად, ჰაერში ვართ გამოკიდებული, იმიტომ რომ არსად, არც ერთ გეოპოლიტიკურ კონტექსტსა და კონიუნქტურაში არ განგვიხილავენ...

**— ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვაზე რას იტყვით? ხელისუფლების მიერ დეკლარირებული კურსის თანახმად ხომ მთავარი ორიენტირი ეს არის? სხვათა შორის, ამ კონტექსტში დღეს „პროდასავლური“ პოლიტიკური ძალები გარკვეულ იმედებს ბაიდენზე ამყარებენ. მიაჩნიათ, რომ ახალი ადმინისტრაცია, ტრამპისგან განსხვავებით, მეტს გააკეთებს რუსეთის გავლენების შესამცირებლად სამხრეთ კავკასიაში...**

— ვფიქრობ, ის აჟიოტაჟი, რომელიც ამერიკის არჩევნების გამო ატყდა ჩვენს საზოგადოებაში, ვგულისხმობ, როგორც ბაიდენის ქომაგებს, ისე „ტრამპომანებს“, რომელმაც სოციალური ქსელები ააფეთქა, ერთი დიდი ტრაგიკომედიაა. **დაწყნარდით, მეგობრებო, არც ბაიდენის მოსვლა მოასწავებს ჩვენთვის რამე განსაკუთრებულს და არც ტრამპის წასვლა, ვინაიდან ის სისტემა, რომელშიც ჩვენ ვართ მოყოლილი, არ იცვლება. არც ტრამპის და არც ბაიდენის შემთხვევაში საქართველო არ იქნება ინტეგრირებული ნატოში, ისევე, როგორც არ იქნება ევროკავშირში და ცხოვრების პირობები არ გაუმჯობესდება.** რაც შეეხება იმას, რომ აქ პერიოდულად შემოდიან ამერიკელი სამხედროები, მათ შორის სამხედრო გემები და გარკვეულ მოქმედებებს ახორციელებენ, ვფიქრობ, ამის გამო ატეხილი აჟიოტაჟი და შეფასებები, რომ თურმე ამით ნატო რაღაც უპრეცენდენტო მხარდაჭერას გვიდასტურებს, ჩვეულებრივი პოლიტიკური პერფორმანსია. შემოვიდა და რა, ამით ჩვენ რამე მოგვემატა?! დარჩება რამდენიმე დღე, იტრიალებს და, როგორცაა გათვალისწინებული შესაბამისი საერთაშორისო კონვენციით, გავა ისევ უკან. აი, ეს არის რეალობა, რომელიც არ იცვლება და ვერც შეიცვლება. ისე, არც მოლოდინით შავდება მაინცდამაინც რამე, არც ოცნებით, მაგრამ ქვეყანა პირისპირ დგას მწარე სინამდვილის წინაშე: **ამ რეალობითა და მოცემულობით საქართველოს მომავალი ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა, ამ რეალობით საქართველო, ფაქტობრივად, უმომავლო ქვეყანაა, განსხვავებით რეგიონის სხვა სახელმწიფოებისგან, რომლებმაც ასე თუ ისე იპოვეს თავიანთი ადგილი და როლი მსოფლიო გეოპოლიტიკურ კონტექსტში.**

**«ამ რეალობითა და მოცემულობით საქართველოს მომავალი ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა, ამ რეალობით საქართველო, ფაქტობრივად, უმომავლო ქვეყანაა, განსხვავებით რეგიონის სხვა სახელმწიფოებისგან, რომლებმაც ასე თუ ისე იპოვეს თავიანთი ადგილი და როლი მსოფლიო გეოპოლიტიკურ კონტექსტში»**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**კეთილი ინებეთ, ბატონებო, პოზიციამაც და ოპოზიციამაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება მოიხსენით და, თუ მე, რიგით ამომრჩეველს, დამარწმუნებთ, რომ თქვენი პროგრამა საუკეთესოა, თანხას შემოგწირავთ და იმით იარსებეთ; თუ ვერ დამარწმუნებთ — არ შემოგწირავთ, ე.ი., თქვენი არ მჯერა, არ მინდიხართ ხელისუფლებაში და ბიუჯეტიდან რატომ მართმევ ჩემ მიერ გადახდილ თანხას?**

ლიბერალიზმის სახელით

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კარგად გაერკვიეთ, ვინ დგას დამთავრების გზაზე

## მადლობა საკუთარ პარტიასა და პირადად ივანიშვილს უთხარით!

**საქართველო, უკვე მერამდენე წელიწადია, არჩევნებიდან არჩევნებამდე ცხოვრობს. შემდეგ, წესისამებრ, იწყება წაგებული მხარის პროტესტი, რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის მოთხოვნა, ევროპის ქვეყნებისა თუ ამერიკის ელჩების რეზიდენციებში სირბილი, არიქა, მხარი დაგვიჭირეთ, ესენი თქვენს მითითებებს არ ასრულებენ, ჩვენ უკეთ შევასრულებთო (თავისი უკეთესობა რამეთი ხომ უნდა დაასაბუთონ) და არავის, აბსოლუტურად არავის არ ახსოვს რიგითი მოქალაქეები; ის ადამიანები, რომლებიც არჩევნებზე მივიდნენ და ხმა მისცეს. მათგან ზოგმა ფული აიღო (ზოგმა ორივე მხარისგან), ზოგმა სამსახურის დაკარგვის შიშით გააკეთა არჩევანი, ზოგმაც კი ალალად, ქვეყნის მომავლის იმედით, საკუთარი შეხედულებისამებრ შემოხაზა ესა თუ ის პარტია.**

გამონაკლისი არც ეს არჩევნებია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ოპოზიციას ჯიუტად სურს ხელისუფლების სათავეში მოსვლა. მთავარი მიზეზი ამისა, რასაც კულუარულად ასახელებენ, არის ის, რომ „დემოკრატიულ" სახელმწიფოში რვა წლის შემდეგ აუცილებლად უნდა შეიცვალოს ხელისუფლება. თურმე სწორედ ამ საბაბით გაუშვეს 2012 წელს **სააკაშვილი** და ახლა კეთილი ინებოს „ოცნებამ" და ისიც წავიდესო. სხვათა შორის, **არავინ ამბობს, რომ არჩევნები 2012 წელსაც გაყალბდა და რეალურად „ოცნებას" გაცილებით მეტმა ადამიანმა დაუჭირა მხარი, მაგრამ გამარჯვებული გუნდი ბოლომდე არ მიჰყვა ამ ამბავს. არადა, მათ ადგილას სააკაშვილი რომ ყოფილიყო, გამარჯვების შემთხვევაშიც კი ხმების გადათვლას და ხელახალ არჩევნებს მოითხოვდა, უფრო მსუყე ნაჭერი რომ რგებოდა.** არჩევნებში მარცხის აღიარება კიდევ სააკაშვილს და, შესაბამისად, „ნაციონალურ მოძრაობას" არ სურთ. ჰო, სწორედ მათ, თორემ დანარჩენმა პარტიებმა ხმების ძალიან ცოტა რაოდენობა აიღეს, მაგრამ ლოკომოტივად სწორედ ნაციონალები აირჩიეს, ვაგონებად ჩაებნენ და, ხრამში რომ გადაიჩეხონ, თანახმანი არიან. აი, **ნაციონალებს ნებისმიერ ფასად სურთ ხელისუფლების სათავეში დაბრუნება და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, იმაზე მეტს იკადრებენ, ვიდრე თავის დროზე, ოღონდ ამჯერად უკეთესად შეფუთავენ, მაქსიმალურად გაცხრილავენ რიგებს, დააბრუნებენ ახალაიებს, დააბრუნებენ მუხაძეს, ადეიშვილსა და ყველას, ვინც მაშინ ეს სისტემა შექმნა, ეს დღევანდელი ოპოზიცია კი ხელის ბიჭად ეყოლება მიშას.**

დასავლეთმა რიგგარეშე არჩევნებს მხარი საჯაროდ არ დაუჭირა. ევროკავშირმა აღიარა და ამერიკის ელჩმაც (სახდეპიდან ცერად როცა გამოხედეს, მერე) სახალხოდ თქვა: არჩევნები ხარვეზებით, მაგრამ, საბოლოო ჯამში, სამართლიანად ჩატარდაო, მაგრამ რეალურად სხვა სურათი გვაქვს...

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი **კელი დეგნანი ჯო ბაიდენის** ბანაკს ეკუთვნის, ე.ი., პირწავარდნილი ლიბერალია და **ერთი სული ჰქონდა, დონალდ ტრამპს არჩევნები წაეგო; იმ ტრამპს, რომელმაც გაეროს ტრიბუნიდან თქვა: ამერიკა არავის აღარ ასწავლის, როგორ იცხოვროსო, და სურდა, მოეგო იმ ბაიედენს, რომელმაც უკვე აღნიშნა: ამერიკა დაბრუნდა და მზად არის, მსოფლიოს უხელმძღვანელოსო.** სწორედ დეგნანის სიჯიუტისა და კატეგორიული მოთხოვნის ბრალია ის, რომ კონსტიტუცია შევცვალეთ და შევცვალეთ ისე, რომ ნებისმიერ მომენტში, არჩევნების შემდეგ, იგივე ამერიკა შედეგს, საიდანაც სურს, იქიდან მოაბამს ყურს. რიგითი ადამიანების ასმა პროცენტმა დღემდე ვერ გაიგო, რა სისტემით ითვლება პროპორციული ხმები და რას ნიშნავს ე.წ. ჩამკეტი, რომლის შედეგადაც „ოცნების" სიით გასულ 61 დეპუტატს ერთი დეპუტატი „ჩამოეჭრა" და მხოლოდ 60 შერჩა. სამაგიეროდ, „ნაციონალური მოძრაობაა" წარმოდგენილი 36 დეპუტატით და ამ რეალობას 2012 წელს ყველაზე თამამ სიზმარშიც კი ვერ ნახავდნენ ნაციონალები.

ოპოზიციის წარმომადგენლებთან ერთობლივი შეხვედრების შემდეგ ამერიკის ელჩი ლიდერებს ამჯერად ცალ-ცალკე ხვდება. როგორც გვითხრეს, **ელჩის რეზიდენციაში შესულ ოპოზიციონერ ლიდერებს თხემით ტერფამდე ჩხრეკენ, მეტალოდეტექტორზე ატარებენ და ეს მხოლოდ იმიტომ, ვინმემ ჩამწერი მოწყობილობა არ შეიტანოს** და მერე ხმაური არ ატეხოს: აგერ, ბატონო, ქალბატონი კელი რეალურად ჩვენ გვიჭერს მხარს და მხოლოდ იმას ელოდება, ბაიდენმა ოფიციალურად მოირგოს პრეზიდენტის სავარძელი, მერე არც რიგგარეშე არჩევნებია შორსო.

**სწორედ ბაიდენის ამერიკა ცდილობს, პარლამენტში მხოლოდ „ქართული ოცნება" დატოვოს, რომ შემდეგ რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შესაძლებლობა ჰქონდეს. ეს ამერიკა საჯაროდ მხარს უჭერს ჩატარებულ არჩევნებს, კულუარულად კი...**

დაზუსტებული ინფორმაციით, **„ოცნების" ლიდერები იმ ადამიანებთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, რომლებიც ოპოზიციური პარტიების საპარლამენტო სიის ქვედა ნაწილში არიან. თუ ლიდერები უარს იტყოდნენ შესვლაზე, სიით მომდევნო ნომერსაც უარი უნდა ეთქვა და, როგორც გვითხრეს, არაერთი მათგანი პარლამენტში შესვლას დათანხმდა. ინფორმაციამ გაჟონა და ეხლა ალაპარაკდნენ, რომ ოპოზიციური პარტიები საპარლამენტო სიის განულებას აპირებენ, მაგრამ ეს (და არც სინდისი) სრულებით არ უშლით ხელს საბიუჯეტო დაფინანსების მიღებაში.** ჰო, ათეულობით მილიონი ლარი ოპოზიციური პარტიების ანგარიშზე ყოველწლიურად უნდა დაირიცხოს და, თუ ვინმეს ჰგონია, რომ მანდატზე უარის თქმის შემთხვევაში ისინი მშიერი დარჩებიან, ნურას უკაცრავად. ისევ მიიღებს **გრიგოლ ვაშაძე** პარტიის თავმჯდომარეობისთვის თვეში 5 ათას ლარს, ამდენივეს — **შალვა ნათელაშვილი,** იქით კიდევ სხვები და... პარტიის ქვედა რგოლი არც არავის აინტერესებდა და არც დააინტერესებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ადამიანებთან შეუთანხმებლად არ გადაწყვეტდნენ სიის განულებას. **არც ჩვენ გვეკითხებიან, გვსურს თუ არა ბოიკოტის რეჟიმში მყოფი ოპოზიციის დაფინანსება ბიუჯეტიდან და, საზოგადოდ, გვსურს თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტის ფულით პარტიების დაფინანსება. კეთილი ინებეთ, ბატონებო, პოზიციამაც და ოპოზიციამაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება მოიხსენით და, თუ მე, რიგით ამომრჩეველს, დამარწმუნებთ, რომ თქვენი პროგრამა საუკეთესოა, თანხას შემოგწირავთ და იმით იარსებეთ; თუ ვერ დამარწმუნებთ — არ შემოგწირავთ, ე.ი., თქვენი არ მჯერა, არ მინდიხართ ხელისუფლებაში და ბიუჯეტიდან რატომ მართმევ ჩემ მიერ გადახდილ თანხას?**



**რამდენიც უნდა მოიტყუონ ახლა თავი «ოცნების» მხარდამჭერებმა, — გახარია დაჰპირდა და დაამთავრა ნაციონალებიო, — მაგრამ რეალობა სხვაგვარია: თუ წინა პარლამენტში ნაცებს 7 დეპუტატი ჰყავდათ, ახლა 36 ჰყავთ და ამას დამთავრებას ეძახით?! თქვენ რამდენი დეპუტატი გყავდათ წინა პარლამენტში და რამდენი გყავთ ახლა? კარგად გაერკვიეთ, ვინ დგას დამთავრების გზაზე და ვინ — აღმავლობის. როცა გაერკვევით, მადლობა საკუთარ პარტიას და პირადად ივანიშვილს უთხარით, ეს მთლიანად და მარტო მათი დამსახურებაა**



ფაქტია, რომ თუ ტრამპი დამარცხდა, ამერიკაში ლიბერალიზმი გაიმარჯვებს და, ვისაც სჯერა, რომ ლიბერალები 80 წელს მიღწეულ ბაიდენს საკვანძო გადაწყვეტილებების მიღებას დაანებებენ, ძალიან ცდება. სწორედ ლიბერალიზმის სახელით გამოუყვანენ წირვას საქართველოს მსგავს ქვეყნებს -მათი პროექტით, ქვეყნებმა 10 მლნ-ზე ნაკლები მოსახლეობით საერთოდ აღარ უნდა იარსებონ. კიდევ ვიმეორებთ: **იმის მიუხედავად, რომ კელი დეგნანი საქართველოში სწორედ ტრამპის დანიშნულია, ის არ მალავდა ლიბერალური ბანაკისადმი კეთილგანწყობას და მას მხარს დაუფარავად უჭერდა.** ისიც გემახსოვრებათ, ნაციონალების ზეობის პერიოდში როგორი დამოკიდებულება ჰქონდა **მიხეილ სააკაშვილს** ბაიდენთან და ლიბერალური იდეების გატარების გამო როგორ უკმევდნენ გუნდრუკს ამერიკელები მიშას. სწორედ იმხანად მომწიფდა იდეა, შეემუშავებინათ კანონპროექტი საქართველოში ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინების ლეგაზაციის შესახებ, მაგრამ კანონპროექტი ვერ გავიდა. და ვერ გავიდა ერთადერთი მიზეზით — ხელისუფლება შეიცვალა და ახლებს ეყოთ ჭკუა, საშვილიშვილოდ არ მოეჭრათ თავი. აი, ნაციონალებს კი თავიც მოჭრილი ჰქონდათ და სირცხვილიც სულაც არ აწუხებდათ იმის გამო, რასაც 9 წლის განმავლობაში ჩაიდინეს, მაგრამ ამ არჩევნებზე ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი მაინც მიიმხრეს. რამდენიც უნდა მოიტყუონ ახლა თავი „ოცნების" მხარდამჭერებმა, — **გახარია** დაჰპირდა და დაამთავრა ნაციონალებიო, მაგრამ რეალობა სხვაგვარია: **თუ წინა პარლამენტში ნაცებს 7 დეპუტატი ჰყავდათ, ახლა 36 ჰყავთ და ამას დამთავრებას ეძახით?! თქვენ რამდენი დეპუტატი გყავდათ წინა პარლამენტში და რამდენი გყავთ ახლა? კარგად გაერკვიეთ, ვინ დგას დამთავრების გზაზე და ვინ — აღმავლობის. როცა გაერკვევით, მადლობა საკუთარ პარტიას და პირადად ივანიშვილს უთხარით, ეს მთლიანად და მარტო მათი დამსახურებაა.**

ისიც ხომ ფაქტია, რომ ამიერკავკასიის რეგიონის სახელმწიფოებიდან ყველაზე მეტი ლგბტ თემის წარმომადგენელი სწორედ ჩვენს ქვეყანაშია, ყველაზე მეტად ჩვენ ვიცავთ მათ უფლებებს და მხოლოდ საქართველოში ბედავენ აღლუმის ჩატარებაზე პრეტენზიის გამოთქმას. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ეს ფრთა სამომავლოდ უფრო გაძლიერდება და ტრამპის პრეზიდენტობის 4-წლიანი ამოსუნთქვის პერიოდი ძმრად ამოგვივა ყველას.** ჰო, ჩვენ წინააღმდეგი ვართ ლგბტ პროპაგანდის, წინააღმდეგი ვართ მათი აღლუმების და ამის უფლება გვაქვს. უბედურება ის არის, რომ ამ უფლებას გვართმევენ, არ გვიტოვებენ და, თუ აგრესიაზეა საუბარი, ყველაზე აგრესიულები სწორედ ე.წ. ლიბერალები არიან. **ლიბერალიზმის სახელით გადაწვეს ნახევარი ამერიკა, ლიბერალიზმის სახელით უტევენ ტრამპს და ლიბერალიზმის სახელითვე ჩვენს ბუნებრივ უფლებებს და ტრადიციულ ფასეულობებს ცეცხლს მისცემენ და მეწყერს გაატანენ.**

ნოემბრის ბოლოდან ყველა ოპოზიციური პარტია ბიუჯეტიდან დაფინანსებას მიიღებს, საკუთარი ამომრჩევლის მონდომებას „დაიკიდებს" და მშვიდად დაელოდება, როდის მოვა ამერიკიდან უმკაცრესი მითითება არჩევნების ხელახლა ჩატარებაზე. მერე ხელების გადაგრეხაც აღარ იქნება საჭირო, რადგან ხელახალი არჩევნების დანიშვნა ხელისუფლების გადაბარებისთვის იქნება. ეს არის ის მწარე რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ, და ისე ჩანს, არაფრის შეცვლა არ ძალგვიძს.

**ბესო ბარბაქაძე**

ინტერვიუ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა კერძო საკუთრების დიქტატი. ის, რაც თავის დროზე ეკუთვნოდა ხალხს, ახლა კერძო პირების ხელშია, მონოპოლისტების ხელში, რომლებიც ჩვენი მოსახლეობის ათ პროცენტსაც არ შეადგენენ. საქართველოში მოსახლეობის 90 პროცენტი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს — საქართველო სულ რამდენიმე ადამიანისაა“.



თემურ ფიფია:

# საქართველოში მუშაობს სისტემა, რომელიც აუბედურებს ზურაბაშვილის მსგავს ასიათასობით ადამიანს

**რამდენიმე დღის წინათ თბილისში, წერეთლის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ მიკროსაფინანსო დაწესებულებაში შეიჭრა და მძევლად აყვანის იმიტაცია გაითამაშა აზარტული თამაშებისა და კრედიტებისგან გაუსაძლის ყოფაში ჩავარდნილმა სასოწარკვეთილმა მოქალაქემ, რომელმაც პოლიტიკური განცხადებები გააკეთა. ის მოითხოვდა აზარტული თამაშების აკრძალვას, მედიკამენტების გაიაფებასა და ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე პროცენტების შემცირებას. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს ახალგაზრდა კაცი, ლევან ზურაბაშვილი, ხაშურიდან იყო ჩამოსული თბილისში და მშენებლობაზე მუშაობდა. მის საქციელს არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა: ზოგმა თქვა, თამაშის გამო კაცი დედას ქუჩაში რომ დატოვებს, როგორ უნდა შეგეცოდოსო, ზოგმა კი ყველაფერი კომუნიზმის გადმონაშთს მიაწერა. „ხალხს ისე შია, მგონი, საბჭოთა ეპოქაში დავრბუნდით,“ — განაცხადა პარტია „გირჩის“ ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ. რატომ გაკეთდა ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები ლევან ზურაბაშვილის საქციელზე, რატომ არ ებრალება იგი ზოგიერთ მოქალაქეს და რატომ თვლის „გირჩი“, რომ საბჭოთა ეპოქა დაბრუნდა?**
**ამ და სხვა საინტერესო თემებზე კომუნისტური პარტიის ლიდერი თემურ ფიფია გვესაუბრება:**

— ლევან ზურაბაშვილს მხარდაჭერა პირველმა მე გამოვუცხედე და მერე ბევრი ჩვენი თანამოქალაქე ამყვა... **ზურაბაშვილი დამნაშავეა, შეიჭრა დაწესებულებაში და მძევლები აიყვანა, მაგრამ ის ახალგაზრდა კაცი შეიჭრა იმ დაწესებულებაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში, — და არა მარტო ჩვენთან, — ბოროტების სიმბოლოა. გარდა ამისა, ზურაბაშვილს პირადი გამორჩენის მიზნით არაფერი არ მოუთხოვია, ყველა მისი მოთხოვნა ეხებოდა პრობლემებს, რომლებიც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აწუხებს.** ის არავის დამუქრებია, მძევლებიც გაათავისუფლა და ხელში სათამაშო ხელყუმბარა ეჭირა. ლევან ზურაბაშვილი არ არის ყაჩაღი და არც საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ იყაჩაღებს, ის მშრომელი ადამიანია, ზრდის ბავშვს და პატრონობს დედას.

ზურაბაშვილის მსგავსი ასიათასობით მოქალაქის გასაუბედურებლად ჩვენს ქვეყანაში უდიდესი სისტემა მუშაობს, რომელიც თავის დროზე სააკაშვილმა ჩამოაყალიბა. ეს არის კაპიტალიზმის ნეოლიბერალური ფორმა, ყველაზე ანტიადამიანური.

**საქართველოს მოსახლეობას უპირისპირდება საფინანსო-საბანკო კაპიტალი, რომელმაც ხელში ჩაიგდო საზოგადოების თითქმის ყველა სფერო. მის ხელშია ეკონომიკის ყველა დარგი, მასმედია, სასამართლო, საკანონმდებლო ორგანო, ჯანდაცვა, განათლება...**

შესაძლოა, ეწყინოთ ეროვნული მოძრაობის გულწრფელ, პატიოსან წარმომადგენლებს, მათ ბოდიშს მოვუხდი, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას — ის, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, სწორედ მათ მიერ მოწყობილი ანტისოციალისტური, ანტისაბჭოთა გადატრიალების შედეგია.

**— რა დაკარგა ჩვენმა ქვეყანამ ამ გადატრიალებით? თვლით, რომ დავკარგეთ ბევრი? მაგრამ პარტია „გირჩის“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე სოციალურ ქსელში წერს, — ქვეყანაში ისეთი შიმშილია, საბჭოთა ეპოქას მოგაგონებსო...**

— შეკითხვას, რომელიც ახლა თქვენ დამისვით, ჟურნალისტები თავს არიდებენ, ფიქრობენ, რომ მსგავსი შეკითხვის დასმა წარსულის ნოსტალგიაზე მიუთითებს. მათ საერთოდ არ სურთ წარსულზე საუბარი, თვლიან, ის აღარ დაბრუნდება და არც უნდა დაბრუნდესო, მაგრამ თქვენი შეკითხვა აქტუალურია.

**რა დავკარგეთ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ? — ჩვენ დავკარგეთ სიკეთე, ჩვენ დავკარგეთ ადამიანის სოციალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებული ქვეყანა. სახელმწიფო რომ ადამიანზე ზრუნავდეს, ამის დაბრუნება შესაძლებელია, მაგრამ ბრძოლაა საჭირო. ამ სისტემას მისტირის ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, მშრომელი ხალხი მისტირის იმ ეპოქას და თვლის, რომ საქართველომ წარსულის დავიწყების მცდელობით განვითარების პერსპექტივა დაკარგა.**

ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა კერძო საკუთრების დიქტატი. ის, რაც თავის დროზე ეკუთვნოდა ხალხს, მოვსპეთ ისე, რომ სანაცვლოდ რამე სასიკეთო არაფერი არ შეგვიქმნია. რაც გადარჩა, ახლა კერძო პირების ხელშია, მონოპოლისტების ხელში, რომლებიც ჩვენი მოსახლეობის ათ პროცენტსაც არ შეადგენენ, საქართველოში მოსახლეობის 90 პროცენტი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს — საქართველო სულ რამდენიმე ადამიანისაა.

ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ხვდება, რომ **ამ წყობას პერსპექტივა არ აქვს მრავალი თვალსაზრისით: არსებული სისტემა არ ემსახურება საზოგადოების არც ერთ ფენას. ამ სისტემით ვერავინ ვერ მიაღწევს წარმატებას. ეს სისტემა ვერ შესთავაზებს საზოგადოებას კრიზისიდან გამოსვლის გეგმასა და გზას. გამოსავალი არის ის, რომ სისტემა შეიცვალოს და ხალხმა ეს იცის.**

დღეს ევროპის ქვეყნებიც ილტვიან სოციალიზმისკენ, რადგან იციან, მომავალი სოციალიზმისაა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის სოციალიზმი სულ სხვა იყო, ხოლო თანამედროვე ევროპელებისა სხვაა.

**რაც უფრო ადრე დაადგება საქართველო სოციალიზმის გზას, რაც უფრო ადრე შეეცდება, აღადგინოს ის გენერალური ხაზი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა 1921 წლის 25 თებერვალს დაადგა, მით მალე გაჩნდება შანსი ჩვენი გადარჩენისა.**

**— რეალურად მიგაჩნიათ ამ გზაზე დადგომის შანსი?**

— ეს რეალურია, რადგან, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სურს, დაუბრუნდეს სოციალიზმის გზას. მათ იციან, რომ ეს გადარჩენის ერთადერთი შანსია.

ვინც თვლის, რომ საბჭოთა წყობა იყო ცუდი, მას წარსული არ აქვს. მაგალითად, „გირჩი“ გახლავთ მემარჯვენე-ანარქისტი, ეს ერთ-ერთი მიმართულებაა კაპიტალიზმისა. ისინი ამბობენ, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს ეკონომიკისა და საზოგადოების ფორმირებაში, მათ არ სურთ, შეიქმნას პირობები იმისა, რომ ყველამ თავისი ადგილი იპოვოს საზოგადოებაში კაპიტალიზმის პირობებში, რაც არის მგლური კანონი თუ მიმდევრობა, რაც გინდათ, ის დაარქვით. „გირჩი“ თვლის, რომ რაღაც ახალს ამბობს, მაგრამ ეს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის კაპიტალიზმის იდეაა, დრომოჭმულია და ის პოლიტიკურ სანაგვეზეა გადასაგდები. „გირჩის“ გავლენა დროებითია, მას არ ეყოლება მომავალში ამომრჩეველი, მისი პოტენციალი ამოწურულია. ის მოსწონს იმ ახალგაზრდას, რომელმაც არ იცის, რომ დეგრადაციის გზაზრ დგას, არ იცის, როგორ ქვეყანაში ცხოვრობდნენ მისი მშობლები; არ იცის, რატომ ვართ დღეს ამ მდგომარეობაში, როგორ დაგვამხეს თავზე საათივით აწყობილი ქვეყანა და რომ ასე თუ გაგრძელდა, არც პირადად მას და არც საქართველოს პერსპექტივა არ უწერია.

ახალგაზრდებზე დიდ გავლენას ახდენს საინფორმაციო საშუალებები, მაგრამ ეს არ არის საშიში. ახალგაზრდობა, რომელიც სწავლას ასრულებს და უკვე დრო დგება სამსახურის შოვნის, აწყდება ისეთ პრობლემებს, რომლებსაც ვერ უმკლავდება. ასეთი ახალგაზრდები ხვდებიან, რომ სისტემა, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია, არ ვარგა. ასევე არიან დასაქმებული ახალგაზრდები, რომელთაც ე.წ. მეპატრონეები ექსპლუატაციას უწევენ. ქართველ ახალგაზრდებს ცხოვრება აკეთებინებს დასკვნას. ასე რომ, „გირჩი“ მცირეწლოვანების იმედადაა და ეს დიდხანს ვერ გასტანს.

სოციალურ ქსელში ზოგიერთმა გაამტყუნა ლევან ზურაბაშვილი და თქვა, დედას კაცი თამაშის გამო ქუჩაში რომ დატოვებს, ის რა კაციაო... მათ მინდა ვუთხრა: **აზარტული თამაში სოციალური უბედურებაა, რომელიც თავს მოგვახვია სისტემამ, ეს დაუნდობელი რამ თავს მოგვახვია კაპიტალისტურმა სისტემამ, ეს არის კრიმინალური, სისხლისმსმელი სისტემა, რომელმაც დაღუპა ჩვენი საზოგადოება და, სამწუხაროდ, ეს ჩვენთან ლეგალიზებულია. ლეგალიზებულია იმიტომ, რომ ხალხის გაუბედურებით მოაქვს უდიდესი შემოსავალი. ბიზნესმენს არ აქვს სოციალური პასუხისმგებლობა, მას აქვს მხოლოდ ბუღალტერია და თუკი შემოსავალ-გასავლის ბალანსი მის სასარგებლოდაა, ის ამ მდგომარეობას კბილებით დაიცავს. და თუკი ბიზნესმენი ქვეყნის სათავეშია, მისთვის მთელი ქვეყანაა ბიზნესი და ხალხის კეთილდღეობა მის ბუღალტერიაში მხოლოდ ზედმეტი ხარჯის გრაფაა, რომელიც ყველა ხერხით უნდა გაანულოს.**

საბჭოთა კავშირის პერიოდში აზარტული თამაშები კანონით იყო აკრძალული. აზარტული თამაშები დანაშაულია, მან დაღუპა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა. ის პირი, ვინც ზურაბაშვილს ამტყუნებს, არაადამიანია, თუმცა, ალბათ, ეკლესიაში დადის, მაგრამ არ იცის, უფლის წინაშე რამხელა დანაშაულს სჩადის ის, ვინც ზურაბაშვილისნაირი ადამიანები ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანა.

ჩვენს ქვეყანას აქვს გამოსავალი, ოღონდ ამისთვის ბრძოლაა საჭირო, რადგან ამ ქვეყნის მესვეურებს არ სურთ სიმართლის დანახვა; არ სურთ გამოსავალზე ფიქრი, ისინი კმაყოფილნი არიან არსებულით. არადა, გამოსავალი ჩვენი გაუსაძლისი ყოფიდან ნამდვილად არსებობს.

2021 წლის 25 თებერვალს 100 წელიწადი შესრულდება საქართველოს გასაბჭოებიდან. აი, ეს უნდა განმეორდეს, ჩვენს ქვეყანაში უნდა აღდგეს სოციალისტური წეს-წყობილება. საქართველოში უნდა შეიცვალოს კონსტიტუცია, კერძო საკუთრება გახდეს სახალხო საკუთრება, ის უნდა მართოს ხალხმა და არა მილიარდერებმა. უნდა შეიქმნას ერთიანი-სოციალისტური პოლიტიკური პლატფორმა და ეს უნდა გაკეთდეს ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე. სწორედ ამის შემდეგ გამოჩნდება შუქურა, ამის შემდეგ დაისადგურებს იმედი. თუკი გაჩნდება პლატფორმა, რომელზეც ვსაუბრობ, დარწმუნებული ვარ, უმალვე მოიპოვებს ხალხის მხარდაჭერასა და გამარჯვებას, რითაც ქვეყნის გადარჩენას შევძლებთ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**




**«ლეგალიზებულია იმიტომ, რომ ხალხის გაუბედურებით მოაქვს უდიდესი შემოსავალი. ბიზნესმენს არ აქვს სოციალური პასუხისმგებლობა, მას აქვს მხოლოდ ბუღალტერია და თუკი შემოსავალ-გასავლის ბალანსი მის სასარგებლოდაა, ის ამ მდგომარეობას კბილებით დაიცავს. და თუკი ბიზნესმენი ქვეყნის სათავეშია, მისთვის მთელი ქვეყანაა ბიზნესი და ხალხის კეთილდღეობა მის ბუღალტერიაში მხოლოდ ზედმეტი ხარჯის გრაფაა, რომელიც ყველა ხერხით უნდა გაანულოს»**

**ცნობისთვის: ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, აზარტული თამაშების სექტორის შემოსავალმა შარშან 4,2 მლრდ ლარი შეადგინა, მოგებამ — 363 მლნ ლარი.**

**აზარტული თამაშები და საბანკო სფერო ყველაზე მომგებიანი მიმართულებაა საქართველოში. მოგების მაჩვენებლითაც ეს ორი სფერო უპირობო ლიდერია: შარშან ბანკებმა და სათამაშო ბიზნესმა ჯამში 1 მილიარდ ლარზე მეტი წმინდა მოგება მიიღეს.**

„ამ არჩევნებით ჩვენ მივიღეთ კრიმინალების უპრეცენდენტო რაოდენობა საკანონმდებლო ორგანოში, რომელიც დემოკრატიას, რა გაგებითაც გნებავთ, არანაირად არ უკავშირდება — არც შინაარსობრივად და არც მრავალფეროვნების თვალსაზრისით, იმიტომ, რომ სახელები შეიძლება სხვადასხვა ჰქვიათ: ზოგს — „ევროპული საქართველო“, ზოგს — „სტრატეგია აღმაშენებელი“ და ა.შ., მაგრამ რეალურად ერთი პარტიაა — ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“.

ჩაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ნანა კაკაბაძე:

# თუ ოდესმე ნორმალური ხელისუფლება გვეყოლება, აუცილებლად გაასამართლებს როგორც «ნაცმოძრაობას», ისე მისი დანაშაულების დამფარავ «ოცნებას»

## დანაშაულის დაფარვა და ხელისშეწყობა თვით დანაშაულის ჩადენაზე არანაკლებ მძიმე დანაშაულია

**საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი გახარიამ 26 ნოემბერს გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე 21 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მრავალპარტიული არჩევნები არის ის, რაც ქვეყანამ დაიმსახურა. მისი თქმით, ის ფაქტი, რომ წელს, განსხვავებით 2016 წლის არჩევნებისგან, ამომრჩეველთა გაცილებით მაღალი აქტივობა იყო, ადასტურებს, რომ საზოგადოება, ხელისუფლებასთან ერთად, რვა ოპოზიციურ პარტიას (მათ შორის „ნაციონალურ მოძრაობას“, „ევროპულ საქართველოს“ და სხვ.) ავალებს, ერთად მართონ ქვეყანა. მისივე შეფასებით, 2020 წლის არჩევნებით ქვეყანამ, პირველად თავის ისტორიაში, მიიღო ყველაზე მრავალპარტიული პარლამენტი, რომელიც საზოგადოების უმთავრესი დაკვეთა და უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია შემდგომი დემოკრატიული განვითარებისთვის.**

**«მნიშვნელობა არ აქვს, რა ერქმევა სათავეში მყოფ ძალას — ნაცები თუ ქოცები, კურსი დარჩება იგივე და განუხრელად გაგრძელდება მავნე პოლიტიკა, რომლის უცვლელი პრინციპიც არის ის, რომ სუფთა წარსულის მქონე, ეროვნულად მოაზროვნე ადამიანები არ დაუშვან პოლიტიკაში, ხოლო მმართველობის სადავეები უნდა ეპყრათ გარედან მართულ მოღალატეებს»**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის უმთავრესი მოთხოვნა „ქართული ოცნებისადმი“ და, შესაბამისად, „ოცნების“ მთავარი დაპირებაც 2012 წელს იყო სამართლიანობის აღდგენა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც დანაშაულებრივი რეჟიმის, გასამართლებას გულისხმობდა. სათავეში მოსვლიდან მალევე აღნიშნული დაპირება კოალიციის ლიდერმა **ბიძინა ივანიშვილმა** უარყო და სამართლებრივი პროცესის დაწყების ნაცვლად ყოფილ ხელისუფლებასთან კოაბიტაცია გამოაცხადა. დღეს კი იგივე ხელისუფლება პრემიერის პირით გვეუბნება, რომ საზოგადოების სურვილია, ქვეყანა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავის პოლიტიკურ განაყოფებთან ერთად მართოს.

**რეალურია თუ არა პრემიერმინისტრის შეფასება საზოგადოების დაკვეთაზე და რას ემსახურება მსგავსი შეფასებები — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, პრემიერმინისტრ გიორგი გახარიას მიერ რამდენიმე დღის წინათ გაკეთებულ განცხადებას თუ დავუჯერებთ, 21 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ საზოგადოების დაკვეთაა, ქვეყანა „ოცნებასთან“ ერთად „ნაცმოძრაობამ“, მისმა განაყოფებმა და მოკავშირეებმა მართონ. ეს მან პირდაპირ ეთერში პრესკონფერენციაზე განაცხადა. როგორ ფიქრობთ, ადეკვატურია მთავრობის მეთაურის შეფასება? და რეალურად რა გზავნილია ეს, როგორც პოლიტიკური სპექტრისთვის, ისე საზოგადოებისთვის?**

— პოლიტიკური სპექტრი და მოცემულობა ცალკე თემაა, მაგრამ საზოგადოების უმთავრესი და უპირველესი მოთხოვნა რაც იყო „ქართული ოცნებისადმი“ ჯერ კიდევ იმ დროიდან მოყოლებული, როცა ისინი ხელისუფლებაში არ იყვნენ, ყველამ ვიცით. ეს იყო სამართლიანობის აღდგენა, დამნაშავეების ჩამოშორება ხელისუფლებიდან და მათი გასამართლება, რომელიც მერე და მერე ყბადაღებულ თემად იქცა, რადგან ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ არა თუ შეასრულეს ეს პირობა, პირიქით — დაუფარავად დაიწყეს თანამშრომლობა კრიმინალებთან. აი, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ვფიქრობ, **სრული ცინიზმია დღეს იმაზე საუბარი, რომ, თურმე, ქართველი ხალხი ხელისუფლებას ეუბნება, დამნაშავეებთან ერთად მართოს ქვეყანა. ხალხი მათ ეუბნებოდა და დღეს უკვე აღარ ეუბნება, ვინაიდან აზრი დაკარგა, რომ უნდა გაესამართლებინათ „ნაცმოძრაობის“ სისხლიანი რეჟიმი, გამოეძიებინათ გამოუძიებელი საქმეები, კონკრეტული ადამიანებისთვის დაებრუნებინათ წართმეული ქონება და ა.შ. თუმცა, როგორც ჩანს, ხელისუფლებაში ვიღაცებს ჰგონიათ, რომ საზოგადოებას ეს უკვე დაავიწყდა და ამ ყველაფერმა აქტუალობა დაკარგა.**

ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ დაუსჯელი დანაშაული, დაუსჯელი კრიმინალი, მით უმეტეს, როცა საქმე სახელმწიფოებრივ დანაშაულებს ეხება, შესაძლებელია, რომ დავიწყებას მიეცეს. ასეთი დანაშაულები ყოველთვის ტოვებს წარუშლელ კვალს და რა დროც არ უნდა გავიდეს, რა პერიოდიც, ის ყოველთვის იქნება დალექილი საზოგადოების მეხსიერებაში, როგორც ძალიან ცუდი და სამარცხვინო „პრაქტიკა“.

რაც შეეხება კონკრეტულად პრემიერსა და მის შეფასებას, ის განცხადება, რომელიც მოვისმინეთ, ალბათ, უფრო ერთგვარი მოწოდება იყო ოპოზიციური სპექტრისადმი, წამოვიდნენ კონსტრუქციულ დიალოგზე და შევიდნენ პარლამენტში. თუმცა, ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ბატონ გახარიას კარგად უნდა ესმოდეს ერთი რამ: **ამ არჩევნებზე ქართველმა ხალხმა არჩევანი იმაზე კი არ გააკეთა, რაც რეალურად სურდა, არამედ არჩევანი გააკეთა ცუდსა და უარესს შორის...**

**— საერთოდ, ბოლო პერიოდში იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება ერთგვარი ხვეწნის რეჟიმშია ოპოზიციასთან. თითქოს მმართველი გუნდი უფროა მონდომებული ოპოზიციის პარლამენტში შესვლით, ვიდრე თვითონ ოპოზიცია. რით არის ეს განპირობებული?**

— არ ვიცი, ხელისუფლება რას ცდილობს და რა პროცესები მიდის შიდაპოლიტიკურ სამზარეულოში, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: ისინი, უკვე დიდი ხანია, მათ მიერვე წლების წინათ შექმნილი მახინჯი პოლიტიკური მოცემულობის ტყვეობაში არიან. დღეს, პრაქტიკულად, ასეთი რეალობა გვაქვს: **ხელისუფლება მის მიერვე გაცოცხლებულ და მთავარ ოპოზიციად გამოცხადებულ „ნაცმოძრაობას“ შეჰყურებს თვალებში. შევლენ ისინი საკანონმდებლო ორგანოში — გვექნება მრავალპარტიული პარლამენტი, რომელსაც დემოკრატიული დასავლეთი მოიწონებს; არ შევლენ და პროტესტის ნიშნად უარს იტყვიან მანდატებზე, რაც, ალბათ, არ მოხდება — „ოცნებას“ უჩნდება თავსატეხი.** ვფიქრობ, ეს ყველაფერი, ჯამში, არის ქართული პოლიტიკური დღის წესრიგის სიმახინჯე, რომელიც განპირობებულია დანაშაულით. მხედველობაში მაქვს ის, რომ **თავის დროზე კრიმინალებს გამოუცხადეს პოლიტიკური ხელშეუხებლობა და მეტიც, მათ მისცეს ერთგვარი სტიმულიც კი, როცა რიგ მნიშვნელოვან თანამდებობებზე დატოვეს ძველი კადრები, თუმცა ზოგი დააწინაურეს კიდეც და უფრო სერიოზულ პოსტებზე დანიშნეს. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ სასამართლო ხელისუფლება, ძირითადად, ისევ დაუტოვეს რეჟიმის მსახურებს და პარალელურად მოხდა უამრავი ნაციონალის პორტირება „ოცნებაში“.** აი, ამ ყველაფერმა შექმნა ის რეალობა, რომ დღეს „ქართული ოცნება“ საკუთარი მახინჯი პოლიტიკის მძევალია...

**— იმ ფონზე, როცა „ნაცმოძრაობას“, ისევე, როგორც მთლიანად ე.წ. პროდასავლურ ოპოზიციურ სპექტრს, დასავლეთის სერიოზული მხარდაჭერა აქვს, შესაძლებელია ამ რეალობის შეცვლა?**

— ვფიქრობ, **ამისთვის არ იქნება და არც თავის დროზე იქნებოდა საკმარისი მხოლოდ რეჟიმის გასამართლება. არ იქნებოდა საკმარისი, თუ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს, დანაშაულების შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებოდათ. ამისთვის აუცილებელი იყო, „ოცნებას“ გაეხსნა პოლიტიკური ასპარეზი და მიეცა საშუალება ეროვნული ძალებისთვის, რომ თავისუფლად ემოქმედათ.** ამ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, გაცილებით ჯანსაღ პოლიტიკურ გარემოს მივიღებდით და თვითონ ხელისუფლებისთვისაც იქნებოდა გაცილებით ჯანსაღი გარემო. ახლა რაც შეეხება იმას, რომ, თურმე, „ნაციონალურ მოძრაობას“ თავისი ელექტორატი ჰყავს და ამის გამო მისი უგულებელყოფა არ შეიძლება, ეს ხშირად მოჰყავთ ხოლმე გარკვეულ სუბიექტებს „არგუმენტად“. რა თქმა უნდა, **ყველა ბოროტ ძალას ჰყავს გარკვეული რაოდენობა მომხრეების, სხვანაირად ის ვერც იქცევა ძალად. მათ შორის, წარმოიდგინეთ, ფაშისტურ გერმანიაში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ჰიტლერის ნაცისტური პარტიის მხარდამჭერი იყო, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ის ბოროტება, რომელიც ნაცისტებმა ჩაიდინეს, დაუსჯელი უნდა დარჩენილიყო?!** სხვათა შორის, ბევრისგან მომისმენია და ეს, ალბათ, ყველაზე ყბადაღებული „არგუმენტია“, რომ ხელისუფლებამ სამართლიანობა დასავლეთის შიშის თუ ზეწოლის გამო ვერ აღადგინა. ეს რა ლოგიკაა? რა, იმავე დასავლეთის მითითება რომ იყოს, დათმეთ ტერიტორიებიო, დათმობენ?! არანაირი გამართლება არ აქვს იმას, რომ უმძიმესი სისხლის სამართლის დანაშაულები დატოვეს გაუხსნელი. მათ შორის ისეთი დანაშაულები, რომელთა პირდაპირი მტკიცებულებები ხელის გულზე დევს. აი, ეს არის რეალობა და ამის ფონზე საუბარი, რომ, თურმე, ქართველი ხალხი ხელისუფლებას ეუბნება, დამნაშავეებთან ერთად მართეთ ქვეყანაო, რბილად რომ ვთქვათ, პოლიტიკური უტიფრობაა. ქართველ ხალხს „ნაცრეჟიმის“ მმართველობა რომ ნდომოდა, ცხრა წელი ხელისუფლების სათავეში გვყავდა და ამდენი უბედურება არ დატრიალდებოდა მათ გასასტუმრებლად. ისე, „ოცნებამ“ ერთი რამ უნდა იცოდეს და გააცნობიეროს: **წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, დანაშაულის დაფარვა და ხელისშეწყობა თვით დანაშაულის ჩადენაზე არანაკლებ მძიმე დანაშაულია. მათ ეს უკვე ჩაიდინეს, როცა კრიმინალებთან კოაბიტაცია გამოაცხადეს, ამიტომ დარწმუნებული ვარ, თუ ოდესმე საქართველოს ნორმალური ხელისუფლება ეყოლება, — და მინდა, მჯეროდეს, რომ ეყოლება, — აუცილებლად პასუხს აგებს, როგორც „ნაცმოძრაობა“, ისე მისი დანაშაულების დამფარავი და „შემწყალებელი“ „ქართული ოცნება...“**

**— თუმცა, სულ ცოტა, მომდევნო ოთხი წელი ამ პოლიტიკურ რეალობაში მოგვიწევს ცხოვრება.**

— არათუ ოთხი წელი, თუ ქვეყანაში არ შეიქმნება და არ ჩამოყალიბდება ჯანსაღი ძალა, რომელიც განსხვავებით დღევანდელი პარტიებისგან, გარედან არ იქნება მართული, კიდევ მრავალი ათეული წელი დავრჩებით ამ დამღუპველ, დამანგრეველ და სახელმწიფოსთვის გამანადგურებელ მოჯადოებულ წრეზე. ეს, როგორც ორჯერ ორი — ოთხი, ისეა, ამიტომ ჩვენ გვჭირდება ახალი პოლიტიკური ძალები და ამ ძალებისგან შემდგარი ბირთვი, რომელიც რეალურ ალტერნატივას შექმნის ქვეყანაში. **მნიშვნელობა არ აქვს, რა ერქმევა სათავეში მყოფ ძალას — ნაცები თუ ქოცები, კურსი დარჩება იგივე და განუხრელად გაგრძელდება მავნე პოლიტიკა, რომლის უცვლელი პრინციპიც არის ის, რომ სუფთა წარსულის მქონე, ეროვნულად მოაზროვნე ადამიანები არ დაუშვან პოლიტიკაში, ხოლო მმართველობის სადავეები უნდა ეპყრათ გარედან მართულ მოღალატეებს.**

რაც შეეხება იმას, რომ, თურმე ამ არჩევნებით უპრეცენდენტოდ მრავალპარტიული პარლამენტი მივიღეთ, რომელიც ქართული დემოკრატიისთვის სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი ყოფილა, ამ არჩევნებით ჩვენ მივიღეთ კრიმინალების უპრეცენდენტო რაოდენობა საკანონმდებლო ორგანოში, რომელიც დემოკრატიას, რა გაგებითაც გნებავთ, არანაირად არ უკავშირდება — არც შინაარსობრივად და არც მრავალფეროვნების თვალსაზრისით, იმიტომ, რომ სახელები შეიძლება სხვადასხვა ჰქვიათ: ზოგს — „ევროპული საქართველო“, ზოგს — „სტრატეგია აღმაშენებელი“ და ა.შ., მაგრამ რეალურად ერთი პარტიაა — ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“. ეს ძალა და მისი განაყოფები, მიუხედავად ყველაფრისა, წარმატებით განაგრძობენ ქვეყნის განადგურებას...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პროცესების ანალიზი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთის ირგვლივ დასავლეთის შავი რკალი ისევე იკვრება, როგორც ოდესღაც სტალინისა და საბჭოთა კავშირის ირგვლივ შეიკრა. სტალინის მეთაურობით საბჭოთა კავშირმა ბოროტების ის რკალი გაგლიჯა და გაარღვია. დღევანდელი რუსეთი შეძლებს თუ არა იმავეს, ძნელი სათქმელია, ვინაიდან რუსეთი დღესაც სავსეა დასავლეთის „მეხუთე კოლონის" წარმომადგენლებით.**

# «ოქროს კვეთა»



**ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია**

**ოცდამეთერთმეტე გადაცემა**

## მიმართვა რუს ხალხს



მე საბჭოთა კავშირის ყოფილი მოქალაქე ვარ, ისევე, როგორც თქვენ — რუსები, ბელარუსები, უკრაინელები, მოლდოველები... ისევე, როგორც ბალტიისპირეთის, ცენტრალური აზიის, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლები. გავიზარდე, განათლება მივიღე და ჩამოვყალიბდი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. მართალია, დიდი სამამულო ომის შემდეგ დავიბადე, მაგრამ პირდაპირი შთამომავალი ვარ იმ გმირებისა, რომლებიც უკიდეგანო საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა კუთხეში მკერდით იცავდნენ დედასამშობლოს და სამარადისო განსასვენებელი საძმო საფლავებში ჰპოვეს; პირდაპირი შთამომავალი ვარ იმ გმირებისა, რომლებმაც არა მხოლოდ ევროპა, არამედ მსოფლიო იხსნეს დასავლური ფაშისტური ჭირისგან; პირდაპირი შთამომავალი ვარ იმ გმირებისა, რომლებმაც პლანეტაზე სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე აგებული პირველი ზესახელმწიფო დააფუძნეს და ააშენეს. უფლება, რომ მოგმართოთ თქვენ — რუს ხალხს, მე არ მომიპოვებია, იგი მემკვიდრეობით მერგო ჩემი წინაპრებისგან, რომლებმაც რუს ხალხთან მხარდამხარ შრომისა და ბრძოლის ის უნიკალური ეპოქა შექმნეს, რომელსაც ისტორიიდან ვერავინ ამოშლის. ამიტომაც თავს უფლებას ვაძლევ, მოგმართოთ თქვენ, ვისაც ჩემმა დიდმა წინაპარმა სამართლიანად გიწოდათ „Великий русский народ"...

გერმანიის ელჩმა ლიტვაში რამდენიმე დღის წინათ განაცხადა: წითელი არმიის მიერ ნაციზმისგან გერმანიის განთავისუფლების მიზანს დამარცხებულ ქვეყანაში სტალინური რეპრესიული მმართველობის დამყარება წარმოადგენდაო.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად დაგმო გერმანელი დიპლომატის ეს თავხედური გამოხდომა, რუსულ ტელეარხებში კი მას ცხარე დებატები და საპროტესტო განცხადებები მოჰყვა.

ძვირფასო რუსებო, სრულიად ვიზიარებ იმ აზრს, რომ ესაა პროვოკაცია და ვუერთდები პროტესტს, რომელიც თქვენგან მესმის, თუმცა შემაწუხა შეკითხვებმა, რომელთა დასმის უფლებასაც, როგორც რუსეთის გულშემატკივარი და მეგობარი, ამ წერილში საკუთარ თავს მივცემ.

გერმანელმა დიპლომატმა ბრძანა, — სტალინური რეპრესიული მმართველობაო. კარგია, რომ თავი შეურაცხყოფილად იგრძენით და გაცხარდით, მაგრამ თუნდაც ამ გაცხარების ფონზე თქვენ არ გითქვამთ, სტალინური მმართველობა რეპრესიული მმართველობა არ ყოფილაო. თუკი თქვენ თქვენს ოფიციალურ განცხადებაში არ ამბობთ, რომ სტალინის მმართველობა რეპრესიული არ ყოფილა, გამოდის, რომ გერმანელი დიპლომატის ამ ნათქვამს ეთანხმებით. მაშინ რამ გამოიწვია თქვენი გაცხარება — იმან, რომ სიმართლე გითხრეს?!

ძვირფასო, რუსებო, თქვენ უნდა ჩამოყალიბდეთ საკუთარი ისტორიის შეფასებაში. ნუთუ საუკუნე არ აღმოჩნდა საკმარისი იმის გასარკვევად, რას ნიშნავდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და რა სახელმწიფო ააშენა სტალინმა?!

მან ააშენა ჭეშმარიტად სახალხო შინაარსსა და კონსტიტუციაზე აგებული პირველი დემოკრატიული სახელმწიფო კაცობრიობის ისტორიაში. მხოლოდ სოციალისტურ საფუძველზეა შესაძლებელი ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოების მშენებლობა, ყველა სხვა სახის დემოკრატია სიყალბე და მოჩვენებითობაა. დემოკრატია და კაპიტალიზმი ისეთივე შეუთავსებელი ცნებებია, როგორი შეუთავსებელიცაა ცივი და ცხელი, ბრძენი და სულელი, ლამაზი და მახინჯი, კეთილი და ბოროტი. რეპრესიული მმართველობა იქაა, სადაც მმართველობის ეს ფორმა ხალხის წინააღმდეგაა გამოყენებული. სტალინის მმართველობაში რეპრესიული მანქანა თუ მუშაობდა, ეს მანქანა მშრომელი ხალხის დაცვისკენ იყო მიმართული. იგი სოციალისტური მონაპოვრის დასამარების მოსურნე ძალების წინააღმდეგ მოქმედებდა და დემოკრატიის, თანასწორუფლებიანობისა და სოციალური სამართლიანობის მტრებს უპირისპირდებოდა, რომლებიც ვერაგი დასავლეთის მიერ იყვნენ მომრავლებულნი და წაქეზებულნი. თქვენ ამის აღიარება არ გსურთ, რადგან დასავლური შაბლონების ტყვეობიდან ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულხართ და სტალინის მმართველობას დღემდე რეპრესიულ მმართველობად და ტირანიად აღიქვამთ. დასავლეთმა ამ სისუსტეში გამოგიჭირათ და ისე გათამაშებთ, როგორც მოესურვება.

გერმანიის ელჩის ნათქვამზე გაკეთებულ თქვენს ოფიციალურ განცხადებაში სტალინის პიროვნებასა და მისი ხელმძღვანელობით შექმნილ უდიდეს ეპოქას კი არ იცავთ, საკუთარ თავს იცავთ. საკუთარი თავის დაცვის ამ ლოგიკურად არცთუ გამართულ პროცესში სტალინის დაცვა აზრადაც არ მოგდით, რადგან პირველი ტალახი მას სწორედ თქვენ ესროლეთ. ხრუშჩოვის ნაბოდვარი ე.წ. პიროვნების კულტის შესახებ, მართალია, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ნაკარნახევი იყო, მაგრამ იმ ბოდვის ექო დღემდე არ შეწყვეტილა ოფიციალურ რუსეთში. მე ძალიან კარგად ვიცი, რა სიყვარულითაა შემოსილი სტალინის პიროვნება რუსი ხალხის უმრავლესობის გულში, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვი ოფიციოზსა და მმართველ წრეებზე. განა ამას არ ადასტურებს ის ამბავი, რომ დიდ სამამულო ომში გამარჯვების საიუბილეო თარიღებზე ოფიციალურად სტალინის სახელის ხსენება დღემდე ტაბუდადებულია?!

ან ის რამ გაგაკეთებინათ, რომ დასავლურ ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში უდიდესი შემობრუნებისა და გარდატეხის შემტან გმირ ქალაქ სტალინგრადს სახელი შეუცვალეთ? ან რა გავლენა აქვს დასავლეთს თქვენზე ისეთი, რომ სტალინგრადისთვის სახელი, რომლითაც ქალაქმა კაცობრიობის ისტორიაში არნახული გმირობა ჩაიდინა, დღემდე ვერ დაგიბრუნებიათ? აი, რუსეთის მთავარი საინფორმაციო სამსახურის მიერ გავრცელებული ერთი ტრაგიკომიკური ფორმისა და შინაარსის მქონე განცხადება: ВОЛГОГРАД, 2 февраля. /ТАСС/. Тысячи красных гвоздик возложили жители Волгограда к Вечному огню на Мамаевом кургане в честь 77-й годовщины победы советских войск в Сталинградской битве. ვოლგოგრადში სტალინგრადის ბრძოლები ისეთი ნონსენსია, რომელიც მაღალი კულტურის რუსეთს არ ეკადრება!

ეს ფაქტი განა პირდაპირ არ ღაღადებს, რომ ისტორიულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით რუსეთში ყველაფერი ვერ არის რიგზე?!

ისტორიული ქალაქისთვის სახელის ყოვლად გაუმართლებელი გადარქმევის ერთ კონკრეტულ ფაქტს რაკი შევეხე, არ შემიძლია ლენინგრადის საკითხიც არ წამოვწიო. მართალია, ლენინგრადს, სტალინგრადისგან განსხვავებით, ისტორიული სანქტ-პეტერბურგის სახელი დაუბრუნდა, მაგრამ ეს ფაქტი, ისტორიული სამართლიანობის აღდგენით კი არა, ევროპულ ფაშიზმთან ბრძოლაში ლენინგრადის არნახული გმირობის დავიწყების ბურუსში გახვევის დაუოკებელი სურვილით იყო მოტივირებული. მას შემდეგ, რაც ლენინგრადმა 872-დღიანი გაუგონარი ჯოჯოხეთი გამოიარა, მისთვის სახელის წართმევა შეიძლებოდა?! რუსეთის ხელისუფლებაში ნუთუ დღემდე ვერავინ ხვდება, რომ ეს ფაქტი იმ გმირთა ხსოვნის შეურაცხყოფაა, რომელთა წამებული სიცოცხლეც და გმირული სიკვდილიც სამუდამოდაა გადაჯაჭვული ლენინგრადის სახელთან? ახლა ეს შეკითხვაც დავსვათ: გაუგონარი გმირობის ჩამდენ ქალაქებს — სტალინგრადსა და ლენინგრადს სახელები ვინ შეუცვალა, ლიტვაში გერმანიის ელჩმა? ევროპელებმა? ამერიკელებმა? არა, ჩემო მეგობარო რუსეთო და რუსებო. ეს მიუტევებელი შეცდომები თქვენ დაუშვით, რითაც დასავლეთის უსინდისო პოლიტიკოსებს თქვენი გმირული ისტორიის ტალახში თრევის საფუძველი მიეცით. გამკვირვებია, რის საფუძველზე გწყინთ ან რატომ გწყინთ, თუკი დასავლეთშიც იმასვე გაიმეორებენ, რასაც თქვენი ხელისუფლების სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები სამოცდახუთი წელიწადია, გაიძახიან?! თქვენ გწყინთ და განიცდით, როდესაც საბჭოთა ლიდერების, მხედართმთავრებისა თუ მეომრების ძეგლებსა და ობელისკებს აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში შეურაცხყოფენ ან ანგრევენ. არადა, ასეთი ფაქტები ყოველ ნაბიჯზე ხდება. აი, მცირედი ამონარიდები თქვენივე პრესიდან:

* „Вандалы в литовском городе Жежмаряй Каунасского уезда облили красной краской памятник советским воинам";

* „В Праге демонтировали памятник маршалу Коневу. Посольство России возмущено".

* „Памятник командующему первым Украинским фронтом во время Великой Отечественной войны Николаю Ватутину снесли на Украине радикальные националисты, назвавшие военачальника „кровавым русским генералом".

პატივცემულო რუსებო, გეთანხმებით, შემზარავი ფაქტებია, მაგრამ უფრო შემზარავი ისაა, რომ გამოჩენილი საბჭოთა ლიდერების ძეგლებთან ბრძოლის ამ სამარცხვინო ისტორიას, როგორც უკვე გითხარით, თქვენ თვითონ დაუდეთ სათავე.

**თქვენ თუ სტალინის სახელს ებრძვით, ევროპელებს რაში სჭირდებათ სტალინის ხელმძღვანელობით მომარი მარშლები და გენერლები?!** ხედავთ, რა მასშტაბის აბსურდამდე მიხვედით? პრაღაში ჩეხოსლოვაკიის განმათავისუფლებელ საბჭოთა მარშალ კონევის ძეგლი მოხსნესო, ცოფებს რომ ყრით, მარშალმა კონევმა სტალინთან ▶

**რამ გაგაკეთებინათ, რომ დასავლურ ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში უდიდესი შემობრუნებისა და გარდატეხის შემტან გმირ ქალაქ სტალინგრადს სახელი შეუცვალეთ? ან რა გავლენა აქვს დასავლეთს თქვენზე ისეთი, რომ სტალინგრადისთვის სახელი, რომლითაც ქალაქმა კაცობრიობის ისტორიაში არნახული გმირობა ჩაიდინა, დღემდე ვერ დაგიბრუნებიათ?**

პროცესების ანალიზი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გერმანიის ელჩის ნათქვამზე გაკეთებულ თქვენს ოფიციალურ განცხადებაში სტალინის პიროვნებასა და მისი ხელმძღვანელობით შექმნილ უდიდეს ეპოქას კი არ იცავთ, საკუთარ თავს იცავთ. საკუთარი თავის დაცვის ამ ლოგიკურად არცთუ გამართულ პროცესში სტალინის დაცვა აზრადაც არ მოგდით, რადგან პირველი ტალახი მას სწორედ თქვენ ესროლეთ. ხრუშჩოვის ნაბოდვარი ე.წ. პიროვნების კულტის შესახებ, მართალია, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ნაკარნახევი იყო, მაგრამ იმ ბოდვის ექო დღემდე არ შეწყვეტილა ოფიციალურ რუსეთში.

◀ შეუთანხმებლად გაათავისუფლა ჩეხოსლოვაკია? ევროპის განთავისუფლებაში რამდენიმე მარშალი მონაწილეობდა, მაგრამ ყოველი მათგანი სახელმწიფოს მეთაურსა და უმაღლეს მთავარსარდალს ემორჩილებოდა.

**რას ამტკიცებთ, ბატონო რუსებო, საბჭოთა კავშირი განმათავისუფლებელი სახელმწიფო იყო, საბჭოთა მარშლები და გენერლები კეთილი მხედართმთავრები იყვნენ, ხოლო მათი უმაღლესი მთავარსარდალი ბოროტი სული იყო? თქვენ რა, მართლა გჯერათ იმ უკიდეგანო სისულელისა, რომ ხალხმა და არმიამ ამ გრანდიოზულ ომში „вопреки Сталину“ გაიმარჯვეს?** სადმე ოდესმე, ისტორიის რომელიმე მონაკვეთში მომხდარა, რომ სახელმწიფოს მეთაურისა და უმაღლესი სამხედრო პირის ნების საწინააღმდეგოდ ხალხსა და არმიას გამარჯვებისთვის მიეღწია? დიდია მსოფლიოს ისტორია, სადმე იქნებ მართლა ყოფილა ასეთი სასწაული, მაგრამ მე ამგვარ პრეცენდენტს ვერსად მივაკვლიე.

სტალინს რუსეთის გარეთ თუ გალანძღავენ, თქვენ ბრაზი მოგდით, მაგრამ ქვეყნის შიგნით თქვენ თვითონ გაცილებით მეტად ლანძღავთ, ვიდრე გარეშე მლანძღველები. აქაც მეტი ჩამოყალიბება და საკითხისადმი სერიოზული მიდგომაა საჭირო. ელემენტარული დაკვირვება მაინც გმართებთ:

**თქვენს მტრებს რაკი ასე სძულთ სტალინი, უნდა ხვდებოდეთ, რომ შეუძლებელია, სტალინი თქვენთვისაც საძულველი პიროვნება იყოს. სტალინის სიძულვილი რუსეთის სიძულვილითაა განპირობებული. სტალინს რუსეთისთვის თავდადება და სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე აგებულ პირველ ზესახელმწიფოდ მისი ქცევა არ აპატიეს არც ქვეყნის გარეთ და არც ქვეყნის შიგნით. ლოგიკა ითხოვს ამის გაცნობიერებას.**

ამ წერილში, ვფიქრობ, ბევრი ვილაპარაკე სტალინის პიროვნებაზე, თუმცა სხვა თემაზე მსურდა საუბარი.

**რუსეთის ირგვლივ დასავლეთის შავი რკალი ისევე იკვრება, როგორც ოდესღაც სტალინისა და საბჭოთა კავშირის ირგვლივ შეიკრა. სტალინის მეთაურობით საბჭოთა კავშირმა ბოროტების ის რკალი გაგლიჯა და გაარღვია. დღევანდელი რუსეთი შეძლებს თუ არა იმავეს, ძნელი სათქმელია, ვინაიდან რუსეთი დღესაც სავსეა დასავლეთის „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენლებით.** რუსული ოლიგარქია კი ისეა შეზრდილი დასავლეთთან, რომ რუსეთზე მეტად დასავლეთს თვლის თავის სამშობლოდ. მათი ოჯახების წევრები კი, რუსეთში ნაშოვნი უზარმაზარი კაპიტალით, თავს მხოლოდ დასავლეთში გრძნობენ ბედნიერად. მათი შვილებისა და შვილიშვილებისთვის დასავლეთი მზრუნველ დედად აღიქმება, რუსეთი კი — ბოროტ დედინაცვლად. სტალინმა დიდ სამამულო ომში კომუნისტური იდეოლოგიითა და სოციალისტური სახალხო მენტალიტეტით გაიმარჯვა. ღმერთმა გაშოროთ ომი და სისხლისღვრა, მაგრამ, რამე რომ იყოს, დასავლეთზე შეყვარებულმა დღევანდელმა რუსულმა ელიტამ, მეეჭვება, იმ ჰეროიკული სახალხო განწყობის შექმნა შეძლოს, როდესაც რუსი ჯარისკაცები თავს გაწირავენ დევიზით: **ЗА РОДИНУ, ЗА ПУТИНА!**

ოცდაათი წელიწადია, რაც იდეოლოგიის ძებნაში ხართ. ძვირფასო რუსებო, რა გაქვთ ამდენი საძებნი, თქვენ ხომ პირველი ჭეშმარიტად სოციალისტური სახელმწიფო ხართ მსოფლიოში?! სოციალური სამართლიანობის იდეაა თქვენი იდეოლოგია, რომელიც ისე შეგაძულეს დასავლეთის ჯაშუშ-მსტოვრებმა, რომ პოსტსაბჭოთა რუსეთის პირველმა პრეზიდენტმა **ბორის ელცინმა** აშშ-ის კონგრესის წინაშე სიტყვით გამოსვლისას პირდაპირ შეჰფიცა ამერიკელებს: „Коммунистический идол, который сеял повсюду на земле социальную рознь, вражду и беспримерную жестокость, который наводил страх на человеческое сообщество, рухнул. Рухнул навсегда. И я здесь для того, чтобы заверить вас: на нашей земле мы не дадим ему воскреснуть“...

ეს ის შემთხვევაა, როდესაც ღალატის ფაქტზე მეტად ღალატის თავხედური ფორმა და მკრეხელობის მასშტაბი განცვიფრებს, მაგრამ კიდევ უფრო საოცარი რამ რუსეთის დღევანდელი პრეზიდენტის, **ვლადიმერ პუტინის,** მიერ მისი წინამორბედის დახასიათებაა: „Борис Николаевич Ельцин вместе с новой Россией прошел путь тяжелейших, но необходимых преобразований. Возглавил процесс кардинальных перемен, которые вывели Россию из тупика. Масштаб личности Б. Ельцина еще предстоит в полной мере оценить истории и нашим потомкам“.

როგორც ჩანს, ხრუშჩოვიდან მოყოლებული დღემდე, რუსეთში საკუთარ ისტორიასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა. არაფერი შეცვლილა არც თბილისის 1956 წლის მოვლენების შემდეგ და არც მას შემდეგ, რაც 1991 წელს მოსკოვში, ლუბიანკას მოედანზე გაუგებარი აღტყინებით ჩამოაგდეთ საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუძემდებლის — **ფელიქს ძერჟინსკის** ძეგლი. განა დღემდე არ ებრძვით პროლეტარიატის დიდი ბელადის, **ვლადიმერ ლენინის,** ძეგლებს? მართალია, სტალინის ძეგლებივით მთლიანად ჯერ კიდევ ვერ ამოძირკვეთ, მაგრამ თქვენსავე ინფორმაციას თუ ვირწმუნებთ, „С 1991 по 2019 г. число памятников Ильичу сократилось на 15%“.

**წითელ მოედანზე ლენინის მავზოლეუმს დღემდე ფანერებით არ ფარავთ საცხრამაისო პარადების მსვლელობისას? რატომ აკეთებთ ამას, იმიტომ ხომ არა, რომ ბუშის, ობამას, ტრამპის, მერკელის, მაკრონის, ტერეზა მეის, ჯონსონის თუ სხვათა „დემოკრატი გვამები“ არ შეაწუხოს ლენინის მავზოლეუმის ხილვამ?** ამით თქვენ, პატივცემულო რუსებო, მხოლოდ საკუთარ თავს კი არ ხრით მორჩილად დასავლეთის წინაშე, არამედ, პირველ რიგში, საკუთარ ისტორიას აიძულებთ, თავდადრეკილი დადგეს იმ თქვენი მოსისხლე მტრების წინაშე, რომლებსაც ერთი სული აქვთ, როდის ნახავენ რუსეთს აღგვილს პირისაგან მიწისა. ამის შემდეგ რატომ შფოთავთ და

## გაუგონარი გმირობის ჩამდენ ქალაქებს — სტალინგრადსა და ლენინგრადს სახელები ვინ შეუცვალა, ლიტვაში გერმანიის ელჩმა? ევროპელებმა? ამერიკელებმა? არა, ჩემო მეგობარო რუსეთო და რუსებო! ეს მიუტევებელი შეცდომები თქვენ დაუშვით, რომლებითაც დასავლეთის უსინდისო პოლიტიკოსებს თქვენი გმირული ისტორიის ტალახში თრევის საფუძველი მიეცით. გამკვირვებია, რის საფუძველზე გწყინთ ან რატომ გწყინთ, თუკი დასავლეთშიც იმასვე გაიმეორებენ, რასაც თქვენი ხელისუფლების სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები სამოცდახუთი წელიწადია, გაიძახიან?!



## რუსეთის ირგვლივ დასავლეთის შავი რკალი ისევე იკვრება, როგორც ოდესღაც სტალინისა და საბჭოთა კავშირის ირგვლივ შეიკრა. სტალინის მეთაურობით საბჭოთა კავშირმა ბოროტების ის რკალი გაგლიჯა და გაარღვია. დღევანდელი რუსეთი შეძლებს თუ არა იმავეს, ძნელი სათქმელია, ვინაიდან რუსეთი დღესაც სავსეა დასავლეთის «მეხუთე კოლონის» წარმომადგენლებით

წუხხართ იმის გამო, თუკი ევროპაში წითელი არმიის მეომრების ობელისკებს პატივს არ მიაგებენ?! **წითელი არმიის მეომრებს თქვენ უმაღლესი მთავარსარდალი წაართვით, სტალინის სახელს დღემდე ლაფში ათრევთ და სხვებს რა უფლებით სთხოვთ, რომ თქვენ მიერ პატივაყრილი გენერალისიმუსის ჯარისკაცთა ხსოვნას რიდითა და პატივით ეპყრობოდნენ?! ეს რა არათანმიმდევრულობა და უცნაური ლოგიკაა?!**

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, რომელსაც გამარჯვების დღესასწაულებზე დიდი სამამულო ომის ტრიუმფალურ გამარჯვებაში სტალინის უზარმაზარი როლის შესახებ სიტყვაც არასოდეს წამოსცდენია, ე.წ. სტალინური რეპრესიების მსხვერპლთა პატივსაცემად მოსკოვის ცენტრში აღმართულ მწუხარების კედელთან („Стена скорби“) სტალინის საწინააღმდეგო „მგზნებარე სიტყვა“ წარმოთქვა: „Для всех нас, для будущих поколений, что очень важно, важно знать и помнить об этом трагическом периоде нашей истории, когда жестоким преследованиям подвергались целые сословия, целые народы: рабочие и крестьяне, инженеры и военачальники, священники, государственные служащие, ученые и деятели культуры. Политические репрессии стали трагедией для всего нашего народа, для всего общества, жестоким ударом по нашему народу, по его корням, культуре, самосознанию, последствия мы ощущаем до сих пор“. შეადარეთ ერთმანეთს ელცინისა და სტალინის ღვაწლის პუტინისეული შეფასებები და მიხვდებით, თუ რა პრობლემის წინაშე დგას დღევანდელი რუსეთი.

დღევანდელ რუსეთს ოფიციალურად იდეოლოგია არ გააჩნია. თუ რამე არის რუსეთში ისეთი, რაც შეიძლებოდა ქვეყნის იდეოლოგიურ საფუძვლად და მის გამაერთიანებლად მიგვეჩნია, ეს დიდ სამამულო ომში გამარჯვებაა. ამიტომ იმ გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, სახელმწიფოს მეთაურსა და უმაღლეს მთავარსარდალს ან ზემოთ ციტირებული დახასიათება არ უნდა მისცე, ან მის მიერ მოპოვებულ გამარჯვების დღესასწაულზე პარადი არ უნდა ჩაიბარო. სტალინი ან გამარჯვების სულისჩამდგმელად უნდა აღიარო, ან იმ ურჩხულად უნდა მიიჩნიო, რომლის მიერ ჩატარებული „политические репрессии стали трагедией для всего нашего народа, для всего общества, жестоким ударом по нашему народу, по его корням, культуре, самосознанию, последствия мы ощущаем до сих пор“. მაინცდამაინც ამ ბოლო მიდგომით თუ უნდა იხელმძღვანელოთ, ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ ამ მიდგომას არც ახსნა აქვს და არც გამართლება. იმ ომში ის ისტორიული გამარჯვება ვერ დადგებოდა, რომ არა გარდაუვალი და აუცილებელი წმენდა ქვეყნისა დასავლეთის „მეხუთე კოლონისგან“ და მოღალატეებისგან, რომელთა ხსოვნასაც დღემდე ათასნაირი ობელისკებითა და „მწუხარების კედლებით“ მისტირით. უნდა ჩამოყალიბდეთ, პატივცემულო რუსებო! **საბჭოთა კავშირი ან იმ ღირსშესანიშნავ და დიდებულ წარსულად უნდა აღიაროთ, რომელსაც არც თქვენ ესვრით ტალახს და არც სხვას აძლევთ მისი შებღალვის უფლებას, ან იმ „საშინელი წარსულის“ გამო, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა, ისევე უნდა მოიხადოთ ბოდიში, როგორც გერმანელებმა მოიხადეს ფაშისტური წარსულის გამო. შეუძლებელია, რომ დიდ სამამულო ომში გამარჯვებას მსოფლიო მნიშვნელობის დადებით მოვლენად აღიარებდე, მის შემოქმედსა და უმაღლეს მთავარსარდალს კი ანათემას გადასცემდე. არ გამოდის ასე. არც მომხდარა ისტორიაში ასეთი სასწაული.**

ჩემი ღრმა რწმენით, რუსეთის გზაც და ისტორიული მისიაც საბოლოოდ 1917 წლის 7-მა ნოემბერმა განსაზღვრა. სოციალისტური რუსეთი (საბჭოთა კავშირი) მიზიდულობის უზარმაზარ ცენტრს ქმნიდა, კაპიტალისტურმა რუსეთმა კი ასეთი ცენტრი ვერ შექმნა, რადგან მიზიდულობის კაპიტალისტურ ცენტრად თვით რუსეთისთვისაც კი კაპიტალისტური დასავლეთი რჩება.

**რუსეთში დიდი შემობრუნება უნდა მოხდეს. რუსეთმა უნდა განაცხადოს 1956, 1985 და 1991 წლებში დაშვებული კატასტროფული შეცდომების შესახებ. მან თავი უნდა დაანებოს ბანდიტურ საწყისებსა და ფსიქოლოგიაზე აღმოცენებული კაპიტალიზმის გზით სიარულს და გეზი კვლავ სოციალისტური საზოგადოებისკენ აიღოს, რათა სრულიად ამოქმედდეს მისი უკიდეგანო პოტენციური შესაძლებლობები. ასეთ შემთხვევაში, ძველი, აწ უკვე საბოლოოდ დანგრეული მსოფლიო წესრიგის ადგილზე ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პერსპექტივაც გაჩნდება და კაცობრიობასაც გარკვეული პერიოდით ამოსუნთქვის შესაძლებლობა მიეცემა.**

**ვალერი კვარაცხელია,**
საქართველო-რუსეთის მეგობრობის ცენტრის ხელმძღვანელი;
საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის პრეზიდენტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
მწერალი და პუბლიცისტი.

**P.S.** ამ მასალაზე მუშაობა დასრულებული მქონდა, როდესაც გერმანიის თავდაცვის მინისტრმა, ქალბატონმა ანეგრეტ კრამპ-კარენბაუერმა ბუნდესტაგში გამოსვლისას ხაზგასმულად თავხედური განცხადება გააკეთა: რუსეთს მხოლოდ ძალის პოზიციიდან უნდა ვესაუბროთო. გერმანიის თავდაცვის მინისტრს, წესით, კი უნდა ახსოვდეს, რასაც ნიშნავს რუსეთთან ძალის პოზიციებიდან საუბარი, მაგრამ, როგორც ჩანს, იდეოლოგიის გარეშე დარჩენილი და ოლიგარქიული სინდრომით დამძიმებული რუსეთი ამ ქალბატონს აღარ ესახება იმ რუსეთად, რომელმაც ძალის ენაზე მოლაპარაკე მის ფაშისტ წინაპრებს რაიხსტაგზე წითელი დროშა აუფრიალა, შემდეგ კი ყველა ერთად ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალზე გაასამართლა.

გერმანიის თავდაცვის მინისტრის ეს პოზიციაც ერთ-ერთი იმ იმპულსთაგანია, რომელიც იმ ფიქრისკენ მიბიძგებს, რომ რუსეთმა საკუთარ მიდგომებში ბევრ რამეს საფუძვლიანად უნდა გადახედოს.

**ვ.კ.**

მეზობელი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არ ვმოქმედებთ დამოუკიდებლად და საგარეო პოლიტიკას ევროპისა და ამერიკის მითითებების შესაბამისად ვგეგმავთ. ამერიკასა და ევროპას კავკასიის ქვეყნებს შორის ცუდი ურთიერთობა ხელს არ აძლევთ, რადგან ასეთ შემთხვევაში აუცილებლად ჩაერევა რუსეთი და რეალურად რუსეთი გადაწყვეტს, რა და როგორ უნდა იყოს... ჩვენ გვემუქრება თურქეთი, ჩვენს ტერიტორიებს ითვისებს აზერბაიჯანი, სამცხე-ჯავახეთს უმზერს სომხეთი და ჩვენ ამ დროს ვცდილობთ, პრობლემა მივაჩუმათოთ, ხმა არ ამოვიღოთ, არაფერი არ ვთქვათ ისეთი, რაც მეზობელს, ვაი და, არ მოეწონოს.**

# დაანახვონ ალიევს ქართული ეკლესიების მდგომარეობა ჰერეთში და მერე ის მოასმენინონ, რასაც ყარაბაღში გაიძახის

**ომის დასრულების შემდეგ მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანი სრულ კონტროლს ამყარებს. მართალია, შიგადაშიგ სომხების მიერ დატოვებული ნაღმები ფეთქდება და გასულ კვირას ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგაც იმსხვერპლა, მაგრამ აზერბაიჯანული მხარე მაინც ძალიან ბედნიერია და ისტორიულ ადგილებს ეფერება. ქვეყნის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი პირადად ამოწმებს ყველაფერს — სოფელ-სოფელ დადის და პირდაპირ ჩართვებსაც ხშირად აკეთებს. ჰოდა, ერთ-ერთი ასეთი პირდაპირი ჩართვისას ალიევი ერთ-ერთ სოფელში იმ მეჩეთთან იდგა, რომლის ნახევარიც სომხებს თივის შესანახად ჰქონდათ, მეორე ნახევარი — საქონლის სადგომად. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ალიევი ასე ამბობდა და გაცოფებული იყო, როგორ შეიძლება, ღმერთის სახლში ასეთი რამ გააკეთო, ეს ხომ უნამუსობა და სიმდაბლეაო. აი, ამ შეფასებაში ნამდვილად ვეთანხმებით აზერბაიჯანის ლიდერს, სიმდაბლე და უნამუსობაა, როცა სალოცავს ან ბოსლად აქცევ, ან საწყობად, ან ნებისმიერ სხვა ფუნქციას მოუნახავ, გარდა იმისა, რისთვისაც აშენდა.**

ისტორია გავიხსენოთ. დაპყრობილ, გამაჰმადიანებულ ქართველს მუსლიმანები „ინგილოს" ეძახდნენ, რაც თურქულად ახალმორჯულებულს ნიშნავს. აქედან მოდის სახელწოდებაც ინგილო, რომელიც დღეს ჰერეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს არ უყვართ, ეხამუშებათ და თავს ჰერს, ჰერებს უწოდებენ და არა ინგილოს. უძველეს ქართულ მიწაზე არაერთი სალოცავია, ზუსტად ისე, როგორც იმავე აზერბაიჯანის მოკავშირე თურქეთის ტერიტორიაზე და რამდენიმეწლიანი ჭიდაობა მიდის ხოლმე იმისთვის, რომ ქართული ეკლესია-მონასტრები ელემენტარულად გადაიხუროს მაინც, წვიმამ და თოვლმა უნიკალური ფრესკები რომ არ გააფუჭოს და ქართული კვალი სამუდამოდ არ წაიშალოს. არადა, აზერბაიჯანული და თურქული მხარე სწორედ ქართული კვალის წაშლას ცდილობენ, მერე კი ეკლესიებს უბრალო ნანგრევებად გამოაცხადებენ და...

ვისაც არ სჯერა, ვეტყვით, რომ **ჰერეთში, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ რამდენიმე ქართულ სალოცავზე უკვე ითქვა, რომ ისინი ალბანური წარმოშობისაა და საერთო არაფერი არ აქვს ქართულთან. უფრო მეტიც, ამ ეკლესიების ეზოებიდან საფლავის ის ქვები გააქვთ, რომლებზეც ქართულად აწერია „უფალო შეიწყალე მონა შენი". ამ ქვებს აქრობენ, ანადგურებენ, რომ შემდეგ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ვერავინ ვერაფერი ვერ დაამტკიცოს.** ყველაზე საინტერესო არის ის, რომ არანაირი მტკიცებულება არ არსებობს ამ ეკლესიების ალბანური წარმომავლობისა, მაგრამ, ქართულიც თუ გაქრება, იტყვიან: არავისი არ ყოფილა, ჩვენს ტერიტორიაზეა და ჩვენიაო. სხვათა შორის, **ალიევს არც იმაზე უთქვამს რამე, ჰერეთში მოქმედ ეკლესია-მონასტრებში საქართველოდან წასულ მღვდლებს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ყოფნის მხოლოდ სამთვიან ვიზას რომ აძლევენ, შემდეგ კი აღარ უგრძელებენ და ეს სასულიერო პირი უკან ბრუნდება, შემდეგ საპატრიარქო ახალს გზავნის და... აქაც დიდი აზრი დევს** — ყოველ სამ თვეში ახალი მღვდლის ჩასვლა მოსახლეობისთვის მძიმე გადასატანია. ისინი ხომ აღსარება-ზიარების საიდუმლოს აზარებენ და დაგვეთანხმებით, რომ სამი თვე ახალ მოძღვართან ურთიერთობისთვის, ნდობის მოსაპოვებლადაა საჭირო და სწორედ მაშინ, როცა ეს ურთიერთობები ეწყობა, ძველი მღვდელი იძულებულია, უკან დაბრუნდეს და მის ნაცვლად ახალი მიდის. ასე გრძელდება რამდენიმე წელიწადი და არც ერთ ხელისუფალს აზრად არ მოსვლია, აზერბაიჯანის ხელისუფლებისთვის ეთქვა: ჩვენს სასულიერო პირებს შეეშვით, ადგილზე დიდი ხნით დატოვეთო. **როგორ გგონიათ, აზერბაიჯანმა საქართველოში არსებული უამრავი მეჩეთიდან ერთ-ერთში მოლა რომ გამოუშვას, ქართული მხარე სამი თვის შემდეგ აიძულებს უკან დაბრუნებას?! რა თქმა უნდა, არა... ან ვერა! ქართული მხარე არც იმას აპროტესტებს, ჰერეთში მცხოვრები ქართველები ვერც პასპორტს რომ ვერ აიღებენ, თუ აზერბაიჯანული სახელი არ უწერიათ დაბადების მოწმობაში. გიორგის, დავითს, ნინოს, მარიამსა** და ა.შ. არავის არ უწერენ დაბადების მოწმობაში, აიძულებენ, აზერბაიჯანული სახელი ეწეროს, შემდეგ ჩვენებური ნათლობის სახელს კი არქმევენ ქართულს, ქრისტიანულს, მაგრამ, ნათლობის სახელი ოფიციალური რომ არაა, ყველა ხვდება, თუმცა არავინ იმჩნევს. ცალკე თემაა ის, რომ **არც ერთი ქართველი აზერბაიჯანულ საჯარო სამსახურში დასაქმებული არ არის, არც ერთი! დამლაგებლის პოზიციაზეც კი არ აჰყავთ ქართველები და ესეც სახელმწიფოს მიდგომაა.** ჩვენთან რა ხდება, ამაზე საუბარს არ ვაპირებთ, მაგრამ, **თუ ჩვენ ვცემთ პატივს, მათგან ანალოგიურ მოპყრობას რატომ არ ვითხოვთ?** ჰო, უნდა მოვითხოვოთ, **უმაღლესი თანამდებობის პირების დონეზე უნდა დადგეს ეს საკითხი,** მაგრამ... მაგრამ აგერ, ბუნებრივი აირის მილი დაზიანდა აჭარაში და მთელი აჭარა გათბობის გარეშე დარჩა. სტრატეგიულ პარტნიორს კი, რამე რომ არ მოეწონოს, შეუძლია, ეს მილი დაზიანების გარეშე გადაკეტოს.

ცალკე თემაა **დავითგარეჯა.** ცალკე იმიტომ, რომ აქამდე ასე იყო — მეზობელ ქვეყანას პრეტენზია არც ერთ ტერიტორიაზე არ ჰქონია, არც ერთ ჩვენს სალოცავზე და თუ ჰქონდა, ეს ყველაფერი დაკონსერვებული იყო. როგორც კი ამ საკითხზე კრინტი დავძარით, აზერბაიჯანმა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ჯარი ჩაგვიყენა საზღვარზე და რამდენიმე სალოცავში ქართველი ბერები დღემდე ვერ შედიან. ახლა **გაირკვა, რომ სააკაშვილის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძეს უთქვამს, — გარეჯი საქართველოს ტერიტორია არ არისო. მართალია, ქალბატონი ნინო ამბობს, ეს წინადადება კონტექსტიდან არის ამოგლეჯილიო, მაგრამ როგორ უნდა ამოგლიჯო ის, რომ თურმე გარეჯი საქართველოს ტერიტორია არ არის?!** ყველაზე საინტერესო ამ მიმართულებით არის ის, რომ, **ტერიტორიების წართმევის მიუხედავად (ჯარი უყენია და ჩვენ არ გვიშვებს, წართმევა სხვა რა არის?!), არც ერთ ქართველ პოლიტიკოსს არ უთქვამს, რომ აზერბაიჯანი ოკუპანტია. რატომ? იმიტომ, რომ ევროპა-ამერიკა არ მოითხოვს ამას, ისინი რუსეთის კრიტიკას მოითხოვენ, რუსეთს უნდა ვეძახოთ მუდმივად მტერი და ოკუპანტი და მერე რა, რომ ბუნებრივი აირის ნაწილი თუ აზერბაიჯანიდან მოდის, 70%-ს რუსეთიდან ვიღებთ. პურის ფქვილის დასამზადებელი ხორბლის 100% რუსეთიდან რომ შემოდის, ეგ ცალკე თემაა და... ის ოკუპანტია, ეს — არა. რა გამოდის? გამოდის ის, რომ არ ვმოქმედებთ დამოუკიდებლად და საგარეო პოლიტიკას ევროპისა და ამერიკის ინტერესების შესაბამისად ვგეგმავთ. ამერიკასა და ევროპას კავკასიის ქვეყნებს შორის ცუდი ურთიერთობა ხელს არ აძლევთ, რადგან ასეთ შემთხვევაში აუცილებლად ჩაერევა რუსეთი და რეალურად რუსეთი გადაწყვეტს, რა და როგორ უნდა იყოს.** ამიტომ ნებისმიერმა ქვეყანამ რაღაცები უნდა აიტანოს, მაგრამ, ბედის ირონიით, ატანა მხოლოდ ჩვენ გვიწევს; **ჩვენ გვემუქრება თურქეთი, ჩვენს ტერიტორიებს ითვისებს აზერბაიჯანი, სამცხე-ჯავახეთს უმზერს სომხეთი და ჩვენ ამ დროს ვცდილობთ, პრობლემა მივაჩუმათოთ, ხმა არ ამოვიღოთ, არაფერი არ ვთქვათ ისეთი, რაც მეზობელს, ვაი და, არ მოეწონოს.**

ხომ საინტერესოა, **რატომ ხედავს ალიევი ყარაბაღში შეურაცხყოფილ მეჩეთებს და რატომ ვერ ხედავს ჰერეთში დასანგრევად განწირულ ეკლესიებს?** არ იცის? გამორიცხულია! ძალიან კარგად იცის, მაგრამ მოქმედებს საკუთარი პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე. ჰო, საკუთარი და დღეს ალიევი ნებისმიერი აზერბაიჯანელისთვის პატრიოტია, რადგან წართმეული დაიბრუნა. პატრიოტი იქნება მაშინაც, თუ გარეჯის მიმდებარე ტერიტორიას საბოლოოდ შეუერთებს აზერბაიჯანს და როგორ გგონიათ, საქართველოში მცხოვრები ასიათასობით აზერბაიჯანელი ამას გააპროტესტებს თუ პირიქით — ტაშს დაუკრავს? ყარაბაღის ომმა ისიც ხომ ნათლად დაგვანახვა, რომ დრონებით მოგებული ომის პირობებში **საქართველოს მიერ შეძენილი „ჯაველინები" სასაცილოდ ჩანს?** ხომ გამოჩნდა, რომ ათასი „ჯაველინიც" რომ ჰქონოდა სომხეთს, უბრალოდ, ვერ გამოიყენებდა? დასკვნა მარტივია: იცოდა ამერიკამ, რომ „ჯაველინები" თანამედროვე პირობებში გამოუსადეგარია და გადაყრა-განადგურებას, აგერ, ჩვენ შემოგვტენა 75 მილიონად, ჩვენმა მთავრობამ კიდევ ხმის ამოუღებლად შემოიტენა, ალბათ მავანთა კერძო გამორჩენის სანაცვლოდ.

ნამდვილად არ გვინდა, ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს შუღლის გაღვივებას ვცდილობდეთ. პირიქით, არანაირი კონფლიქტი და არანაირი დაპირისპირება არ გვსურს. ჩვენი სიტყვები ჩვენს მთავრობას ეკუთვნის, როცა საქმე ქვეყნის ინტერესებს ეხება, კონკრეტული ნაბიჯებია საჭირო და არა ხალხის დასანახად ბრტყელ-ბრტყელი ფრაზების რახა-რუხი. უბრალოდ, მხარეები ერთ მაგიდასთან უნდა დასხდნენ და დაილაპარაკონ მარტივ თემებზე. **დაანახვონ ალიევს ქართული ეკლესიების მდგომარეობა ჰერეთში და მერე ის მოასმენინონ, რასაც ყარაბაღში გაიძახის.** დასხდნენ არა მხოლოდ ქართველი და აზერბაიჯანელი, არამედ სხვა ქვეყნების ისტორიკოსებიც და დაადასტურონ, რომ დავითგარეჯა თავისი სალოცავებით ოდითგანვე იყო ქართული ტერიტორია და არანაირი ალბანური წარმოშობის ძეგლები იქ, უბრალოდ, არ არსებობს. სხვაგვარად, არაფერი არ გამოვა და სირაქლემის პოზაში ყოფნა არას გვარგებს. ერთხელაც იქნება, სირაქლემის პოზაში მდგომ ქვეყანას უკნიდან სხვა მიადგება და... თუ მიმდგარი არ არის უკვე...

**ბესო ბარბაქაძე**



ილჰამ და მეჰრიბან ალიევები აღდამის მეჩეთში

**ჰერეთში, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ რამდენიმე ქართულ სალოცავზე უკვე ითქვა, რომ ისინი ალბანური წარმოშობისაა და საერთო არაფერი არ აქვთ ქართულთან. უფრო მეტიც, ამ ეკლესიების ეზოებიდან საფლავის ის ქვები გააქვთ, რომლებზეც ქართულად აწერია «უფალო შეიწყალე მონა შენი». ამ ქვებს აქრობენ, ანადგურებენ, რათა შემდეგ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ვერავინ ვერაფერი ვერ დაამტკიცოს**

**ტერიტორიების წართმევის მიუხედავად (ჯარი უყენია და ჩვენ არ გვიშვებს, წართმევა სხვა რა არის?!), არც ერთ ქართველ პოლიტიკოსს არ უთქვამს, რომ აზერბაიჯანი ოკუპანტია. რატომ? იმიტომ, რომ ევროპა-ამერიკა არ მოითხოვს ამას, ისინი რუსეთის კრიტიკას მოითხოვენ, რუსეთს უნდა ვეძახოთ მუდმივად მტერი და ოკუპანტი და მერე რა, რომ ბუნებრივი აირის ნაწილი თუ აზერბაიჯანიდან მოდის, 70%-ს რუსეთიდან ვიღებთ. პურის ფქვილის დასამზადებელი ხორბლის 100% რუსეთიდან რომ შემოდის, ეგ ცალკე თემაა და... ის ოკუპანტია, ეს — არა**

**ბაიდენმა მრავალმნიშვნელოვანი და უკიდურესი ამბიციურობით გაჟღენთილი განცხადება გააკეთა: „მსოფლიო თვითორგანიზაციის უნარს არის მოკლებული. ამერიკა მაგიდის თავში უნდა დაჯდეს“ (ლეიბორისტების ფანჩატურში გრძელ მაგიდასთან ჩამომჯდარი ჩვენი ოპოზიციონერები გაგახსენდებათ უნებურად).**

ჯობამას ფანჩატურში
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტრამპი მიდის, ჯობამა მოდის

**წერილი, რომელსაც შემოგთავაზებთ, ორიგინალური არ არის, კომპილაციაა, გასულ კვირაში ექსპერტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების კრებული ჩვენი დღეების აქტუალურ თემაზე — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნებზე.**
**სხვების მიერ გაკეთებული დასკვნებია, ზოგჯერ მიმომხილველისეული განმარტებებით. ხოლო „ჯობამა“ უფრო ტერმინია, ვიდრე სახელი (სათაურში რომ წაიკითხეთ) ჯო ბაიდენისა და ტრამპამდელი პრეზიდენტის — ბარაკ ობამას სახელების ნაჯვარი.**



ჯენიფერ ფსაკი

იგი მიგვანიშნებს **ბარაკ ჰუსეინ ობამას** მმართველობის პერიოდის სტრატეგიული მიზნების შემობრუნებაზე ტრამპის მიერ გზააბნეულ ამერიკაში. მარტივი სიმბოლოა. დაცინვის მსუყე დოზით შეზავებული. ვერ იტყვი, რომ ენამოსწრებულობის ნიმუშია, მაგრამ, ჩვენი ოპოზიციისა არ იყოს, რაც არის — ეგაა.

ეგ კი „მემია“, დღევანდელი ინტერნეტის ჟარგონი. ცინიკური მინიშნება ვინმეზე თუ რამე მოვლენაზე, რომელსაც სოცქსელებში გამოიყენებენ, როგორც გასართობ კონტენტს.

ბაიდენის მოსვლის ხელშესახებ „მემად“ წარმოგვიდგება **ჯენიფერ ფსაკი,** ობამას პრეზიდენტობის პერიოდში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, წითელთმიანი ფურია, მრისხანე და შურისმაძიებელი მითოლოგიური ქალღმერთის გაცრეცილი ვარიაცია, რომელიც **„ბელარუსის ზღვის“** სანაპიროსთან ამერიკული ავიამზიდების გამოჩენით დაემუქრა მოწინააღმდეგეთა ბანაკს და იმის გასაგებად, რას ნიშნავდა საარჩევნო კარუსელი, კოლეგებთან კონსულტაციის გასავლელად დრო მოითხოვა.

**მას შემდეგ კარგა ხანს ეძებდნენ „ბელარუსის ზღვას“. ჯენიფერი კი არავის მოუკითხავს. დაითხოვეს. ამ დღეებში აღმოაჩინეს. „ბელარუსის ზღვა“ კი არა, ფსაკი, რომელიც ბაიდენმა პრესმდივნად დააბრუნა: ეტყობა, ცენტრალური ევროპის გეოგრაფიის შემსწავლელი კურსები გაატარეს და არჩევნების გაყალბების თეორიაც შეასწავლეს. პრაქტიკას კი აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნების დროს გაივლიდა.**

ფსაკიც „მემად“ იმიტომ ჩამოყალიბდა, რომ (ამასაც ანალიტიკოსები აცხადებენ), ამერიკის იმდროინდელი დიპლომატია ასეთი „ორიგინალური თავისებურებით“ იყო გამორჩეული. ხოლო თვითონ ამ ქალბატონმა ისეთი „პოპულარობა“ მოიხვეჭა, რომ ტანსაცმლის მაღაზიებში გამოიტანეს მაისურები წარწერით „ნოუ ფსაკი“.

ერთხელაც ვახსენოთ: ეს შეუცვლელი მოხელე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — **ჯონ კერის** სამსახურში იდგა, რომელიც (კერი), ჩატარებული კვლევების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ამ ქვეყნის ისტორიაში უცუდესი (უვარგისი) სახელმწიფო მდივანი იყო. ასე მიიჩნევენ ამერიკელები.

თუმცა არც ბაიდენს განიხილავენ დიდ სახელმწიფო მოღვაწედ. ყოველ შემთხვევაში ისინი, ვინც ვიცეპრეზიდენტობიდან მოყოლებული, მის საქმიანობას თვალს ადევნებდნენ.

და — მანამდეც.

**ეს-ესაა ბაიდენმა მრავალმნიშვნელოვანი და უკიდურესი ამბიციურობით გაჟღენთილი განცხადება გააკეთა: „მსოფლიო თვითორგანიზაციის უნარს არის მოკლებული. ამერიკა მაგიდის თავში უნდა დაჯდეს“** ***(ლეიბორისტების ფანჩატურში გრძელ მაგიდასთან ჩამომჯდარი ჩვენი ოპოზიციონერები გაგახსენდებათ უნებურად).***

ობამას „გუგულმა გადაუფრინა“ ამერიკის განსაკუთრებულობით შეპყრობილთა სამკურნალო დაწესებულებას. ეს შედარება უთუოდ დაიბადებოდა უცხოეთის პრესის წიაღში ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ჰუსეინ ობამა სამხედრო აკადემიის — ვესტ პოინტის მსმენელებთან საზეიმო შეხვედრისას წარმოთქვამდა სიტყვას შეერთებული შტატების ბედისმიერი მისიის შესახებ კაცობრიობის ისტორიაში.

არ დაბადებულა.

მით უკეთესი — პლაგიატორობას ვერავინ დაგვწამებს.

იდგა აღგზნებული პრეზიდენტი უნიფორმაში გამოწყობილი კურსანტების ამფითეატრის წინ და განაცხადებდა *(თარგმანი არაოფიციალურია):*

„ამერიკა, როგორც ყოველთვის, უძლიერესია მსოფლიოში. ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის, ცალმხრივად გამოიყენოს სამხედრო ძალა... საქმე ის კი არ არის, იყოს თუ არა ამერიკა ლიდერი, არამედ ის, რისთვის, რომელი მიზნის განსახორციელებლად უნდა ილიდეროს — მხოლოდ ჩვენი სიმშვიდისა და საკუთარი კეთილდღეობისთვის, თუ მსოფლიოში სიმშვიდისა და კეთილდღეობის დასამყარებლად. ამერიკა ვალდებულია, იყოს ლიდერი მთელ მსოფლიოში, ამას სხვა ვერავინ შეძლებს. გულწრფელად მჯერა ამერიკის განსაკუთრებულობის. განსაკუთრებულობას გვიქმნის არა ჩვენ მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა, არამედ მის გასამყარებლად ჩვენი საქმიანი მზადყოფნა“.

გავიხსენეთ!

ჩანს, რომ აშშ ბაიდენის ხელში ამ ლოზუნგებით შეუტევს მსოფლიოს თავისი განსაკუთრებული უპირატესობის დასამტკიცებლად.

ის, რაც ამერიკას სჭირს, ფსიქიატრიაში **პარაფრენიად** იწოდება. პარაფრენული სინდრომით დაავადებული საკუთარ თავს მსოფლიოს პატრონად და თვითმპყრობელად მიიჩნევს. აცხადებს, რომ კაცობრიობის ბედი მის ხელშია, ომი თუ მშვიდობა მისი გადასაწყვეტია.

ფსიქიატრიის ცნობარში მითითებულია, რომ თავიანთ ძლიერებაზე საუბრისას პაციენტები იყენებენ გრანდიოზულ შედარებებსა და მეტაფორებს, არ ცდილობენ თავიანთ

**კარგა ხანს ეძებდნენ «ბელარუსის ზღვას». ჯენიფერი კი არავის მოუკითხავს. დაითხოვეს. ამ დღეებში აღმოაჩინეს. «ბელარუსის ზღვა» კი არა, ფსაკი, რომელიც ბაიდენმა პრესმდივნად დააბრუნა: ეტყობა, ცენტრალური ევროპის გეოგრაფიის შემსწავლელი კურსები გაატარეს და არჩევნების გაყალბების თეორიაც შეასწავლეს**

მტკიცებულებათა არგუმენტირებულ დადასტურებას.

მძიმე შემთხვევაა...

ტრამპს თავისი მმართველობის ოთხწლიან ვადაში არცერთი ომი არ წამოუწყია. ექსპერტები მარჩიელობენ, ახალი ადმინისტრაცია სად დაანთებს ახალი კონფლიქტების ცეცხლს — ეთიოპიაში, ლიბიაში თუ სადმე სხვაგან. საქმე აქეთკენ რომ მიდის, ერთსულოვანნი არიან.



ენტონი ბლინკენი

თუმცა მანამდე გასარკვევია, შეძლებს კი ბაიდენი თეთრ სახლში შესვლას, იმის დამტკიცებას, რომ მის მხარდასაჭერად მიცემული 80 მილიონი „აბსურდული ხმა“ ნაყალბევი არ არის და სავსებით კანონიერია.

ამერიკა ელოდება 14 დეკემბერს — აირჩევენ თუ არა ხმოსნები ბაიდენს პრეზიდენტად.

**ტრამპი მიიჩნევს, რომ 20 იანვრამდე (პრეზიდენტის ინაუგურაციამდე) ბევრი რამ შეიძლება მოხდეს: „პროგრამა, რომელიც არჩევნების პერიოდში მოქმედებდა, ბევრჯერ ცდებოდა, მაგრამ ყოველთვის ბაიდენის სასარგებლოდ“, — აცხადებს დამარცხებულად შერაცხული ტრამპი.**

დემოკრატები კი მოითხოვენ, რომ, როცა პრეზიდენტს უფლებამოსილების ვადა ამოეწურება, მის წინააღმდეგ გაგრძელდეს დღეისთვის შეწყვეტილი გამოძიება.

ორივე მხარე თავისი სამრეკლოდან რეკავს.

ბაიდენი კი უკვე ადგენს გუნდს, იწვევს თავის ძველ ნაცნობებს, რომლებთან ერთადაც უმუშავია, იმათ, რომლებიც მზად არიან, „მიუსხდნენ მმართველობის მაგიდას, მართონ მსოფლიო და დაუპირისპირდნენ მოწინააღმდეგეებს, დაიცვან ამერიკის გლობალური პრინციპები და მორალური ლიდერობა“.

სახელმწიფო დეპარტამენტს, როგორც ჩანს, ჩააბარებს ობამას დროს სახელმწიფო მდივნის ყოფილ მოადგილე **ენტონი ბლინკენს,** რომლის ბაბუა მორის ბლინკენი რუსეთიდან ამერიკაში გახიზნული ებრაელი იყო, მამინაცვალი — ფაშისტების საკონცენტრაციო ბანაკიდან ამერიკელების მიერ გათავისუფლებული ტუსაღი, რომელიც, ტანკისტი აფროამერიკელი რომ დაინახა, მუხლებზე დაემხო და სრულად დახარჯა ინგლისური ენის თავისი სამსიტყვიანი მარაგი: „ღმერთო, დაიფარე ამერიკა!“ — ახალ ლეგენდას ყვება ბლინკენი და ასკვნის: „აი, რა არის ამერიკა მთელი მსოფლიოსთვის!“

ასეთებს იკრებს თავის გარშემო ბაიდენი და, რაც მთავარია, დღევანდელი მოდის პარამეტრებიდან რომ არ ამოვარდეს, სამუშაოდ იწვევს გეებსაც და ლესბოსელებსაც.

ტრამპმა, ტრადიციისამებრ, შეიწყალა მადლიერების დღის აღსანიშნავი სუფრის მთავარ კერძად შესაწირი ორი თეთრი ინდაური: აპირებს **ჯულიან ასანჟისა** და **ედუარდ სნოუდენის** — სახელმწიფო „საიდუმლოებათა გამცემთა“ შეწყალებასაც.

ამას ამერიკის მმართველი ელიტა ვერ შეეგუება!

სამაგიეროდ შეეგუა (ან არ სურს, აღიაროს) საარჩევნო ბიულეტენებთან დაკავშირებულ სიყალბეებს, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, არჩევნების ძირითადი ინდიკატორია. როცა ამ მანიპულაციების საჯაროდ გამომტან სპეციალისტს შეეკითხნენ, შეუძლია თუ არა დაასახელოს, ერთ კონკრეტულ შემთხვევაში რამდენი ხმა მიიღო ტრამპმა და რამდენი ბაიდენმა, პასუხად მიიღეს: დაახლოებით 570 ათასი ბაიდენმა და სამი ათასით მეტი ტრამპმა.

პენსილვანიის შტატის სენატში განიხილეს ადგილობრივი რესპუბლიკელებისა და ტრამპის ადვოკატების მიერ ინიცირებული გაყალბებების საკითხი. მოწმეებმა აჩვენეს, რომ ხმის მისაცემად ფოსტით გააგზავნეს ერთი მილიონ 800 ათასი ბიულეტენი, უკან კი მეტობით დაუბრუნდათ ორმილიონ-ნახევარი(!).

ქაოსია.

ერთი რამაა გარკვეული: ამერიკელების 50 პროცენტი მხარს უჭერს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის კანდიდატურის წამოყენებას.

ვინც დაინტერესებულია, დაელოდოს...

* * *

**მადლიერების აღნიშვნის წინა დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში კორონავირუსით დაავადებული 2100 ადამიანი გარდაიცვალა.**

**ა.ს.**

**ის, რაც ამერიკას სჭირს, ფსიქიატრიაში პარაფრენიად იწოდება. პარაფრენული სინდრომით დაავადებული საკუთარ თავს მსოფლიოს პატრონად და თვითმპყრობელად მიიჩნევს. აცხადებს, რომ კაცობრიობის ბედი მის ხელშია, ომი თუ მშვიდობა მისი გადასაწყვეტია**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტრანსწყნარი ოკეანის პარტნიორობას მოკლე ხანში შთანთქავს ყოვლისმომცველი რეგიონული ეკონომიკური პარტნიორობის შეთანხმება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საერთო ეკონომიკური წონა სავაჭრო კავშირისა, პეკინის მეთაურობით, 30%-ს გადააჭარბეს და, სავარაუდოდ, მსოფლიო ეკონომიკის 35%-ს მიუახლოვდება.**

# ჩინეთმა თავისი სამომავლო კლასტერი შემოსაზღვრა



**ასეანის ქვეყნების (ვიეტნამი, ტაილანდი, მიანმა, ლაოსი, კამბოჯა, მალაიზია, სინგაპური, ინდონეზია, ბრუნეი და ფილიპინები) ონლაინსამიტის შემდეგ გამოცხადდა, რომ ხელი მოეწერა შეთანხმებას ყოვლისმომცველი რეგიონული ეკონომიკური პარტნიორნობის შესახებ. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის წევრების გარდა ამ შეთანხმებას, აგრეთვე, ხელი მოაწერეს ჩინეთმა, იაპონიამ, სამხრეთ კორეამ, ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ.**

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო საბჭოს პრემიერმა **ლი კექიანმა** განაცხადა, რომ შეთანხმების გაფორმება ყოვლისმომცველი რეგიონული ეკონომიკური პარტნიორობის შესახებ „ეს არის არა მხოლოდ გარღვევა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკურ ინტეგრაციაში, არამედ მრავალმხრივობისა და თავისუფალი ვაჭრობის გამარჯვება“. და ეს მართლაც ასეა.

**მსოფლიო ბანკის 2019 წლის მონაცემებით, ყოვლისმომცველი რეგიონული ეკონომიკური პარტნიორობა საერთო სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში 25,56 ტრილიონი დოლარის მშპ-ს ქმნის და ეს პლანეტის ეკონომიკის 30%-ია.**

ზემოაღნიშნული შეთანხმების ხელმოწერაში მნიშვნელოვანია ორი მომენტი: პირველი — ეკონომიკური კავშირის ზემომოყვანილი მონაცემები და მასშტაბი საბოლოო არ არის. ის მოიცავს იაპონიასაც, ლიდერს სხვა ეკონომიკური გაერთიანებისა — ყოვლისმომცველი და პროგრესული ტრანსწყნარი ოკეანის პარტნიორობის. ამ გაერთიანების შექმნის იდეა ინიცირებული იყო აშშ-ისა და მისი პარტნიორების — ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მიერ.

**მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპმა ყოვლისმომცველი და პროგრესული ტრანსწყნარი ოკეანის პარტნიორობის შეთანხმებიდან გაიყვანა აშშ, ეს პარტნიორობა უსახელურო ჩემოდანს დაემსგავსა. ერთი მხრივ, შეთანხმებიდან გასვლა, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია, რადგან 10 წელზე მეტ ხანს მიმდინარეობდა მოლაპარაკებები მისი შექმნის შესახებ; მეორე მხრივ, ამერიკული სამომხმარებლო ბაზრის გარეშე შეთანხმებამ, პრაქტიკულად, აზრი დაკარგა, რადგან ამ შეთანხმების დანარჩენ წევრებს შორის ვაჭრობის მოცულობა დიდი არ ყოფილა, თუმცა პატარა სარგებელი პარტნიორებისთვის ჰქონდა, ამიტომაც არ გააუქმეს.**

ორი შეთანხმების გადაკვეთა იაპონიის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის გავლით ყოვლისმომცველ პროგრესულ ტრანსწყნარი ოკეანის პარტნიორნობის შეთანხმებას მისთვის ასე საჭირო პრაქტიკულობის სულს შთაბერავს. ასე რომ, **ტრანსწყნარი ოკეანის პარტნიორობას მოკლე ხანში შთანთქავს ყოვლისმომცველი რეგიონული ეკონომიკური პარტნიორობის შეთანხმება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საერთო ეკონომიკური წონა სავაჭრო კავშირისა პეკინის მეთაურობით 30%-ს გადააჭარბეს და, სავარაუდოდ, მსოფლიო ეკონომიკის 35%-ს მიუახლოვდება.**

ამ შეთანხმების წევრები არ არიან აშშ, არც ევროკავშირი, რუსეთი და ევრაზიის ეკონომიკური კავშირი. უფრო მეტიც, ამ შეთანხმების წევრობა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის დანარჩენ ქვეყნებს ძალიან გაუჭირდებათ. **ამ შეთანხმებაში მძლავრ ჩინეთს აბსოლუტური უპირატესობა ექნება დანარჩენ „პარტნიორებზე“. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშპ 4-ჯერ მეტია იაპონიის მშპ-ზე, თითქმის 10-ჯერ აღემატება სამხრეთ კორეისას, 12-ჯერ მეტია ავსტრალიის მშპ-ზე, ლაპარაკი აღარ არის ტაილანდის, სინგაპურისა და ახალი ზელანდიის მშპ-ზე.**

ეკონომიკური გრავიტაციის კანონები არაფრით ჩამორჩება ციური მექანიკის ფუნდამენტურ კანონებს. **20 წლის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც შეთანხმების მონაწილეები გააუქმებენ შიდა ეკონომიკურ და სავაჭრო შეზღუდვებს, ყოვლისმომცველი რეგიონული ეკონომიკები მთლიანად დამოკიდებული იქნება ჩინეთზე. ასეთი საერთო ბაზრის შექმნით ჩინეთი გარანტირებულად გადაიქცევა მონოპოლისტურ ცენტრად, რომელიც დააწესებს ამ ცენტრის ცხოვრების წესებსა და რიტმს. ამის მიღწევის შემდეგ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აღარ იქნება დამოკიდებული ევროპისა და ამერიკის სამომხმარებლო ბაზრებზე.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩინეთმა ჩვენ თვალწინ შემოსაზღვრა თავისი სამომავლო დახურული სავაჭრო-სამრეწველო ეკონომიკური კლასტერი. და ამასთანავე, ყველას უჩვენა, რომ მსოფლიოს თავისუფლად შეუძლია ამერიკის გარეშე არსებობა.

დადგა დრო, ყველა ქვეყანა დაფიქრდეს, რომელი იდეოლოგიით იაროს.

**russtrat.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**





სერგეი გლაზიევი

# «იწყება მსოფლიოს გლობალური გადანაწილება. რუსეთს შეუძლია, საკვანძო როლი ითამაშოს»

**რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი სერგეი გლაზიევი დარწმუნებულია, რომ იწყება მსოფლიოს გლობალური გადანაწილება, ჩნდება ეკონომიკური განვითარების ახალი ცენტრები, აშშ და ევროპა ჩვენ თვალწინ იშლება და ამ ვითარებაში რუსეთს შეუძლია საკვანძო როლი ითამაშოს, მაგრამ ამისთვის განსაკუთრებული ძალისხმევის გამოჩენა დასჭირდება.**

ეკონომისტი, რუსეთის აკადემიის აკადემიკოსი, ინტეგრაციისა და მაკროეკონომიკური ძირითადი მიმართულებების ევრაზიის ეკონომიკური კომისიის კოლეგიის წევრმა (მინისტრმა) **სერგეი გლაზიევმა** რუსეთის წინაშე არსებულ გამოწვევებზე ილაპარაკა და განაცხადა, რომ აშშ-ისა და ევროპის დაცემის ფონზე მსოფლიო არენაზე გამოჩნდა ახალი ლიდერი — სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, სადაც ამჟამად თავისი პოზიციების განმტკიცებას განაგრძობს ჩინეთი. მიმდინარე წელს ჩინეთის ეკონომიკამ უკვე დაძლია კორონავირუსით გამოწვეული დაცემა.

„ჩვენი ქვეყნისთვის ეს ძალიან სერიოზული გამოწვევაა, რომელიც განპირობებულია იმით, რომ **საბჭოთა კავშირის კრახის შემდეგ ჩვენ დავკარგეთ ეკონომიკური სუვერენიტეტი და, ფაქტობრივად, ევროპული და ამერიკული ეკონომიკების დანამატად, პერიფერიად ვიქეცით. საბჭოთა კავშირის კრახის შემდეგ ჩვენი ნედლეულის, ჩვენი ქვეყნიდან გატანილი ტრილიონზე მეტი დოლარის კაპიტალის ხარჯზე, ტვინების კოლოსალური გადინების ხარჯზე აშშ-მა და ევროპამ შეძლეს, უზრუნველად ეცხოვრათ კიდევ მეოთხედი საუკუნე, მაგრამ 2009 წლიდან მსოფლიო შევიდა კაპიტალის სისტემური დაგროვების საუკუნეობრივი ციკლების გარდაუვალი ცვლილების ფაზაში“,** — აღნიშნა გლაზიევმა.

ყოველი ასეთი ცვლილება — ეს არის მსოფლიო ომები, გამოწვეული იმით, რომ წარმავალი ჰეგემონების გაბატონებული ელიტა გლობალური განვითარების ლიდერები, რომლებსაც აღარ შეუძლიათ მსოფლიო ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის აღმასვლა, ყველანაირად ცდილობენ დომინაციის შენარჩუნებას მსოფლიოში.

„დომინანტის როლის შესანარჩუნებლად ისინი აჩაღებენ ომს ეკონომიკური აქტიურობის იმ ახალ ცენტრთან, რომლებსაც ვერ აკონტროლებენ. ეკონომიკური აქტივობის ახალი ცენტრები, როგორც წესი, წარმოიქმნება პერიფერიებზე და ისინი ამისთვის ძველი ცენტრების ტექნოლოგიებს, ინსტიტუტებსა და ცოდნა-გამოცდილებას იყენებენ. ამასთანავე, როცა ძველი ეკონომიკური ცენტრები წყვეტენ თავიანთ განვითარებას, ახალი ცენტრები ითვისებენ სხვა ინსტრუმენტებს, ავითარებენ თავიანთ ინსტიტუტებს, იყენებენ წარმოების ორგანიზების ახალ მეთოდებს და ეყრდნობიან ახალ ტექნოლოგიებს. შედეგად ახალი ეკონომიკური ცენტრები ეკონომიკური ნახტომით წინა პლანზე გამოდიან“, — აღნიშნა აკადემიკოსმა.

**რუსეთმა უნდა მოასწროს მომენტის დაჭერა და გამოიყენოს თავისი პოტენციალი და ინსტრუმენტები. სერგეი გლაზიევი დარწმუნებულია, რომ რუსეთს შეუძლია ამის გაკეთება, ოღონდ ამისთვის საჭიროა ეკონომიკური განვითარების პრინციპების შეცვლა.**

**tsargrad.tv-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**ამ შეთანხმებაში მძლავრ ჩინეთს აბსოლუტური უპირატესობა ექნება დანარჩენ «პარტნიორებზე». ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშპ 4-ჯერ მეტია იაპონიის მშპ-ზე, თითქმის 10-ჯერ აღემატება სამხრეთ კორეისას, 12-ჯერ მეტია ავსტრალიის მშპ-ზე, ლაპარაკი აღარ არის ტაილანდის, სინგაპურისა და ახალი ზელანდიის მშპ-ზე**



**რადიკალურად განწყობილი ეკოლოგების დოგმების მიხედვით, სამრეწველო საწარმოები, რომლებიც ჯერ კიდევ მუშაობს ბრიტანეთში, უნდა დაიხუროს, ხოლო იმპორტი იმ ქვეყნებიდან, რომლებიც არ ზრუნავენ ნახშირორჟანგის შემცირებაზე, დიდი თანხით უნდა დაიბეგროს. საცხოვრებლებიც ეკოლოგიურად სუფთად უნდა გათბეს, ეს კი ბევრისთვის გათბობაზე უარის თქმას ნიშნავს.**

ეკოლოგიური აბსურდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ოქროს მილიარდის“ ცხოვრების სტანდარტები განუხრელად მცირდება და უარესდება. ბრიტანელებისთვის ავტომობილი მალე აღარ იქნება გადაადგილების უბრალო საშუალება. ავტომობილის კვალდაკვალ ფუფუნების საგნების ჩამონათვალში შეიძლება მოხვდეს ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, წამალი და გათბობა.**

# ინგლისელებს მასობრივ გაღარიბებაზე «დატესტავენ»

ამ ყველაფრის მიზეზია ბრძოლა გლობალურ დათბობასთან, რომელიც, როგორც ზოგიერთი ამბობს, ყველა ბუნებრივ კატასტროფაზე საშინელი შეიძლება იყოს. ამ ბრძოლის დაწყებას გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე მოსინჯავენ — „ცივილიზებული სამყაროს პეტრას ფინჯანში“, როგორც ამ ქვეყანას უწოდეს სერიალ „შერლოკში“.

დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი **ბორის ჯონსონი** ამ დღეებში აპირებს „კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის“ გეგმის გამოცხადებას. მიზანი ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის ნულამდე შემცირებაა. **ეკოლოგიური ვითარებით შეწუხებული საზოგადოება ელის, რომ ჯონსონი უკვე 2030 წლისთვის აკრძალავს წარმოებას და შესყიდვას იმ ავტომობილებისა, რომლებიც ბენზინზე ან დიზელზე მუშაობს.**

რადიკალურად განწყობილი ეკოლოგების დოგმების მიხედვით, სამრეწველო საწარმოები, რომლებიც ჯერ კიდევ მუშაობს ბრიტანეთში, უნდა დაიხუროს, ხოლო იმპორტი იმ ქვეყნებიდან, რომლებიც არ ზრუნავენ ნახშირორჟანგის შემცირებაზე, დიდი თანხით უნდა დაიბეგროს. საცხოვრებლებიც ეკოლოგიურად სუფთად უნდა გათბეს, რაც ბევრისთვის გათბობაზე უარის თქმას ნიშნავს.

**დათბობასთან ბრძოლა სინამდვილეში წარმოადგენს პროტექციული ზომების ერთობლიობას, რომლებმაც უნდა შეაკავოს ეკონომიკური ექსპანსია ისეთი ქვეყნებისა, როგორიც არის რუსეთი, ჩინეთი, ბრაზილია. მაგრამ ამ ზომებმა „ოქროს მილიარდის“ ქვეყნებსაც შეიძლება ძლიერად დაარტყას.**

თუ მსგავსი გეგმა მართლაც განხორციელდება, ერთ-ერთი მდიდარი ქვეყნის მცხოვრებნი ამჟამინდელ ფასებში ველარ შეიძენენ იაფფასიან ავტომობილებს, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, ვერც წამლებსა და საკვებ პროდუქტებს, ამასთანავე, არ ექნებათ გათბობა. **იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა განადგურებული მრეწველობით განწირული იქნება ყველაფრის დეფიციტისთვის, ბრიტანელთა სამომხმარებლო სტანდარტები მეორე მსოფლიო ომის პერიოდის სტანდარტებამდე დავა — პროდუქტები ბარათებით, ყავის ნაცვლად ვარდკაჭკაჭა და შავ ბაზარზე ნაყიდი ქალის წინდები.**

**სიტუაციის პიკანტურობა არის ის, რომ ჯონსონი დაპატენტებული კლიმატური დისიდენტია. როგორც ტრამპს, მასაც არასოდეს სჯეროდა გლობალური დათბობის და დაუფარავად დასცინოდა ეკოლოგების ისტერიკას. „თუ პინგ-პონგის თამაშისას გავოფლიანდები, ამას გლობალურ დათბობას არ დავაბრალებ“, — წერდა ის ერთ-ერთ გაზეთში 4 წლის წინათ.**

ბრექსიტზე მოლაპარაკებების გადავადებით ბრიტანეთის პრემიერმინისტრი იმედოვნებდა, რომ შეძლებდა ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობის მოწესრიგებას და ყველა იმ შეზღუდვის თავიდან აცილებას, რომელთა დაწესებასაც ევროპელები თავიანთი მწარმოებლებისთვის აპირებენ. **კუნძული უნდა გადაქცეულიყო რაღაც საერთოევროპულ ოფშორად თავისი საგადასახადო, შრომითი და ეკოლოგიური კანონმდებლობით, მაგრამ ასე არ მოხდა.**

ევროკავშირთან ვაჭრობა რომ არ შეწყდეს, საჭიროა, დაიწყოს ბრძოლა დათბობასთან — მან დიდი ეკონომიკური პრობლემებიც რომ შექმნას. დამატებითი სტიმულია აშშ-ის ხელისუფლების სათავეში **ჯო ბაიდენის** გუნდის მოსვლა, რომელიც შეეცდება Green Deal-ის („მწვანე გარიგების“) განხორციელებას. **GREEN DEAL-ი ითვალისწინებს ინდუსტრიის, ნავთობისა და ბუნებრივი აირის პრაქტიკულად განადგურებას იმისთვის, რომ ყველა რესურსი მიმართული იყოს „სუფთა“ ენერგეტიკისკენ. და, მიუხედავად ამ გეგმის აბსურდულობისა ეკონომიკური თვალსაზრისით, ჯონსონი იძულებულია, ფეხი აუწყოს უფროს პარტნიორს.**

რა თქმა უნდა, თავისი ქვეყნის მოსახლეობისთვის იმის თქმა, რომ ელის გაჭირვება, ისეთი, როგორიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იყო, თანაც აბსოლუტურად გამოგონილი საბაბით, ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასია. ეს ჯონსონს აშკარად არ სურს. რამდენიმე დღის წინათ ის თვითიზოლაციაშიც კი გადავიდა კორონავირუსით ინფიცირების მომიზეზებით, თუმცა ეს დაავადება ზაფხულში უკვე გადაიტანა და, მისივე აღიარებით, „ანტისხეულებს აფრქვევს“.

„ბუნების დაცვას“ ახლავს კიდევ ერთი პრობლემა: **გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა გეგმა ითვალისწინებს ეროვნული მთავრობის მიერ თავიანთი უფლებამოსილებების გადაცემას გაუგებარი სტრუქტურებისთვის.** ასეთია, მაგალითად, ჯონსონის გეგმის პროტოტიპი — **„ბილი კლიმატისა და ეკოლოგიის სფეროში საგანგებო მდგომარეობის შესახებ“.** რადიკალი ეკოლოგების მიერ შედგენილი ამ დოკუმენტს, უკვე წელიწადია, აპიარებენ ბრიტანეთში საპროტესტო მიტინგების მეშვეობით. მას მხარს უჭერს აქტივისტების ჯგუფი სახელწოდებით Extinction Rebellion-ი — „გადაშენების პირას მყოფთა ამბოხება“.



**დათბობასთან ბრძოლა სინამდვილეში წარმოადგენს პროტექციული ზომების ერთობლიობას, რომლებმაც უნდა შეაკავოს ეკონომიკური ექსპანსია ისეთი ქვეყნებისა, როგორებიც არის რუსეთი, ჩინეთი, ბრაზილია. შესაძლოა, ამ ზომებმა «ოქროს მილიარდის» ქვეყნებსაც ძლიერად დაარტყას**



კერი საიმონდსი და ბორის ჯონსონი

„გადაშენების პირას მყოფნი“ ამერიკელი ოლიგარქების კმაყოფაზე იმყოფებიან. ამ ოლიგარქებს შორის არიან ლეგენდარული კლანების წარმომადგენლები — **გეტები** და **კენედები.**

**ბილის მთავარი პუნქტი არის იდეა იმის შესახებ, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა აიღოს ვალდებულება, ქვეყანაში გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა კლიმატის სფეროში და ამ თემაზე თავისი გადაწყვეტილებები შეათანხმოს კლიმატის ცვლილების კომიტეტთან.**

გამოდის, ბირთვული სახელმწიფოს ლიდერმა ანგარიში უნდა ჩააბაროს ვიღაც პირებისგან დანიშნულ და, ღმერთმა უწყის, ვისგან დაფინანსებულ მეცნიერებს, სამოქალაქო აქტივისტებსა და ცხოველთა დამცველებს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს კონცეფცია მოწონებოდა ჯონსონს.

დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მდივანი, ბილის თანახმად, უნდა გააკონტროლოს რაღაც „სამოქალაქო ასამბლეამ“ — ეკოაქტივისტებისგან შექმნილმა კიდევ ერთმა სრულიად ახალმა ორგანომ. **საკანონმდებლო ნოველები წარმოაჩენენ ყველა კლიმატური ტანჯვა-წვალების არსს — ეს არის ეროვნულ ლიდერებზე კონტროლის დამყარება ახალი სტრუქტურების მიერ, საბაბი კი სწორედ „საგანგებო მდგომარეობა“ უნდა იყოს.**

კლიმატური ცვლილებების გარშემო ბრძოლა კარგა ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ 2050 წლისთვის ბენზინსა და დიზელზე მომუშავე ავტომობილები აეკრძალათ, შემდეგ ეს 2040 წლისთვის გადაიტანეს. **მისი უდიდებულესობა დედოფლის ხაზინის წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ დათბობის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი ბრძოლისთვის ფული არ ეყოფოდათ.** კლიმატის ცვლილების კომიტეტში ფიქრობენ, რომ ბრიტანეთმა ამ ბრძოლაში 10-ჯერ მეტი თანხა უნდა დახარჯოს, ვიდრე დღეს ხარჯავს, არადა, 2020 წლის ბიუჯეტი ისედაც დეფიციტურია 400 მლრდ გირვანქა სტერლინგით.

ყველაფერი სწრაფად შეიცვალა, როდესაც პრემიერმინისტრს ბედნიერი სიყვარული ეწვია. მისი რჩეულია **კერი საიმონდსი,** რომელსაც ტაბლოიდებმა უკვე შეარქვეს დედოფალი კერი. თებერვალში წყვილმა ნიშნობის შესახებ განაცხადა, აპრილში კერიმ ჯონსონს ვაჟი გაუჩინა, ივლისში კი დაუნინგ-სტრიტის №10-ში გადავიდა.

**კერი საიმონდი უბრალო ოჯახიდან არ არის. ის ქვეყნის ყოფილი პრემიერმინისტრის შვილთაშვილი, პოპულარული ჟურნალისტის ქალიშვილი და ქვეყნის ყველაზე ცნობილი პოლიტიკოსებისა და მათი ცოლების მეგობარია. ამას გარდა, ის არის თავგამოდებული ეკომებრძოლი, რომელმაც ცხოვრება ზღვის ბინადართა შენარჩუნებასა და სოფელში ცხოველების უფლებების დაცვას მიუძღვნა.**

დაუნინგ-სტრიტზე გადასვლის შემდეგ ტაბლოიდებმა კერის დედოფალი შეარქვეს. **თავისი 32 წლის მეგობარი ქალის გავლენით 56 წლის ჯონსონმა სმას თავი დაანება (საარჩევნო კამპანიის პერიოდში), წონა დაიკლო, გახდა ვეგანი (ცოტა ხნით) და თმაც შეიკრიჭა. კერის მეგობრები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან წრეში სახელწოდებით FOC'S (FRENDS OF CARRY), მაღალ თანამდებობებზე დაინიშნენ,** კერის მეგობარი **რიში სუნაკი** ხაზინის კანცლერი გახდა, ეკობრძოლებში მხარდამჭერი **ზაკ გოლდსმიტი** კი ლორდთა პალატაში მოხვდა. ამბობენ, რომ ჯონსონის მთავარი მრჩევლის, **დომინიკ კამინგსის,** ხმაურიანი გადადგომაც დედოფალ კერის მოთხოვნით მოხდა. **არ არის გამორიცხული, რომ ჯონსონის რთული გარდასახვა კლიმატური დისიდენტიდან დათბობის წინააღმდეგ მებრძოლად მისი მეგობარი ქალის დამსახურება იყოს.**

საინტერესოა, რომ კერი საიმონდსი მუშაობს საქველმოქმედო ფონდ Vibrant Oceans-ში, რომელსაც აფინანსებს **მაიკლ ბლუმბერგი,** ამერიკელი მილიარდერი, საინფორმაციო გიგანტ „ბლუმბერგის სააგენტოს“ მფლობელი და გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი დიდი სპონსორი და ლობისტი.

**საუბრები იმაზე, რომ ეროვნულ ლიდერებს ზეეროვნული ფინანსური სტრუქტურები აკონტროლებენ, ჩვეულებრივ იაფფასიან კონსპიროლოგიად მიიჩნევა, მაგრამ ჯონსონი თავისი პირადი მაგალითით აჩვენებს, რა უცნაურად შეიძლება გადაიხლართოს რომანტიკა და პოლიტიკა, ქვეყნის მართვა და გლობალური კონტროლი, ამერიკელი მილიარდერის ინტერესები და დიდი ბრიტანეთის საშუალო კლასის სამომავლო გაღარიბება.**

ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„იაკობის ბრძანებით, რომელიც ქორწილს ხელძღვანელობდა, მეფე-დედოფლის ეტლებს, რომელთაგან ერთში მეფე იჯდა თავისი მეჯვარეებით, ხოლო მეორეში — დედოფალი თავისი ხელმომკიდეებით, უნდა შემოევლოთ უბნები და საკრებულოს ტაძართან მისულიყვნენ. როცა ეტლები მაყრიონითა და „ჰარი-ჰარალოთი“ ტაძარს მიადგნენ, კართან დახვდათ ონიაანთ ბიჭი — ეფრემი, რომელმაც სწრაფად გაალო ეკლესიის კარი. მეფე-დედოფალი და მაყრები წარუდგნენ დეკანოზ სოლომონ ხახანაშვილს. მეფე-დედოფლის ჯვარზე დაფიცების შემდეგ, საეკლესიო გუნდმა საზეიმო საგალობელი შეასრულა სახელგანთქმული პანტელეიმონ წინამძღვრიშვილის ლოტბარობით“.**

# ვინ იყვნენ სტალინის წინაპრები

**დასასრული. დასაწყისი იხ. №43, 2020 წ.**

**1872 წლის 17 მაისს ბესარიონ ჯუღაშვილისა და ეკატერინე (კეკე) გელაძის ჯვრისწერა და ქორწილი გაიმართა, — გვამცნობს ჯუღაშვილების კარის მეზობელი, მწერალი და მთარგმნელი, სოსოზე სამი წლით უფროსი დავით კასრაძე (ქართლოს კასრაძის მამა). როგორც ბატონი დავითი წერს, ბესოს ორი მეჯვარე ჰყავდა. მათგან ერთ-ერთი იყო იაკობი, იგივე კობა ეგნატაშვილი, რომელიც მხარში ამოუდგა სოსოს სწავლის პერიოდში.**

„იაკობის ბრძანებით, რომელიც ქორწილს ხელძღვანელობდა, მეფე-დედოფლის ეტლებს, რომელთაგან ერთში მეფე იჯდა თავისი მეჯვარეებით, ხოლო მეორეში — დედოფალი თავისი ხელმომკიდეებით, უნდა შემოევლოთ უბნები და საკრებულოს ტაძართან მისულიყვნენ. როცა ეტლები მაყრიონითა და „ჰარი-ჰარალოთი“ ტაძარს მიადგნენ, კართან დახვდათ ონიაანთ ბიჭი — **ეფრემი**, რომელმაც სწრაფად გაალო ეკლესიის კარი. მეფე-დედოფალი და მაყრები წარუდგნენ დეკანოზ სოლომონ ხახანაშვილს. მეფე-დედოფლის ჯვარზე დაფიცების შემდეგ, საეკლესიო გუნდმა საზეიმო საგალობელი შეასრულა სახელგანთქმული **პანტელეიმონ წინამძღვრიშვილის** ლოტბარობით. ყველა ხელოვნობდა, რათა ჯვრისწერა საზეიმო ყოფილიყო. განსაკუთრებით ირჯებოდა დეკანოზი **სოლომონ ხახანაშვილი**, რომელმაც არაჩვეულებრივი ეშხით წაიკითხა იოანეს სახარება:

„და მესამე დღესა ქორწილი იყო კანას გალილეასა და მუნ იყო დედა იესოსი“, — გუგუნებდა სოლომონი. ბესო ბედნიერების ზღვაში ცურავდა. იგი თითქოს მაშინ გამოფხიზლდა, როცა დეკანოზმა ანთებული კელაპტრებით ჯვარცმის ირგვლივ შემოატარა ის და მისი დედოფალი კეკე. გუნდმა საზეიომოდ შეასრულა „ჭრელი საგალობელი“, „დაადგა თავსა გვირგვინი ქვისა მის პატიოსანი“ და „ისაია მხიარული იყავ“... ანთებული მსხვილი კელაპტარი იწვოდა. ამით მოთავდა ჯვრისწერა. მეფე-დედოფალი კანკელის წინ ამბიონთან მიიყვანეს და იქ მოასმენინეს დეკანოზის დალოცვა-დარიგება, რას ნიშნავს ქორწილი, ოჯახის შექმნა. ოჯახის სიმტკიცე — ეს ქვეყნის ბედნიერების საფუძველიაო.

ეკლესიიდან გამოსვლისას მაყრებმა დამბაჩები დაცალეს, მოახტნენ ცხენებს და მშვენიერი მაყრულით შემოსძახეს: „მოვდივართ, მოგვიხარია, მოგვყავს დედალი ხოხობი!“

ბედნიერი იყო ბესო. ყველა მას შეჰხაროდა.

იაკობმა სადედოფლო გაითამაშა. დიდი იყო აღფრთოვანება.

შაბაშ! — გაისმა ყოველმხრით.

პირველმა იაკობმა დადო შაბაში ლამაზ საინზე.

მიხაკა მიჰყვა იაკობს, შემდეგ — ხოდელი გიგა...

შაბაშის მოკრეფის შემდეგ იაკობმა ფული გადათვალა და საპატარძლოს გადასცა, ხოლო საპატარძლომ — დედას.

წელიწადმა ულრუბლოდ გაიარა. ბესო ვერც კი ამჩნევდა, ციოდა თუ ბული ასდიოდა გორის ქუჩებს. ჯერ მხოლოდ კეკეთი სუნთქავდა. ცა ჯერ კიდევ არ ჩამონგრეოდა თავზე. ის ამაყობდა, რომ მისი ამხანაგი სათნო მეუღლე გამოდგა, მისი სულის მესაიდუმლე, მისი ოჯახის პატრონი. მთელი უბანი იყო და ერთი კეკე.

**მასზე მიუთითებდნენ, როგორც სისუფთავის მოყვარულ დიასახლისზე. მართლაც, ბესოს ღარიბი ოჯახი მალე სანაქებო ოჯახს დაემსგავსა. ყოველ შემოტანილ გროშს ოჯახს ანდომებდა. რა ბედნიერები იყვნენ, როდესაც ჯამ-ჭურჭელი შეიძინეს, კიდობანი შეიძინეს, ხოლო უსაზღვროდ გაიხარეს, როდესაც ფეხებიანი მრგვალი სარკით დაამშვენეს მაგიდა. ტახტზე კოპწია ხალიჩა გაფინეს წყვილი მუთაქით და კეკეს მოქარგული ხავერდის ბალიშით.**

აი, ქალიც ასეთი უნდა, — ამბობდნენ უბნის დედაბრები, — იცოცხლოს და გაუმარჯოს.

— მართლაცა ქა, რა პეწენიკა ქალია! ოჯახი გააქათქათა, ბედნიერი დედა იქნება! — დაურთო მეორემ.

— არა, შენ ისა სთქვი, რა ნემსის ხმარება იცის! — არ დააყოვნა გოგებაანთ ნუშომ, — იმ დღეს **იაკობ გოგებაშვილისათვის** ისეთი ბალიში მომიქარგა, რომ იაკობმა შუბლზე მაკოცა, მკითხა კიდეც: ქართველი ქალის ნაქარგია თუ სხვისიო? ძალიან გაიხარა. პატარა მოთხრობა დაწერა: „გამრჯელი დედა“, „დედა ენაში“ უნდა შევიტანოო.

გასაგებია, როგორ იამაყებდა ბესო.

— თურმე ცხოვრება ბედნიერების თასი ყოფილა, — ამბობდა იგი, — საჭიროა მხოლოდ გარჯა და ცხოვრებასთან სწორი მიდგომა, დანარჩენი თავისთავად მოვა, მაშ.

წლისთავზე ვაჟიშვილი შეეძინათ — მიხეილი. მიხაკამ შეურჩია ეს სახელი, ციხეთათარაშვილმა.

ბესოს ცხოვრებაში შვილის შეძენა ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი იყო. მას უნდოდა, ქვეყნიერებას სცოდნოდა, რომ იგი ვაჟის მამაა. ასევე ბედნიერი იყო კეკე, მისი ძმები — გიო და სანდალა, მაგრამ ბედი დამცინავია და პატარა ოჯახს მალე თავში ჩაუკაკუნა უბედურების კომბლით: ბავშვი ექვსი თვის არ იყო, ხელიდან რომ გამოეცალათ. ეს ყველაზე დიდი სასჯელი იყო ახალგაზრდა ცოლ-ქმრისთვის. მეორე წელს სანუგეშოდ მეორე ვაჟიშვილი ეყოლათ. დიდედამ თავი წაიკლა, — წმინდა გიორგი გვირისხდება, მისი სახელი უნდა დავარქვათო. დაუჯერეს. ისევ იაკობს მოანათვლინეს, მაგრამ იმედი არ გაუმართლათ. მეორე ბავშვმაც ათიოდე თვე ილონღილა და პირველი ძმის კვალს გაუყვა, არც ის აჰყვა აკვანს. შეირყა ოჯახის ბედნიერება. მისი სიმტკიცის ბურჯი. გულგატეხილობამ უკვე შესამჩნევად მოდრიკა ბესარიონი. აქა-იქ წვერსა და ულვაშში ვერცხლის ძაფები ჩაებნა.

— რაღაა ჩემი სიცოცხლე? — გაიძახოდა იგი, — ორი ვაჟიშვილი დავკარგე, ორივე მარგალიტი. დაძმარებული დადიოდა. ერთხელ ნათლია იაკობს ისიც კი შესჩივლა თავი უნდა მოვიკლაო.

— რას ამბობ, ბესო, — დაუტია იაკობმა — ვაჟკაცი არა ხარ?! თავის მოკვლა ვის გაუგონია?!

იაკობი უსმენდა... მაინც რით უნდა ენუგეშებინა?! უცბად გულში გაკენწლა, იქნებ ბრალს მეც მდებს — ორი შვილი მოვუნათლე და ორივეზე უბედურება შევყარეო! გაფითრდა და თითქოს მობოდიშებით დაიწყო:

— არავინ იტყვის, მეტად მძიმე უბედურება დაგატყდა თავსა, ჩემო ბესო, მაგრამ თავი ვინუგეშოთ. ვაჟკაცი ხარ და მომავალი წინ გიდევს! ეს კია, რომ თუნდაც მამა აბრამივით გამრავლდე, მე შენი შვილების მომნათლავი აღარა ვარ, აღარა!

— ნუ გეშინია, — მიუგო ბესომ — ამის შემდეგ შვილი არც მენატრება, არც მინდა, ჯანდაბას ყველაფერი...

— ეგრე ნუ იტყვი, იქნებ მესამე ისეთი კირკიტა გამოდგეს, რომა ...

— ეგ არასოდეს არ მოხდება!

— რა იცი, რომ არ მოხდება? — თითქმის დაუტია იაკობმა — მიხრწნილი მოხუცი ხომ არა ხარ? ასი წლის აბრამს გული არ გაუტეხია და ნახე მისი შთამომავლობა როგორ გამრავლდა! „როგორც ზღვაში ქვიშა და ცაში ვარსკვლავები“, — ასეა ნათქვამი საღმრთო წიგნში. აი, ნახე სახარება...

გორში მიწისძვრა მოხდა. ოსტატი და შეგირდი გარეთ გამოცვივდნენ. საბედნიეროდ, მიწისძვრა ხანმოკლე აღმოჩნდა და მალე შეჩერდა. მიწისძვრას მიჩვეული მოსახლეობა მალე დამშვიდდა. ბესო მოუსვენრად ცქმუტავდა.

— იმ დედაკაცისა მეშინია, — უთხრა ბესომ საყვარელ შეგირდს, — ჩემი კეკე თვეშია ჩამდგარი. ადექ, მიირბინე ჩვენსა, გაიგე, მიწისძვრამ ხომ არ შეაშინა.

თითქოს ამის საპასუხოდ უმცროსი მოყვარე სანდალა შურდულლივით შემოიჭრა და მიახალა:

— ბიჭიანობაა, სიძე კაცო, ბიჭიანობა! მომილოცავს!

მათ ერთმანეთი გადაკოცნეს, მაგრამ ბესომ მაინც შუბლი შეიკრა და კანკალებდა:

— ასე მალე? მესამე ბიჭი? მართლა?

— გორისჯვრის მადლმა, მართლა.

— აკი, ზაუტაანთ ეფემია ირწმუნებოდა, რომ ერთ კვირაზე ილოგინებსო.

— იმას რა შავი ქვა გაეგება, ლოტობაზია, სულ საოჯახო ლოტოში ზის. მიწა რომ იძრა, უცბად გამოლვიძებოდა კეკეს, ჰაიჰარად, ზაუტაანთ ეფრემიას და მარიამს დაუძახეო, ჩვენი მიხაკას ცოლს. მიმღები ის იყო. ავ თვალს არ ენახვება, კირკიტა ბიჭია, კირკიტა! შვლის ნუკრს მიუგავს თვალები.

— ახლა რაღა მეშველება, — კანკალით დაუდასტურა ბესომ — წავიდეთ, ვნახოთ აბა, ააშაბაშე ყველაფერი, დათო. ამაყად წამოდგა, წინსაფარი შეიხსნა, სახელოსნო დათოს გადააბარა და აჩქარებული შინისაკენ გაემართა. გზადაგზა ხმელი ხილი იყიდა და კეკეს სიყვარულით თავზე გადააყარა ინდიხურმა, ფსტა, ნუში, ქიშმიში... **ბებიას ბავშვი უკვე თეთრეულში გაეხვია და დედის გვერდით ჩაეგორებინა ლოგინში. მამობრივმა გრძნობებმა დასძლია ბესოს. ბავშვს პირსაფარი გადაჰხადა. მკვეთრი სინათლის მოხვედრაზე ბავშვს სახე აემღვრა, დაეჭმაჭნა, წამოიტირა. მამამ მზრუნველობით წინსაფარი წაახურა, შიშისაგან კანკალებდა. საბნის თავზე აკოცა.**

— იხარე, გაიზარდე, ჩემი ოჯახის სანუგეშოდ.

— ღმერთო, შემინარჩუნე ჩემი პირმშო! ღმერთო, გამიზარდე ჯუღაშვილების გვარის გამგრძელებლად! დამივაჟკაცე. ღმერთო! ღმერთო! არ მომტაცო ეს ბიჭიცა...

ზაუტაანთ ეფემიამ გაამხნევა:

— შეგრჩებათ, შეგრჩებათ, ჩემო ბესო, ბავშვი ქუდბედიანი დაიბადა. ბუდე თავიდან რომ ავაცალეთ, ვაშლის ძირას ჩავმარხე ფანჯრების ქვეშ... მე კარგი ხელი მაქვს, იცოდეთ.

— მაგ ხელბედიანობას დაგიფასებ, ჩემო ფეფო, შენი კრიალა ფეხსაცმელი ჩემს კისერზე იყოს. სოსელო დაიბადა, სოსელო! — ენაცვალოს მამაი. იდგა 1879 წლის 21 დეკემბერი, შუადღე, 12 საათი“ — გვამცნობს მწერალი **დავით კასრაძე.**

პოეტი **გიორგი ლეონიძე** მხატვრულად გადმოგვცემს ახალშობილი სოსელოსთვის ჩატარებულ ტრადიციულ რიტუალს —

**„მამალი გადაახტუნეს, —**
**ბავშვი ფხიზელი გამოვა!**
**მერცხალი პირს გამოავლეს, — ენაჭიკჭიკა გამოვა!**
**აკვნის თავს დადგეს მარილი, — მარილიანი გამოვა!**
**გულზე შაქარი დაადეს, —**
**მოსიყვარულე გამოვა!**
**— გაჩუხჩუხდი და გაღვივდი, მენახე გადაქოჩრილი!**
**ყურში აკოცე, დედაო, იქნება შენი მორჩილი!**
**ყინვარა წყალში აბანე, მით**
**ძვალი მაგარი არი!**
**ნასვამ წყალს ნუ მიაკარებ,**
**— გაზრდა ექნება გვიანი!**
**ბიჭს ვარსკვლავი გაუჩხრიკეს, ეტლი, მთვარის სათვალავი,**
**გაუსინჯეს მუხლის თვალი, სახის ყდა და ორთავ მკლავი.**
**სახით მამას მიამსგავსეს,**
**პაპას, ბიძას, სამთავესა —**
**„კაცი ისე მისდევს ჯიშსა,**
**როგორც ცხენი სადავესა!“**
**ხმლის ნარეცხს წყალში აბანეს, ცეცხლს სამჯერ შემოუტარეს.**
**— თუ მარცხის ანგელოზი ჰყავს, გააქრობს ცეცხლი მდუღარე!**
**ფიჭვის რაში მოუტანეს,**
**ვითომ ბალღი დოლში არი,**
**ცეცხლზე წყალი გადაასხეს, მავნეს გარეკს ოხშივარი!**

▶



ბესარიონ ჯუღაშვილი და ეკატერინე გელაძე

**«ბესო ბედნიერების ზღვაში ცურავდა. იგი თითქოს მაშინ გამოფხიზლდა, როცა დეკანოზმა ანთებული კელაპტრებით ჯვარცმის ირგვლივ შემოატარა ის და მისი დედოფალი კეკე. გუნდმა საზეიომოდ შეასრულა «ჭრელი საგალობელი», «დაადგა თავსა გვირგვინი ქვისა მის პატიოსანი» და «ისაია მხიარული იყავ»... ანთებული მსხვილი კელაპტარი იწვოდა. ამით მოთავდა ჯვრისწერა. მეფე-დედოფალი კანკელის წინ ამბიონთან მიიყვანეს და იქ მოასმენინეს დეკანოზის დალოცვა-დარიგება, რას ნიშნავს ქორწილი, ოჯახის შექმნა. ოჯახის სიმტკიცე — ეს ქვეყნის ბედნიერების საფუძველიაო»**

**„როგორც მოვილაპარაკეთ ამ თავშეყრაზე, ისე აღვასრულე! მაშინ პირველად იყო, რომ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებმა ჩხუბში „გოროდისტები“ დავჯაბნეთ და კუდით ქვა ვასროლინეთ!!! ჰოდა, ევროპას, ჰიტლერსაც სწორედ ასეთი გორული ილეთი გავუკეთე. რეზერვები — ეს გამარჯვებაა“...**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტალინის გენეალოგია







სტალინი ბავშვობაში

◀ **დაუწყევლეს მეთვალთვალე, მეავგულე, მისი ფეხი:**
**თვალს — ნაცარი, გულს — ლახვარი, მის კარს — ცეცხლი, ერდოს — მეხი.**
**გაჰქრეს, როგორც ჩიტის კვალი, ნიაღვარი, ავი ქარი,**
**რაღას იზამ, მავნე სულო, რახან გულში ჩავიკარი.**
**დაულოცეს ანგელოზი, ბალღის ბედი ლაღად ზიდოს,**
**გაიზარდოს ქვეყნისათვის, სარჩოს ადრე მოეკიდოს.**
**თან პირის გზას ასწავლიან, ვარდის ტუჩმა სწოვოს ძუძუ,**
**„მზე შინა და მზე გარეთა უერთდება ქარის ზუზუნს...“**

დავით კასრაძის ჩანაწერებიდან:

**„დედაშვილობა**

ყველა დედას უყვარს თავისი შვილი, მაგრამ კეკეს სიყვარული უჩვეულო იყო, გარდანამეტი. წინა წლებში ორი შვილი ისე დამარხა, დედაშვილობისა ვერაფერი გაეგო, რა. ეს მესამე კი სულში უძვრებოდა, ველარ ძღებოდა მისი სიყვარულით. ჯერ ძუძუზე ტუჩის მოსმისთანავე ბავშვმა აგრძნობინა, რომ მართლაც „კირკიტა“ ბიჭი მოდიოდა. როდესაც ბავშვს თვალის ბაიებზე წყალი გადაევლო და დაეწმინდა, უფრო ფაქიზი შეიქმნა. რა ბედნიერებით აცქერდებოდა ხოლმე დედა ამ თვალთა ბაიებს. თვალს არ აშორებდა. ბავშვი წყნარი გამოდგა. ჩინებული ძილი იცოდა. თუ წაიტირებდა, ისიც საღამოთი, როდესაც ლამპას აანთებდნენ. სინათლის უეცრივი გაშუქება გაურკვეველ შიშს აგრძნობინებდა. ჯერ ცნობიერება არ გაღვიძებოდა, მაგრამ გულმოდგინედ აკვირდებოდა აკვანთან დახრილ დედას. ლამპის შუქზე თითქოს ლანდივით რომ დაჰკანკალებდა მას. ჯერ არ იცოდა, რომ ეს ლანდი მისი დედა იყო.

— უი, მეძახის! — შეიფრთხიალებდა ხოლმე დედა ბავშვის ხმის გაგონებაზე და ძუძუს მისცემდა. დედის ხმის გაგონებაზე ბავშვი ინაბებოდა და ისევ სიზმრებს უბრუნდებოდა. ასე მიდიოდა დრო დედა-შვილისათვის. ბავშვი დღითიდღე იზრდებოდა. ინასკვებოდა მისი გონების, ცნობიერების კვირტი. მალე ფეხიც აიდგა. საყვარლად ატიტინდა. შვილის შემყურე ბესო შრომას აათკეცებდა, თითქოს წამოჩიტულ ბიჭს თავს აწონებო. ასე გაიფრინა წელიწადმა.

**ნათლობა**

დადგა ნათლობის საკითხიც. შეძლების კვალობაზე ჩინებული ნათლობა გადაიხადეს. **ნათლია მიხაკამ** ოქროს ჯვარი დაანათლა, ხოლო მეორე ნათლიამ, იაკობის მეუღლემ — თეთრი მიტკალი, აკვნის იარაღი და წითელი ფაჩუჩები. ჯუღაანთ სახლის უკან კასრაძეები ცხოვრობდნენ. მათ უკან კი კავკასიძეები. ნათლობა საკრებულო ტაძარში მოხდა. გაიმართა საზეიმო ლალანი, რათა ბავშვის არსებიდან განედევნათ ვითომდა „ყოველი სული ბოროტი და არაწმინდა და მალული და დაბუდებული გულსა მისსა, სული მაცდურებისა, სული უკეთურობისა, სული კერპთაყვანისცემისა და ყოველი ანგარებისა, სული სიცრუისა“ და მრავალი სხვა. ასე შემოსეს „ყრმა იგი“ „ნათლის სამოსელით“. ამ სახით ჩაუშვეს ემბაზში „ვითომდა ქრისტე იორდანეს ზვირთებში“. როდესაც ბავშვი „განათლდა“ და შეიქმნა „სული სპეტაკი“, სამგზის შემოატარეს ემბაზის ირგვლივ. გათავდა ნათლობა. შინ დაბრუნებისას ნათლიებმა ბავშვი მშობლებს დაუბრუნეს და განუცხადეს, რომ ამიერიდან პატარა სოსელო მათი შვილიც იქნებოდა.


სტალინი სიყრმის მეგობრებში

**სოსო და პეტა**

— მოშორებით რად დგახარ და ჩვენთან არ თამაშობ?

— ვითამაშებ, — გაუბედავად ვუპასუხე.

— სადაური ხარ?

— წაღვლელი.

— რა გქვია?

— პეტას მეძახიან. პეტა კაპანაძე ვარ.

— მოდი, მე და შენ ვიკოჭაოთ.

— კოჭები არ მაქვს.

— მე მაქვს და მოგცემ.

— შენ რას გეძახიან?

— სოსოს, სოსელოს.

მან ხელი მკლავში მომკიდა და მითხრა:

— საღამოობით სახლში რას აკეთებ?

— არაფერს.

— მაშ საღამოს „რუსის მოედანზე“ (ასე ეძახიან გორის მთავარ მოედანს) გამოდი, მე ბურთს მოვიტან, ამხანაგებსაც გამოვიყვან და ერთად ვითამაშოთ.

— კარგი, გამოვალ.

— უსათუოდ გამოდი.

*** „პატარაობისას სოსოს უყვარდა ტოლ-ამხანაგებში ჭიდაობა. ჭიდაობისას ეხერხებოდა და ემარჯვებოდა შუა სარმა. ხელის მოკიდება და შუა სარმის გამოკვრა ერთი იყო“.**

* — პეტა, წამოდი ჩემთან მოსკოვში. ჩემ გვერდზე იქნები. ჩემთან იმუშავებ, — ეუბნება სტალინი.

— სოსო, ამას რა სჯობია, მაგრამ არ შემიძლია, ხომ იცი, წვრილშვილი ვარ (ამბობს ექვსი შვილის მამა), ძალზე ძნელია ჩემთვის.

— აბა, იყავი, შენს ტალახიან ხაშურში, — იცინის სოსო, — ერთი მანქანა „ხორხი“ უნდა გაჩუქო!

— არა, სოსო, აბა, მე ვერ გამოვიყენებ, ხომ იცი ნამღვდლევი ვარ, ხაშური პატარაა, ყველა მიცნობს, ხალხი ჭრელია, დამისტვენენ ...

— მაშ, იარე ფეხით, — კვლავ იცინის სოსო...“

*** სტალინსა და პეტრე კაპანაძეს 1943 წელს დაეღუპათ უფროსი ვაჟიშვილები — იაკობ ჯუღაშვილი და ვახტანგ კაპანაძე. სტალინს სიყრმის მეგობარმა მიუსამძიმრა შვილის დაღუპვა და თავისი უბედურებაც აუწყა.**

— პეტა, ხომ გახსოვს, ვაჟაშაველას „ბახტრიონიდან“ შვილებდაღუპული გმირი ქალის სიტყვები, ოღონდ გავიმარჯვოთ და:

**„არ ვიგლოვებდი იმიერ**
**ჩემს ჯულურას და საბასა!“**

ჩვენ კი მამები ვართ, შვილდაღუპული მამები, პეტა!...

**ლაპარაკობს იოსებ სტალინი**

მარტივად გეტყვით სტრატეგიისა და ტაქტიკის მხრივ როგორ ვაჯობეთ ფაშისტების სამხედრო მეცნიერებას. გორში ორი სასწავლებელი იყო: სასულიერო სკოლა და სამოქალაქო, ანუ Городское Училище. ამ უკანასკნელის მოსწავლეებს „გოროდისტებს“ ვეძახდით, რაც ძალზედ აბრაზებდათ. ჩვენსა და მათ შორის გაუთავებელი პაექრობა და ჩხუბი იყო. გაზაფხულს კრივში გვიწვევდნენ სამოქალაქო სკოლის მაგარ-მაგარი ბიჭები. ერთ გაზაფხულს მოდის პეტა და მეუბნება, რაღაც უნდა ვიღონოთ, რომ „გოროდისტებმა“ კრივში კვლავ არ დაგვჯაბნონო. ბევრი ვიფიქრეთ, მერე შევიყარეთ კლასელები და მე ასეთი რამ მოვიფიქრე: მთელი სასულიერო სასწავლებელი სამ მოკრივე ჯგუფად დავყავი. პირველ ჯგუფში სუსტი მოკრივეები უნდა შემეყვანა, მეორე ჯგუფში — ძლიერნი და მესამე ჯგუფში — უძლიერესნი ვინც კი გვყავდა. ჯერ ეს სუსტები უნდა მიგვეშვა „გოროდისტების“ წინააღმდეგ. „გოროდისტები“, რა თქმა უნდა, იმათ იოლად გაუმკლავდებოდნენ. მერე მეორე ჯგუფიც მიგვეშვა, მაგრამ პირველს უნდა მოესვენა და გალახულებს ეყვირათ „გოროდისტებოო!“, რომ ნერვები მოეშალათ მათთვის, მწყობრიდან გამოეყვანათ. მეორე ჯგუფსაც მოერეოდნენ „გოროდისტები“, მაგრამ საკმაოდ დაიღლებოდნენ. სწორედ ამ დროს უნდა მიგვეშვა მესამე — უძლიერსი ჯგუფი ჩვენი მოკრივეებისა და არაქათგამოცლილებისათვის საშუალება არ უნდა მიგვეცა. დამარცხებულ ჯგუფელებს კვლავ უნდა ეღრიალათ „გოროგისტებო“, „გოროდისტებო!“ გაეცეცხლებინათ ისინი, ჩვენ კი უკვე დასუსტებულ-გაცეცხლებულებისთვის ახალი ძალებით ყველაზე ძლიერი ძალებით შეგვეტია. დასვენებული და მომზადებულები ისინი ჩვენ უძლიერებსაც გალახავდნენ, მაგრამ ახლა, წესით, ჩვენ უნდა გვეჯობნა. ასეც იყო! როგორც მოვილაპარაკეთ ამ თავშეყრაზე, ისე აღვასრულე! მაშინ პირველად იყო, რომ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებმა ჩხუბში „გოროდისტები“ დავჯაბნეთ და კუდით ქვა ვასროლინეთ!!! ჰოდა, ევროპას, ჰიტლერსაც სწორედ ასეთი გორული ილეთი გავუკეთე. რეზერვები — ეს გამარჯვებაა“...

**«მასზე მიუთითებდნენ, როგორც სისუფთავის მოყვარულ დიასახლისზე. მართლაც, ბესოს ღარიბი ოჯახი მალე სანაქებო ოჯახს დაემსგავსა. ყოველ შემოტანილ გროშს ოჯახს ანდომებდა. რა ბედნიერები იყვნენ, როდესაც ჯამ-ჭურჭელი შეიძინეს, კიდობანი შეიძინეს, ხოლო უსაზღვროდ გაიხარეს, როდესაც ფეხებიანი მრგვალი სარკით დაამშვენეს მაგიდა. ტახტზე კოპწია ხალიჩა გაფინეს წყვილი მუთაქით და კეკეს მოქარგული ხავერდის ბალიშით»**

მკვლევი ბიმფარმა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ოპიოიდური ეპიდემიის“ მსხვერპლთა საერთო რაოდენობა 200 ათასს აჭარბებს. ჭარბი დოზის მიღების შედეგად გარდაცვლილთა 30% ახალგაზრდა თეთრკანიანი ამერიკელია. ოპიოიდური ეპიდემია“ განსაკუთრებით მძვინვარებდა „დაჟანგულ სარტყელში“ — უმუშევრობამ და პერსპექტივის უქონლობამ ნარკომანიის გავრცელებას შეუწყო ხელი მუშათა კლასში.**



# ამერიკელი მილიარდერების «სიკვდილის ფაბრიკამ» დანაშაული აღიარა

**აშშ-ში დასასრულს უახლოვდება სასამართლო პროცესი იმ კომპანიისა, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრება 200 ათასზე მეტი ადამიანის სიკვდილზე. ეს ადამიანები ე.წ. ოპიოიდურმა ეპიდემიამ იმსხვერპლა.**
**ფარმაკოლოგიურმა გიგანტმა Purdue Pharma-მ, რომელმაც ქვეყანა აშშ აავსო სახიფათო ტკივილგამაყუჩებლებით, აღიარა მარკეტინგის საეჭვო მეთოდების გამოყენება და ახლოსაა გაკოტრებასთან. ეს, გარკვეულწილად, დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა.**
**ამ ისტორიას აქვს უფლება, დაწეროს ტრაგიკული და სენტიმენტური, კეთილისა და ბოროტის ბრძოლის, სიმდიდრისა და სამართლიანობის სცენარი, რომელიც „ოსკარს“ ვერ მიიღებს — კინოფილმს საფუძვლად კი დაედება რეალური მოვლენები, მაგრამ მასში ძალიან ბევრი თეთრია.**

**პირველი სცენა:** 2016 წელი. ამერიკის შუა დასავლეთი. პრეზიდენტობის კანდიდატი **დონალდ ტრამპი,** რომელმაც გამოიწვია ტრადიციული პოლიტიკური ელიტა, მოგზაურობს „დაჟანგულ სარტყელზე“ — ადგილებში, რომლებიც თავის დროზე სამრეწველო ამერიკის სიამაყეს წარმოადგენდა, მაგრამ დეინდუსტრიალიზაციის ეპოქაში სიკვდილის პირასაა. ტრამპი იქ ხედავს გატანჯულ ადამიანებს, რომლებსაც სახელმწიფო ყურადღებას არ აქცევს. ბევრი მათგანი არასდროს მისულა საარჩევნო ყუთთან, მაგრამ მათ ტრამპი სამართლიანობის აღდგენის იმედად აღიქვეს — **პრეზიდენტობის კანდიდატმა ამერიკის შუა დასავლეთში ახალი ხმები და აგიტატორები იპოვა, რომლებმაც ტრამპის სასარგებლო გარდამტეხი გავლენა იქონიეს კენჭისყრის შედეგებზე „საკამათო შტატებში“.** მაგრამ ეს მოხდება მოგვიანებით, 2016 წლის ზაფხულში კი ტრამპთან მიდიოდნენ ადამიანები და პრობლემებზე ესაუბრებოდნენ. მათ შორის იყვნენ **საშუალო ასაკის ამერიკელები, რომლებმაც ზრდასრული შვილები დაკარგეს: 2016 წლის წინასაარჩევნო კამპანია ე.წ. ოპიოიდური ეპიდემიის პიკს დაემთხვა აშშ-ში. დოზის გადაჭარბების გამო ყოველწლიურად ასიათასობით ადამიანი კვდებოდა.**

**ეს ამბები ისეთი ემოციურია, რომ სამუდამოდ დარჩება მეხსიერებაში, ტრამპს კი, რომელსაც სძულს ნარკოტიკი, ალკოჰოლიზმით გარდაცვლილ ძმაზე მოგონებებს აღუძრავს. ის ადამიანებს დაჰპირდა, რომ პრეზიდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ დასჯიდა ყველას, ვინც დამნაშავე იყო ასიათასობით ადამიანის დაღუპვაში და ამერიკა კვლავ იქნებოდა დიადი.**

**1920-იანი წლების დასაწყისი. ნიუ-იორკი.** ებრაელი **საკლერების** დიდი ოჯახი სასოფლო-სამეურნეო გალიციიდან ბრუკლინში გადასახლდა „ამერიკული ოცნების“ ასრულების იმედით. ოჯახის პატრიარქმა **ისააკ საკლერმა** სასურსათო მაღაზია გახსნა, მაგრამ ძლივს იხდის კომუნალურ გადასახადებსა და სამი ვაჟის სამედიცინო განათლების თანხას. **ისააკ საკლერი** 1945 წლის მაისში გარდაიცვალა, როცა საბჭოთა კავშირის არმიამ ბერლინი აიღო.

საკლერების ოჯახს დიდი წარმატება მოუტანა წამლების გაყიდვამ. უფროსმა ძმამ, **არტურმა,** მარკეტინგისა და რეკლამის სპეციალისტმა, შექმნა პატარა ფარმაცევტული კომპანია, რომელიც დროთა განმავლობაში იმპერია Purdue Pharma-დ იქცა.

**არტურ საკლერი** იყო ის პიროვნება, რომელმაც ამერიკა „დასვა“ დამამშვიდებელ საშუალება ვალიუმზე.

**აი საკლერების ბიზნესის ბურჯები: აგრესიული რეკლამა; მედიკოსების მოქრთამვა და კონტრაგენტების, როგორც ზედმეტი თვალის, მოცილება. ფირმა თვითონ ქმნის წამალს, თვითონ ცდის, თვითონ აწარმოებს, თვითონ უკეთებს რეცენზიებს თავის სამეცნიერო ჟურნალებში და თვითონ უწერს პაციენტებს თავისი ექიმების მეშვეობით. ამ მდგომარეობამდე იმპერია 1987 წელს მივიდა, არტურ საკლერის გარდაცვალების შემდეგ.**

განსაკუთრებული გასაიდუმლოება დასჭირდა **ოქსიკონტინის** (მორფინის მსგავსი ტკივილგამაყუჩებლის), ოქსიკოდონის საფუძველზე შექმნილი პრეპარატის, დამზადებასა და გავრცელებას. ის არ იწვევდა ექიმებისა და პაციენტების ისეთ ფრთხილ რეაქციას, როგორც მორფინი, რომელიც ნარკომანიასა და მძიმე ონკოლოგიურ დაავადებებთან ასოცირდება.

**PURDUE PHARMA-ს ამოცანა ოქსიკონტინის პოტენციური ბაზრის გაფართოება იყო. ტკივილგამაყუჩებელი, რომლის დანიშვნაც გამართლებული იყო მძიმე ოპერაციებისა და ონკოლოგიურ შემთხვევებში, ტკივილის გამაყუჩებელ უნივერსალურ საშუალებად წარმოაჩინეს ნებისმიერი დაავადების მკურნალობისას, როგორც შაკიკის, ისე ართრიტის შემთხვევაში. კომპანიამ დამალა, რომ ოქსიკონტინს ეჩვეოდა ადამიანი და მასზე დამოკიდებული ხდებოდა, თანაც ორგანიზმი დოზის მომატებას ითხოვდა, ჭარბი დოზა კი ხშირად იწვევდა პაციენტის სიკვდილს. პრაქტიკაში ეს ნიშნავდა იმას, რომ პაციენტები ან ჰეროინის მოხმარებაზე გადადიოდნენ, ან იწყებდნენ ოქსიკონტინის შეძენას შავ ბაზარზე,** ჭარბი დოზის მიღების შედეგად კი იღუპებოდნენ.

„ოპიოიდური ეპიდემიის“ მსხვერპლთა საერთო რაოდენობა 200 ათასს აჭარბებს. ჭარბი დოზის მიღების შედეგად გარდაცვლილთა 30% ახალგაზრდა თეთრკანიანი ამერიკელია.

„ოპიოიდური ეპიდემია“ განსაკუთრებით მძვინვარებდა „დაჟანგულ სარტყელში“ — უმუშევრობამ და პერსპექტივის უქონლობამ ნარკომანიის გავრცელებას შეუწყო ხელი მუშათა კლასში. **იმ წელიწადს, როცა შუა დასავლეთში მცხოვრები ქალები თვალცრემლიანი უჩვენებდნენ ტრამპს დაღუპული შვილების ფოტოებს, ჟურნალმა „ფორბსმა“ საკლერების ოჯახის ქონება 13 მლრდ დოლარად შეაფასა,** ოქსიკონტინის წყალობით, საკლერებმა სიმდიდრით **როკფელერებს** გაუსწრეს, თანაც ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატის ყველაზე უსინდისოდ გაყიდვის პერიოდში (კომპანია ყველას არწმუნებდა, რომ მის პრეპარატს მიჩვევის დაბალი დონე აქვს სხვა პრეპარატებთან შედარებით) კომპანიას ხელმძღვანელობდა **რიჩარდ საკლერი** — არტურის ძმისშვილი, რომლის წილიც საოჯახო ფირმაში ძმებმა გამოისყიდეს.

ფარმაცევტული მარკეტინგის გენიოსის ქალიშვილმა **ელისაბედ საკლერმა** თავისი ცხოვრება ხელოვნებას დაუკავშირა. ის ბიძაშვილების ფირმას, „მორალური თვალსაზრისით, საზიზღარს“ უწოდებს. საკლერები — ეს ის საოცარი შემთხვევაა, როდესაც ადამიანებს ერთდროულად შეუძლიათ ჩრდილშიც იყვნენ და დიდების ზენიტშიც. აშშ-ში ბევრი კერძო კომპანიის ხელმძღვანელზე არ არსებობს ინფორმაცია, მათ შორის არც საკლერებზე, რაც ამ კლანს Purdue Pharma-სგან დისტანცირების საშუალებას აძლევდა.

საკლერებმა სახელი გაითქვეს მეცენატობით — ოჯახი დაკავშირებულია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებსა და მუზეუმებთან, რომლებიც ფარმაცევტული ბიზნესის გიგანტისგან შემოწირულობებს იღებდნენ ფულისა და ხელოვნების ძვირად ღირებული ნიმუშების სახით. საკლერების გვარი წარმოდგენილია ლუვრისა და გუგენჰაიმის მუზეუმების, ჰარვარდისა და პეკინის უნივერსიტეტების, დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხატვრო აკადემიისა და თელ-ავივის უმაღლესი სამედიცინო სკოლის ტოპონიმიკაში. **ოპიოიდური სკანდალის დაწყებამდე სანკლერების კლანის წარმომადგენლებს უმწიკვლო რეპუტაცია ჰქონდათ. მათ პატივსაცემად ასტეროიდს საკლერი უწოდეს, მაგრამ ამჟამად საკლერების ფულზე უარს ამბობენ, თანაც თვითონ საკლერებს ქონება შეუმცირდათ, რადგან 2016 წელს ტრამპმა გაიმარჯვა და შუა დასავლეთის „დაჟანგული სარტყლის“ წარმომადგენელ ქალებთან საუბრები არ დავიწყებია.**

2017 წელს, პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების დაწყებიდან ნახევარი წლის შემდეგ, ტრამპმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა სამედიცინო სფეროში და ოპიოიდურ ნარკომანიასთან ბრძოლის სპეციალური კომისია შექმნა. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ კომისიამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია — პრობლემა კვლავ არსებობს, მაგრამ ამ კომისიამ კრაზანების ბუდის ბინადარნი ააფუთფუთა: საზოგადოებამ



**Purdue Pharma-ს ამოცანა ოქსიკონტინის პოტენციური ბაზრის გაფართოება იყო. ტკივილგამაყუჩებელი, რომლის დანიშვნაც გამართლებული იყო მძიმე ოპერაციებისა და ონკოლოგიურ შემთხვევებში, ტკივილის გამაყუჩებელ უნივერსალურ საშუალებად წარმოაჩინეს ნებისმიერი მკურნალობისას, როგორც შაკიკის, ისე ართრიტის შემთხვევებში. კომპანიამ დამალა, რომ ოქსიკონტინს ეჩვეოდა ადამიანი და მასზე დამოკიდებული ხდებოდა, თანაც ორგანიზმი დოზის მომატებას ითხოვდა, ჭარბი დოზა კი ხშირად იწვევდა პაციენტის სიკვდილს. პრაქტიკაში კი ეს ნიშნავდა იმას, რომ პაციენტები ან ჰეროინის მოხმარებაზე გადადიოდნენ, ან იწყებდნენ ოქსიკონტინის შეძენას შავ ბაზარზე**



**ოქსიკონტინის წყალობით, საკლერებმა სიმდიდრით როკფელერებს გაუსწრეს, თანაც ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატის ყველაზე უსინდისოდ გაყიდვის პერიოდში (კომპანია ყველას არწმუნებდა, რომ მის პრეპარატს მიჩვევის დაბალი დონე აქვს სხვა პრეპარატებთან შედარებით) კომპანიას ხელმძღვანელობდა რიჩარდ საკლერი — არტურის ძმისშვილი, რომლის წილიც საოჯახო ფირმაში ძმებმა გამოისყიდეს.**

აშშ-ის პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2018 წელს მასაჩუსეტსის ლიბერალური შტატის (სადაც ტრამპს ვერ იტანენ) პროკურატურამ საქმე აღძრა და სასამართლოში სარჩელი შეიტანა არა მხოლოდ Purdue Pharma-სა და მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, არამედ საკლერების ოჯახის 8 წევრზე. როცა მასაჩუსეტსის შტატში ოქსიკონტინის ჭარბი დოზის მიღებით მოკლე ხანში 59 ადამიანი გარდაიცვალა, რიჩარდ საკლერმა განაცხადა: «საქმე არც ისე ცუდადაა, შეიძლებოდა, უფრო მძიმე შედეგი ყოფილიყო»**




ეპიდემიას ყურადღება მიაპყრო. მასმედიამ გამოძიება დაიწყო, ხოლო **2018 წელს მასაჩუსეტსის ლიბერალური შტატის (სადაც ტრამპს ვერ იტანენ) პროკურატურამ საქმე აღძრა და სასამართლოში სარჩელი შეიტანა არა მხოლოდ Purdue Pharma-სა და მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, არამედ საკლერების ოჯახის 8 წევრზე. როცა მასაჩუსეტსის შტატში ოქსიკონტინის ჭარბი დოზის მიღებით მოკლე ხანში 59 ადამიანი გარდაიცვალა, რიჩარდ საკლერმა განაცხადა: „საქმე არც ისე ცუდადაა, შეიძლებოდა უფრო მძიმე შედეგი ყოფილიყო“.**

„მას შემდეგ, რაც გავრცელდა მონაცემები, რომ ოქსიკონტინის მომხმარებლები ნარკომანებად იქცნენ, Purdue Pharma-მ დაიწყო თავისი კლიენტების დამუნათება და მას „სისხლის სამართლის დეგენერატი დამნაშავენი“ უწოდა, — ნათქვამია Fox News-ის მიერ ამ თემაზე გადაღებულ სიუჟეტში.

დრო გადიოდა. ქვეყანაში კორონაკრიზისი დაიწყო, სასამართლოში საქმის წარმოება შენელდა. 2020 წლის ნოემბერია. ტრამპი ჯერჯერობით აგებს საპრეზიდენტო არჩევნებს — ოფიციალური მონაცემების თანახმად, ის მცირე სხვაობით დამარცხდა **ბაიდენთან** იმ „დაჟანგულ სარტყელში“, რომელშიც 4 წლის წინათ მოუგო **ჰილარი კლინტონს.**

ახლახან კი **ტრამპმა შეიტყო, რომ PURDUE PHARMA-ს ხელმძღვანელობამ აღიარა წარდგენილი ბრალი. ახლა ეს ყველაფერი დადასტურებულია. კომპანია ქრთამს აძლევდა ექიმებს იმისთვის, რომ პაციენტებისთვის აქტიურად გამოეწერათ ოქსიკონტინი. კომპანია ხელს უშლიდა ქვეყნის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს მუშაობაში და მას ცრუ ინფორმაციას აწვდიდა. ის არაფერს აკეთებდა, რომ პრეპარატი შავ ბაზარზე არ მოხვედრილიყო, თუმცა ყოველთვის საწინააღმდეგოს ამტკიცებდა.**

ამ ყველაფრის გამო Purdue Pharma-მ 8,3 მლრდ დოლარი უნდა გადაიხადოს, მაგრამ რეალურად ნაკლებს გადაიხდის — კომპანიამ გაკოტრების შესახებ შეიტანა განაცხადი. ამასთანავე, საკლერების ოჯახის წევრებმა უკვე გადაიხადეს 225 მლნ დაზარალებული მოქალაქეების ზარალის ასანაზღაურებლად.

**საკლერების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება საეჭვოა. საქმე ის არის, რომ კომპანიის ხელმძღვანელობა მათ 2000 წელს დატოვეს, 2007 წელს კი PURDUE PHARMA-მ პირველი გარიგება გააფორმა გამოძიებასთან — დიდძალი თანხა გადაიხადა და დანაშაული ასეთი ფორმულირებით აღიარა: „ჩვენ ვიცოდით, რომ ექიმების დარწმუნება ოქსიკონტინის უსაფრთხოებაში მორფინთან შედარებით მცდარი საქციელი იყო, მაგრამ ამის აღსაკვეთად არაფერი გაგვიკეთებია“.**

თავის დროზე მსგავსი რამ გააკეთა პედოფილმა ფინანსისტმა **ჯეფრი ეპშტეინმაც:** აღიარა უმნიშვნელო დანაშაულები სხვა ცოდვების მიტევებისა და, ფაქტობრივად, უწინდელი ცხოვრების გაგრძელების სანაცვლოდ. 2007 წლის სკანდალის ფონზე, აშშ-ში ოქსიკონტინის გაყიდვა მკვეთრად შემცირდა, მაგრამ კომპანიამ კრიზისს გაუძლო და ორიენტირები საგარეო ბაზარზე გადაიტანა — ანალოგიური ცინიკური სქემებით დაიწყეს პრეპარატის გაყიდვა მექსიკაში, ბრაზილიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ჩინეთშიც კი, მაგრამ **ახლა საბოლოოდ გაფორმდება საკლერების ფარმაცევტული იმპერიის კრახი. და, თუ ტრამპს მაინც მოუწევს თეთრი სახლის დატოვება, სინდისი სუფთა ექნება „ჟანგიანი სარტყელის“ აცრემლებული დედების მიმართ, რადგან მან ბევრი რამ გააკეთა „სიკვდილის ფაბრიკის“ გასანადგურებლად.**

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი ბაჩხილაძე**




# უაზრო ომები, მასობრივი იმიგრაცია, კორპორაციების ძალაუფლება — Fox News-მა ბაიდენის მმართველობის მიმართულებები იწინასწარმეტყველა

## «ბაიდენის მხარდამჭერმა რამდენმა ადამიანმა იცოდა, რომ, სახელდობრ, ამას უჭერდა მხარს? როგორც ჩანს, ასეთი არც ისე ბევრია»

**გამომდინარე იქიდან, როგორი ადამიანების დანიშვნას აპირებს ჯო ბაიდენი თავის ადმინისტრაციაში საკვანძო პოსტებზე, მისი პოლიტიკური პროგრამა სრულიად საწინააღმდეგოა დონალდ ტრამპის პროგრამისა, — ასეთი დასკვნა გააკეთეს ტელეარხ Fox News-ის კომენტატორებმა. მათი პროგნოზით, ძალიან მოიმატებს არალეგალური მიგრანტების რაოდენობა, შეიზღუდება მოქალაქეთა თავდაცვის უფლებები, დაიწყება ახალი ომები ახლო აღმოსავლეთში და ჩინეთის წაქეზება.**

„ეს არის სრულიად საწინააღმდეგო პროგრამა იმისა, რომლითაც დონალდ ტრამპმა გაიმარჯვა 2016 წლის არჩევნებში. ტრამპის პროგრამა ისეთი პოპულარული იყო, რომ, პოლიტიკური გამოცდილების უქონლობის მიუხედავად, ის პრეზიდენტად აირჩიეს. საერთოდ, **ტრამპი პოლიტელიტის გარედან მოვიდა და ცოტა აღიზიანებდა კიდეც ადამიანებს, მაგრამ მაინც აირჩიეს; აირჩიეს იმიტომ, რომ მისი პროგრამა მოეწონათ. და ეს პროგრამა დღესაც პოპულარულია, მაგრამ ბაიდენი, როგორც ჩანს, სრულიად საწინააღმდეგოს ამზადებს:**

ბევრ საჩუქარს ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე ჩინეთისთვის; ბევრ უაზრო ომს ახლო აღმოსავლეთში, რომლებსაც მსოფლიოში მხარს არავინ უჭერს ვაშინგტონის ფარგლებს გარეთ; არალეგალი მიგრანტების რაოდენობის კოლოსალური მატებას და ამის ფონზე ამერიკელების შემოსავლების შემცირებას, რადგან ბაზარზე მუშახელის მოზღვავება შრომის გაიაფებას იწვევს, თუმცა ეს მათთვის მნიშვნელოვანი არ არის.

და, რა თქმა უნდა, ამ ყველაფრთან ერთად იქნება მართვადი ქაოსი და არასტაბილურობა ქვეყანაში — ამას ისინი, უკვე რამდენიმე თვეა, ცდილობდნენ. მათ მიერ შექმნილ ქაოსში სულ უფრო ცოტა ამერიკელს შეეძლება საკუთარი თავისა და ოჯახის დაცვა. და, აგრეთვე, იქნება კორპორაციების მეტი კონტროლი ჩვენს ცხოვრებაზე. ეს არის მიზანი და ლაიტმოტივი. იმედი ვიქონიოთ, რომ ვცდებით, მაგრამ დღეს ჩანს, რომ, სახელდობრ, ეს გველის.

საკითხავია: ბაიდენს მხარდამჭერმა რამდენმა ადამიანმა იცოდა, რომ, სახელდობრ, ამას უჭერდა მხარს? როგორც ჩანს, ასეთი არც ისე ბევრია.

**rissian.rt.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**




საპროტესტო აქცია საკლერების ფარმაცევტული იმპერიის წინააღმდეგ

**«ბაიდენი, როგორც ჩანს, ტრამპის პროგრამის სრულიად საწინააღმდეგოს ამზადებს: ბევრ საჩუქარს ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე ჩინეთისთვის; ბევრ უაზრო ომს ახლო აღმოსავლეთში, რომლებსაც მსოფლიოში მხარს არავინ უჭერს ვაშინგტონის ფარგლებს გარეთ; არალეგალი მიგრანტების რაოდენობის კოლოსალურ მატებას და ამის ფონზე ამერიკელების შემოსავლების შემცირებას, რადგან ბაზარზე მუშახელის მოზღვავება შრომის გაიაფებას იწვევს»**

ქვეტექსტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1990-იანი წლებიდან, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, ანკარამ მკვდრეთით აღადგინა „დიადი თურანის“ გლობალისტური პროექტი, რომელიც, რიგი ექსპერტების აზრით, ჩაენაცვლება „ისლამური სახელმწიფოს“ პროექტს. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ თურქეთი დამოუკიდებელი მოთამაშე არ არის, მის ზურგს უკან დგას დიდი ბრიტანეთი. ამ რეალობის მიჩუმათება არ ეგების.**

# «დიადი თურანის» პროექტი რუსეთის ბოსფორითა და დარდანელით დასრულდება



**პირველი მსოფლიო ომი დასრულდა 1918 წლის 11 ნოემბერს კომპიენის სამშვიდობო ზავით, რომელიც საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ისა და ანტანტის სხვა სახელმწიფოებსა და დამარცხებულ გერმანიას შორის დაიდო.**

რუსეთისთვის პირველი მსოფლიო ომი ბრესტის ზავით დამთავრდა 8 თვით ადრე, ანუ 1918 წლის 3 მარტს. ამის მთავარი მიზეზი 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია იყო. ბრესტის ხელშეკრულებით რუსეთმა დათმო ფინეთი, პოლონეთი, ბალტიისპირეთი, უკრაინა, ბელორუსიის ნაწილი და ამიერკავკასია.

ამრიგად, **რუსეთი პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის არ აღმოჩნდა. ისტორია სხვა სცენარით რომ განვითარებულიყო, რუსეთს შეიძლება ტერიტორიები კიდეც შემატებოდა. შევჩერდებით ტერიტორიების იმ ნაწილზე, რომელიც პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მოკავშირე ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა.**

1915 წლის მარტ-აპრილში რუსეთს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის დაიდო ხელშეკრულება სრუტეების შესახებ, რომლის თანახმადაც გერმანიის კოალიციაზე გამარჯვების შემდეგ რუსეთს გადაეცემოდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები, აგრეთვე — თურქეთის (გერმანიის მოკავშირის პირველ მსოფლიო ომში) ევროპული და აზიური ნაწილის მიმდებარე რაიონები.

შემდეგ: 1916 წლის მარტ-აპრილში, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა მიიღეს რუსეთის თანხმობა თურქეთის გაყოფის შესახებ. დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი კი 1916 წლის 9-16 მაისს ნოტების გაცვლის ფორმით საიქს-პიკოს ხელშეკრულებით შეთანხმდნენ ოსმალეთის იმპერიის სამფლობელოების განაწილებაზე.

**ამ ხელშეკრულებებით მოკავშირეებმა ივალდებულეს, რომ შეასრულებდნენ რუსეთის 1915 წლის შეთანხმებას დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან სრუტეების, ასევე, ერზერუმის, ტრაბზონის, ვანის, ბითლისის ოლქებისა და ქურთისტანის ნაწილის გადაცემის შესახებ. ამასთანავე, რუსეთის პროტექტორატს დაექვემდებარებოდა იერუსალიმი, რომელიც იმხანად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა.**

რუსეთის იმპერიის გენერალურ შტაბს 100 წლით ჰქონდა გათვლილი სამომავლო გეგმა. ისიც უნდა ითქვას, რომ თანამედროვე რუსეთის განვითარების სტრატეგიული გეგმების საჯაროდ მიუწვდომლობა სრულიადაც არ ნიშნავს მათ არარსებობას. სავსებით აშკარაა, რომ სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ფაციფუცი და საჯაროდ გამოტანა მიუღებელია.

ამასთანავე, დაგეგმვა იხვეწება იმ გამოწვევების გათვალისწინებითაც, რომლებიც დროდადრო ჩნდება. აქედან გამომდინარე, ღირს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ თურქეთს, რომელსაც თვალი უჭირავს რუსეთის ყოფილი იმპერიისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე.

იგულისხმება ამიერკავკასია. თურქებმა მყარად მოიკიდეს ფეხი აზერბაიჯანში თავიანთი კონცეფციით „ერთი ხალხი — ორი სახელმწიფო“. ანკარა ძალიან აქტიურია შუა აზიასა და კავკასიაში.

**(უადგილო არ იქნება, თუ ჩვენს მკითხველებს შევახსენებთ „საქართველო და მსოფლიოს“ 17 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილს „დიადი თურანის თეორია — იმპერიული გეგმების ინფორმაციული მხარდაჭერა“, რომელშიც მითითებული იყო, რომ ამ გეგმის განხორციელების მარშრუტი საქართველოზეც გადის, ხოლო ქვეტექსტში იკითხებოდა ეჭვი: არის თუ არა თურქეთი საქართველოს მეგობარი ქვეყანა?!**

**კარგი იქნება, თუ ჩვენი ერთგული მკითხველი ერთხელ კიდევ დაუბრუნდება ამ წერილს და ასევე გადახედავს მე-40 ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუს „იაკობ კედმი: „უკრაინასა და თურქეთს კარიკატურული პიროვნებები მართავენ“.)**

თურქეთს მნიშვნელოვანი ინფორმაციული და კულტურული გავლენა აქვს მოპოვებული ისეთ ქვეყნებზე, როგორებიცაა ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და თურქმენეთი, ასევე რუსეთში შემავალ ყირიმის, ჩეჩნეთის, დაღესტნის, ინგუშეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკებზე.

თურქეთი აქტიურად თანამშრომლობს უკრაინასთან სამხედრო სფეროშიც: აღჭურვავს იმ ქვეყნის არმიას, რომელმაც რუსეთი აგრესორად გამოაცხადა.

1990-იანი წლებიდან, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, ანკარამ მკვდრეთით აღადგინა „დიადი თურანის“ გლობალისტური პროექტი, რომელიც, რიგი ექსპერტების აზრით, ჩაენაცვლება „ისლამური სახელმწიფოს“ პროექტს.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ თურქეთი დამოუკიდებელი მოთამაშე არ არის, მის ზურგს უკან დგას დიდი ბრიტანეთი. ამ რეალობის მიჩუმათება არ ეგების.

**1916 წლის მარტ-აპრილში დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა მიიღეს რუსეთის თანხმობა თურქეთის გაყოფის შესახებ. დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი კი 1916 წლის 9-16 მაისს ნოტების გაცვლის ფორმით საიქს-პიკოს ხელშეკრულებით შეთანხმდნენ ოსმალეთის იმპერიის სამფლობელოების განაწილებაზე**

**როგორი გეოპოლიტიკური გეგმები აქვს დასახული რუსეთს?**

ყურადღებაა მისაქცევი, რომ რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** მოსკოვში, პაკლონაია გორაზე პირადად გახსნა პირველი მსოფლიო ომის გმირების ძეგლი.

**გამორიცხავთ, რომ 21-ე საუკუნის რუსეთის სტრატეგიული გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი ეფუძნება რუსეთის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის 1915 წლის შეთანხმების პარამეტრებს, რომელიც სრუტეების საკითხს და აზიური თურქეთის განაწილებას ეხება?! (ყარსის ხელშეკრულებაც გავიხსენოთ!)**




აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გეგმების რეალიზაციას თურქეთი თავადვე დაიწყებს სასიცოცხლო სივრცის გაფართოების მოტივით.

რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამ ეტაპზე თავის გეოპოლიტიკურ სტრატეგიას განახორციელებს სხვისი თამაშის ფონზე და საჭირო მომენტში თითქოს წაგებულ სიტუაციას თავის სასარგებლოდ შემოაბრუნებს.

ასე დაემართება „დიადი თურანის“ თურქულ პროექტს, რომელიც რუსული ბოსფორითა და დარდანელით დასრულდება.

**რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამ ეტაპზე თავის გეოპოლიტიკურ სტრატეგიას განახორციელებს სხვისი თამაშის ფონზე და საჭირო მომენტში თითქოს წაგებულ სიტუაციას თავის სასარგებლოდ შემოაბრუნებს.**
**ასე დაემართება «დიადი თურანის» თურქულ პროექტს, რომელიც რუსული ბოსფორითა და დარდანელით დასრულდება**

**regnum.ru -ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**არმაზ სანებლიძემ**

რესურსი „დიდი სამამულო“ (DIDISAMAMULO.GE), ფაქტობრივად, ონლაინენციკლოპედიად ყალიბდება. ქართულად ვთარგმნით ენციკლოპედიურ ცნობებს დიდი სამამულო ომის საკვანძო თემებსა და ამ ომში ქართველების მონაწილეობის შესახებ. გარდა ამისა, ვებგვერდზე არის რუბრიკა „ჩემი მამაცი წინაპარი“, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეების მიერ დიდ სამამულო ომში მებრძოლი თავიანთი წინაპრების შესახებ ინფორმაციისა და ფოტოების მოწოდებას გამოქვეყნების მიზნით. ეს ინფორმაციები ელექტრონული სახით დაცული იქნება ჩვენს ვებგვერდზე.

არავინ არ არის დავიწყებული

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სეით მილდიანი — შინსახკომის წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი ოფიცერი



წითელი ვარსკვლავის ორდენი

**ჩვენს წამოწყებას, შევქმნათ პირველი ძლიერი ქართული ინტერნეტრესურსი დიდი სამამულო ომის შესახებ, ჩვენი ინტერნეტგამომწერების, აგრეთვე, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველების გამოხმაურება მოჰყვა.**

რესურსი „დიდი სამამულო“ (didisamamulo.ge), ფაქტობრივად, ონლაინენციკლოპედიად ყალიბდება. ქართულად ვთარგმნით ენციკლოპედიურ ცნობებს დიდი სამამულო ომის საკვანძო თემებსა და ამ ომში ქართველების მონაწილეობის შესახებ. გარდა ამისა, ვებგვერდზე არის რუბრიკა „ჩემი მამაცი წინაპარი“, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეების მიერ დიდ სამამულო ომში მებრძოლი თავიანთი წინაპრების შესახებ ინფორმაციისა და ფოტოების მოწოდებას გამოქვეყნების მიზნით. ეს ინფორმაციები ელექტრონული სახით დაცული იქნება ჩვენს ვებგვერდზე. ამ საკითხზე ტელეფონით დამიკავშირდა „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველი, ქალბატონი **ლამარა მილდიანი,** დიდი სამამულოი ომის მონაწილის, შინსახკომის ოფიცრის — **სეით დავითის ძე მილდიანის** ქალიშვილი. ქალბატონმა ლამარამ მოგვაწოდა თავისი სახელოვანი მამის, წითელი ვარსკვლავის ორდენის კავალრის ფოტო, რომელზეც სეით მილდიანი მეუღლე **ჩიტო ჩხეტიანთან** ერთად არის აღბეჭდილი: აქვე წარმოგიდგენთ ამ ულამაზესი ქალბატონის, ლამარა მილდიანის, ახალგაზრდობის ფოტოსაც:



სეით მილდიანი მეუღლესთან, ჩიტო ჩხეტიანთან ერთად



სეით მილდიანის ქალიშვილი ლამარა მილდიანი

რაც შეეხება უფროს ლეიტენანტ **სეით მილდიანს, იგი 1912 წელს დაიბადა მესტიის რაიონში. საშუალო სკოლა გაგრაში დაამთავრა, შემდეგ — სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. ახალგაზრდობაში სამხედრო საქმემ გაიტაცა და შინსახკომის სპეცდანიშნულების რაზმში მსახურობდა, მონაწილეობდა ფაშისტური გერმანიისგან კავკასიის დაცვაში, მიღებული აქვს ორდენი და მადლობის წერილი საქართველოს უშიშროების მინისტრისგან. აღსანიშნავია, რომ სეით მილდიანი ომამდე სპეცდისციპლინების ლექტორი იყო. გარდა სამხედრო საქმიანობისა, მუშაობდა რუსულ-ქართულ-სვანური ლექსიკონის შექმნაზე.**

როგორც უკვე აღვნიშნე, სეით მილდიანი წითელი ვარსკვლავის ორდენის კავალერი იყო. წითელი ვარსკვლავის ორდენი საბჭოთა კავშირში 1930 წელს დაარსდა, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (უმაღლესი საბჭოს წინამორბედი ორგანო) 5 მაისის დადგენილებით. ამ ორდენს ანიჭებდნენ **„საბჭოთა კავშირის დაცვის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისთვის როგორც სამხედრო, ისე მშვიდობიან პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის“.**



Тов. Милдиани
Сейд Давидович

Указом Президиума Верховного Совета Союза ССР от 24 августа 1949 года Вы награждены орденом „Красной Звезды“

ПОЗДРАВЛЯЮ ВАС с высокой правительственной наградой и желаю дальнейших успехов в работе.—

Министр Государственной Безопасности ГССР
Генерал—Лейтенант
(Н. РУХАДЗЕ)

„19“ сентября 1949 г.
г. Тбилиси

საქ. სსრ უშიშროების მინისტრ რუხაძის მილოცვის წერილი

ისტორიკოს **ანდრეი ჟუკოვის** მიერ მოძიებულ შინსახკომის საარქივო მასალებში მოხსენიებულია სეით მილდიანის წოდება და ჯილდო, ეს ინფორმაცია კი გამოქვეყნებულია ჟუკოვის მიერ შექმნილ ინტერნეტრესურს nkvd.memo.ru-ზე:

სეით დავითის ძე მილდიანი

**წოდება:** უფროსი ლეიტენანტი.

**ჯილდო:** წითელი ვარსკვლავის ორდენი.

**წყარო:** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 24 აგვისტოს ბრძანებულება (ნაწილი მე-4).

სამწუხაროდ, სეით მილდიანის ბედი ტრაგიკული აღმოჩნდა. იგი შეეწირა თავის პრინციპებს, პატიოსნებას, არ გადაუხვია **სტალინისა** და **ბერიას** ხაზს და 1953 წელს **ხრუშჩოვისა** და მისი ბანდის რეპრესიების მსხვერპლი შეიქნა. სწორედ მის სახლში ჩატარებული ჩხრეკისას დაიკარგა წითელი ვარსკვლავის ორდენი, მაგრამ ქალბატონ ლამარას შემორჩა ამ ჯილდოს მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი — უშიშროების მინისტრ **რუხაძის** მილოცვა სეით მილდიანის სახელზე და მას სათუთად ინახავს. გთავაზობთ ამ წერილის ფოტოს:



სკრინშოტი ინტერნეტიდან: წითელი ვარსკვლავის ორდენის კავალერი მილდიანი

Милдиани, Сеид Давидович

| Нет страниц персоналий с таким именем | Нет записей о службе | Записи о званиях | Записи о награждениях | Нет иных упоминаний |
|---|---|---|---|---|

Записи о званиях

| | | дата | звание | источник |
|---|---|---|---|---|
| Милдиани, Сеид Давидович | на | 24.08.1949 | старший лейтенант | Указ Президиума ВС СССР от 24.08.1949 — часть 4 из 8 |

Записи о награждениях

| | дата | награда | источник |
|---|---|---|---|
| Милдиани, Сеид Давидович | 24.08.1949 | орден Красной Звезды | Указ Президиума ВС СССР от 24.08.1949 — часть 4 из 8 |

ულრმეს მადლობას მოვახსენებ ქალბატონ ლამარას ამ მასალის მოწოდებისთვის!

აქვე აღვნიშნავ, რომ დამიკავშირდა ქალბატონი **ლია ხუნდაძე**, სტალინგრადის ბრძოლის მონაწილის, **ვლადიმერ ივანეს ძე ხუნდაძის,** ქალიშვილი, რომელიც დამპირდა, რომ მომაწვდის მასალებს მამის შესახებ. ონლაინენციკლოპედია „დიდი სამამულო“, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთან“ ერთად, კვლავაც გააგრძელებს ამ საშვილიშვილო საქმეზე ზრუნვას და იმედს გამოვთქვამ, რომ ამ საქმიანობაში ხელს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ღირსეული წარმომადგენლები შეგვიწყობენ.

**გულბაათ რცხილაძე,**
**მოძრაობა „საქართველოს უკვდავი ჯარის“ დამფუძნებელი**

**სეით მილდიანი 1912 წელს დაიბადა მესტიის რაიონში. საშუალო სკოლა გაგრაში დაამთავრა, შემდეგ — სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. ახალგაზრდობაში სამხედრო საქმემ გაიტაცა და შინსახკომის სპეცდანიშნულების რაზმში მსახურობდა, მონაწილეობდა ფაშისტური გერმანიისგან კავკასიის დაცვაში, მიღებული აქვს მედალი და მადლობის წერილი საქართველოს უშიშროების მინისტრისგან. აღსანიშნავია, რომ სეით მილდიანი ომამდე სპეცდისციპლინების ლექტორი იყო. გარდა სამხედრო საქმიანობისა, მუშაობდა რუსულ-ქართულ-სვანური ლექსიკონის შექმნაზე**

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „ამ საგანზედ სრული უმეცრება ტრიალებს არამც თუ ჩვენს საზოგადოებაში, არამედ იმათ შორისაც, ვისაც თითონ საზოგადოების ხელმძღვანელობა უკისრნია“.

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

# როგორი იყო ილია ჭავჭავაძის საბანკო პოლიტიკა, როცა საქართველოში ფეხს იდგამდა საბანკო სისტემა

**„რომელ ბანკის წესდებას შეუძლიან, კაცს ხელ-ფეხი ისე შეუკრას, რომ აღებული ვალი ცუდ-უბრალოზედ არ გააფუჭოს?“ — ილიას ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია, რადგან ექსპერტებიც კი თანხმდებიან, რომ დღეს საქართველოში საბანკო პოლიტიკა გადასახედია.**

**წლებია, საქართველოში საზოგადოება ბანკებისადმი უკმაყოფილებას გამოხატავს, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია მახინჯი საბანკო სისტემის დარეგულირება, რომ ეს მძარცველური პრაქტიკა ცივილიზებული მეთოდებითა და კონკურენტული საბანკო ჯგუფების შემოყვანით უნდა დაიშალოს. სწორედ ამ მძარცველური პოლიტიკის შემადგენელია აბსოლუტურად ყალბი რეკლამა, რომლის ერთადერთი მიზანი კლიენტის მოტყუებაა. იმავე ექსპერტების აზრით, თაღლითური საბანკო სისტემის დამსახურებაა ისიც, რომ ჩავარდნილია საქართველოს ეკონომიკა და წარმოება სათანადოდ ვერ ვითარდება.**

**დღეს არავინ დავობს იმაზე, რომ საბანკო სექტორში უნდა არსებობდეს ძალიან მკაცრი ეთიკის სტანდარტი, რომელსაც განურჩევლად დაიცავს ყველა კომერციული ბანკი; რომ დაუშვებელია ისეთი სარეკლამო კამპანიის წარმოება, რომელმაც, შესაძლოა, შეცდომაში შეიყვანოს კლიენტი; რომ ეროვნული ბანკი უნდა იყოს პასუხისმგებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ყველა ასპექტზე...**

**საინტერესოა, როგორი იყო ილიასდროინდელი ბანკი და რა პრეტენზიებს უყენებდნენ მას, რა პასუხს სცემდა მათზე დიდი ილია, რომელსაც ლომის წილი მიუძღვოდა საქართველოში ბანკის დაარსებაში, და როგორი იყო ილია ჭავჭავაძის საბანკო პოლიტიკა, როცა საქართველოში ფეხს იდგამდა საბანკო სისტემა. ილია მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ბანკი იმისთვის არსებობს, „სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და მხოლოდ ამ მოგებიდან უფრო ბევრი წილი ჩვენის ქვეყნის საერთო საჭიროებას მოხმარდეს და ზოგნი კიდევ ღარიბთაც გაუნაწილდეს, იმ ღარიბთ, რომელნიც რომელიმე უბედურების გამო სიღარიბეში ჩაცვივდნენ და არა იმით, ვინც გულაღმა წვანან, გულზედ ფაფუკი ხელები დაუკრეფიათ, პირი დაუღიათ და ჰყვირიან — მასვით და მაჭამეთო...“. ილიას უპირველესი მიზანი იყო არა გამდიდრება, არამედ სხვადასხვა საზოგადოებრივი ღონისძიების, საჭიროების ფინანსური დახმარება, ეროვნული საქმის კეთება.**

**სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება მისი ერთ-ერთი „შინაური მიმოხილვა“, რომელიც 1883 წლის იანვარში დაიწერა.**

**აი ეს წერილიც:**

ფინანსთა მინისტრის განკარგულებით ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკმა დროებით უნდა დააყენოს სესხის გაცემა. ტყუილ-უბრალოდ მყვირალნი საერთოდ საადგილ-მამულო ბანკების წინააღმდეგ, ვგონებ, სიხარულით ხელებს იფშვნეტენ, მაგრამ კი ჩვენ უფალსა ვსთხოვთ, მიუტეოს მათ, რამეთუ არ იციან, რას იქმან.

ჩვენ ეს განკარგულება დიდ უბედურებად მიგვაჩნია და ამიტომაც განსაკუთრებით ჩვენს ყურადღებას დღეს ამ საგანს მივაქცევთ და **არც წერილის სიდიდეს მოვერიდებით, არც გრძლად ლაპარაკსა, ოღონდ ჩვენს საზოგადოებაში მოვფინოთ ის ჭეშმარიტებანი, რომლის ძალითაც ბანკების თაობაზედ საზოგადოდ და საადგილ-მამულო ბანკებისაზედ ცალკედ, კაცმა თავისი პირუთვნელი, პირმიუხედავი აზრი უნდა წარმოსთქვას. რომ ამ საგანზედ სრული უმეცრება ტრიალებს არამც თუ ჩვენს საზოგადოებაში, არამედ იმათ შორისაც, ვისაც თითონ საზოგადოების ხელმძღვანელობა უკისრნია**, ამის მაგალითად მოვიყვანთ „შრომის“ №3-ს.

ამ 3-ში დაბეჭდილია წერილი ბანკების შესახებ და ამ წერილის თავში მოქცეულია წინასიტყვაობა „შრომის“ რედაქციისა, რომელიც გვაოცებს ხოლმე თავისის უსუსურობით ყოველთვის, როცა კი საადგილ-მამულო ბანკებს შეეხება. „ჩვენის საადგილ-მამულო ბანკების დაფუძნებიდგანვე, — ამბობს რედაქცია თავმოწონებით, — თითქმის იქიდგან, როცა ჯერ ამ ბანკების წესდებაზედ იყო ლაპარაკი, ჩვენ ყოველთვის გამოგვითქვამს, როგორც საზოგადოების კრებაზედ, ისე ლიტერატურაშიაც ის აზრი, რომ **ამგვარი ბანკები მხოლოდ მაშინ იქნებოდა სასარგებლო, როცა იქიდგან გამოტანილს ფულს მამულის შესამუშავებლად მოიხმარებდნენ და როცა ვალის გადაუხდელობისათვის გასასყიდი მამული გარეშე კაცს არ ჩაუვარდებოდა ხელში.** ამ აზრისათვის ჩვენ და ჩვენი თანამოაზრენი თითქმის ჯვარცმულსავით ვიდევნებოდით“.

გაგონილა, რომ დამჯდარმა კაცმა ეს ამისთანა აზრი საქვეყნოდ წარმოსთქვას. „ჯვარცმულსავით ვიდევნებოდითო“ — მაშ რა მოგივიდოდათ, **თუ მართლა, როცა ბანკების წესდებაზედ იყო ლაპარაკი, თქვენ იმაზედ გააბით გაუთავებელი ლაპარაკი, რომ ვალის ამღებმა ფული როგორ უნდა მოიხმაროს და ვალის გადაუხდელობისათვის გასასყიდი მამული გარეშე კაცს რა გზით არ ჩაუვარდეს ხელშიო, და თუ ამაზედ გალაპარაკეს, სახელი და დიდება მსმენელთა მოთმინებასა. ისინი ცმულან ჯვარს, რომ მაგდენი გილაპარაკნიათ იმაზე, თუ მუხას ვაშლი რატომ არ ასხიაო.** საწყალი მსმენელები!.. ერთი იმას ვკითხავთ ამ წინასიტყვაობის დამწერს, — სად ბანკების წესდება და სად ეგ ამბები? **რომელ ბანკის წესდებას შეუძლიან, კაცს ხელ-ფეხი ისე შეუკრას, რომ აღებული ვალი ცუდ-უბრალოზედ არ გააფუჭოს და მხოლოდ მამულის განკარგებას მოახმაროს? რომელს ბანკის წესდებას შეუძლიან ვალის გადაუხდელობისათვის გასასყიდი მამული გარეშე კაცს არ ჩაუგდოს ხელში?** აქ ბანკის წესდება რა შუაშია, რომ აგიღიათ თავი და სულ სხვა საგნებზედ დაგიწყიათ ლაპარაკი. ბატონებო, დონკიხოტსავით ქარის წისქვილებს მისდგომიხართ და ჩივით, რატომ არ აგვყევითო. ისინი თურმე იმ მთაზედ ლაპარაკობენ, თქვენ კი მისდგომიხართ და ამ მთის ამბით სული ამოგირთმევიათ. ჯვარს უნდა ცმულ იყავით, მაშ რა მოგივიდოდათ, წყალის ნაყვა რაკი ეგრე გულით მოგიწადინებიათ.



**«ბანკის საყოველთაო მნიშვნელობა ის კი არ არის, რომ ვისაც ფულს ასესხებს, უკანვე გაედევნოს, აპეკუნად გაუხდეს და ტყუილ-უბრალოზედ ფული არ დაახარჯვინოს, და თუ ვალის ამღებმა სესხი არ მოიშორა — ბანკმა არა დააკლოს რა. ბანკს ამისთანა საქმეს ან ბავშვები მოსთხოვენ, ან იმისთანანი, რომელნიც საზოგადოების გაბრიყვებას კადრულობენ, როგორც გონება-გაუხსნელის ბავშისას»**

**ბანკის საყოველთაო მნიშვნელობა ის კი არ არის, რომ ვისაც ფულს ასესხებს, უკანვე გაედევნოს, აპეკუნად გაუხდეს და ტყუილ-უბრალოზედ ფული არ დაახარჯვინოს, და თუ ვალის ამღებმა სესხი არ მოიშორა — ბანკმა არა დააკლოს რა. ბანკს ამისთანა საქმეს ან ბავშვები მოსთხოვენ, ან იმისთანანი, რომელნიც საზოგადოების გაბრიყვებას კადრულობენ, როგორც გონება-გაუხსნელის ბავშისას.**

**რაკი ამისთანა სამდურავი ბანკის თაობაზედ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენის ლიტერატორებისაგან გვესმის, სჩანს, ჩვენში ძალიან ცოტას სცოდნია: რა არის კრედიტი საზოგადოდ და საადგილ-მამულო ცალკედ.** ამის გამოკვლევას შევუდგებით ჩვენ ჩვენის შეძლებისამებრ და იქნება იმოდენა შევძლოთ, რომ ეს ავასრულოთ. რომ შევუდგეთ რომელიმე საზოგადოების, თუ ერის ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებას და დავაკვირდეთ იმის ვითარებას, შევნიშნავთ აი რას: ერთს ადგილას თქვენ დაინახავთ, მაგალითებრ, მჭედელსა, რომელსაც თავის საკუთარს სამჭედლოში უწყვია მზად გაკეთებული ბარი, თოხი, ნაჯახი, ცული, სახნის-საკვეთი და ელის მსყიდველსა, რომელიც არსაითა სჩანს. იქავ გვერდით უდგას მიწის-მომქმედი, რომელსაც უჭირს ყოველივე ეგ სამამულო იარაღი, მაგრამ ღონისძიება არა აქვს, შეიძინოს უფულობით, თუმცა ბეღელი სავსე აქვს ყოველგვარის მიწის ნაწარმოებითა, რომელიც ბევრს სხვას ეჭირვება. მესამე ადგილას ხედავთ აგურის მკეთებელსა, რომელსაც უჭირს მიწის-მომქმედის ნაწარმოები და არა აქვს ღონისძიება, შეიძინოს, თუმცა მრავალი აგური უწყვია ქარხანაში და მუშტარს ელოდება. მეოთხე ადგილას ხედავთ ღვინის მომყვანსა, რომელსაც უნდა ერთი კაი მარანი დადგას და აგური არა აქვს, თუმცა ღვინით სავსე ქვევრები უდგას და სხვანი და სხვანი.

ამ სახით ვხედავთ, რომ ერთის მხრით საჭიროებაა, მეორეს მხრით საჭიროების დასაკმაყოფილებლად საგნებია, მაგრამ ცალ-ცალკედ კი. ამ განცალკევებისა და იმ მიზეზის გამო, რომ ხელად იმისთანა სასყიდელი ღონე არ არის, რომელსაც შეუძლიან საკმაყოფილო საგნები საჭიროებას მიუზიდოს, მჭედელი, მიწისმომქმედი, ღვინის მომყვანი და მეაგურე იძულებულ არიან, უქმად იყვნენ, იმიტომ, რომ თვითოეულს მათგანს რაც თანხა ჰქონია, თავის ნაწარმოებში გაუბამს და სხვა აღარა აქვს, განაგრძოს თავისი წარმოება.

ამ სახით, ვიმეორებთ, თქვენ ხედავთ, რომ შრომა თვითოეულის მათგანისა შეყენებულია და თანხაც, რომელსაც ეხლა წარმოადგენს მათი ნაწარმოები, უქმად დარჩომილია, იმიტომ, რომ ნაწარმოები, ვსთქვათ მჭედლისა, მისის ხელობისათვის გამოუსადეგია და ის წარმოება-კი, რომლისათვისაც მისგან მომზადებული იარაღი გამოსადეგია, იმისი საქმე არ არის. ამ ადვილად შესაძლებელ ყოფაში წარმოებას ხელ-ფეხი შეკრული აქვს, საზოგადოება ეკონომიურის მხრით ძლივ-ძლივ სულს იბრუნებს, თუნდაც ელემენტები წარმოებისა და კეთილდღეობისა უხვად იყოს.

როგორ უნდა ეშველოს? იტყვიან, იმ დალოცვილებმა აიღონ თავიანთი ნაწარმოები და ერთმანეთს გაუცვალონო. მაგრამ აგეთი პირდაპირ გაცვლა-გამოცვლა შეუძლებელია იმიტომ, რომ, რაც მე მიჭირს, ის იმისთანა კაცსა აქვს, რომელსაც ჩემი ნაწარმოები არ უჭირს.

ამის გამო, რომ ეგ გაცვლა-გამოცვლა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ეგ აღებ-მიცემობა მოხდეს, ყოველმა მწარმოებელმა თავისი ნაწარმოები იმისთანა საფასურად უნდა აქციოს, რომელსაც საყოველთაო და უცილობელი ძალი აქვს აღებ-მიცემობის მოსახდენად. ესე იგი, უნდა აქციოს ფულად. კარგი, მაგრამ, რომ ფულიც არ იყოს? **ფულის გარდა არის სხვა ღონისძიება, რომელსაც ძალუძს ერთის კაპიტალი შეახვედროს მეორის შრომას და ამით ბოლო მოუღოს მიზეზს წარმოების უქმად ყოფნისას, ხელ-ახლად სული ჩაუდგას მოქმედებას მჭედლისას, მიწათ-მომქმედისას და სხვათა. ეგ ღონისძიება ერთგვარი მორიგებაა, რომლის ძალითაც მჭედელი ენდობა-რა მიწათ-მომქმედს, მიწისმომქმედი მეაგურეს, მეაგურე ღვინის მომყვანს, ერთმანეთს ხელს უმართავენ თავიანთის ნაწარმოებითა, ანუ უკეთ ვსთქვათ, კაპიტალებითა, — იმ პირობით, რომ დაუბრუნოს ეს კაპიტალი ვადაზედ თავის სარგებლით დაცალებისათვის.** ხოლო მჭედელმა, თუ სხვამ, თუმცა გაასაღა ამ სახით თავისი საქონელი და ხელი გაუმართა მიწათ-მომქმედსა, მაგრამ მაინც ხომ უკაპიტალოდ რჩება ვადამდე და, მაშასადამე, მისი წარმოება ვადის მოსვლამდე ისევ-ისე უქმად უნდა იყოს. რომ ეს ასე არ მოუხდეს, მჭედელმა საბუთი რამ უნდა იქონიოს, ანუ თამასუქი, როგორც ჩვენ ვიტყვით ხოლმე, უნდა ჩამოართოს მიწათ-მომქმედსა, მერე ასეთი, რომელსაც იმისთანავე ძალა ჰქონდეს სყიდვისა, როგორც ფულის ნიშანსა აქვს. რომ თამასუქს ესეთი ძალა მიენიჭოს, თამასუქთან ერთად უცილო რწმუნებაც უნდა იყოს მასზედ, რომ თამასუქი გავა, თუ ყველგან არა, იმ აღებ-მიცემობის მოედანზედ მაინც, საცა მოქმედობენ და საქმობენ ეგრე მორიგებულნი პირნი. რაღა თქმა უნდა, რომ იმ თამასუქს ეგ სარწმუნო ღირსება არ ექნება.

**აი სწორედ ამ გაჭირვების დროს მოდის ბანკი და ეუბნება: „შენ, მჭედელო, მიეცი შენი ნაწარმოები მიწის-მომქმედსა, შენ, მიწის-მომქმედო, — მეაგურეს და შენ, მეაგურევ — ღვინის მომყვანსა, და მიცემის ნიშნად ჩამოართვით თამასუქები,** ▶

„აი სწორედ ამ გაჭირვების დროს მოდის ბანკი და ეუბნება: „შენ, მჭედელო, მიეცი შენი ნაწარმოები მიწის-მომქმედსა, შენ, მიწის-მომქმედო, — მეაგურეს და შენ, მეაგურევ — ღვინის მომყვანსა, და მიცემის ნიშნად ჩამოართვით თამასუქები, თუ ერთმანეთს ენდობით და ერთმანეთის რწმუნება გაქვთ. ყველა მაგ თამასუქებს მე ჩემს თავზედ მივიღებ ვადამდე და თქვენ მის სამაგიეროდ ან ნაღდ ფულს გიშოვით, ან მოგცემთ ჩემს ბილეთებს, ჩემგან ხელმოწერილებს, რომელთაც, თუ ყველგან არა, იმ აღებ-მიცემობის მოედანზედ მაინც მიიღებენ, საცა თითონ მე ვმოქმედობ და ვსაქმობ“.

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«ამ-გვარის ხელის გამართვით ბანკისაგან, ნაწარმოები ხელიდამ ხელში გადავა, გაძლიერდება საქონლის მიქცევ-მოქცევა მწარმოებელთა შორის. არც ნივთი რამ, არც იარაღი, არც ერთი ნაამაგევი კაცისა აღარ დარჩება უქმად და მოუხმარებლად»**

◀ **თუ ერთმანეთს ენდობით და ერთმანეთის რწმუნება გაქვთ. ყველა მაგ თამასუქებს მე ჩემს თავზედ მივიღებ ვადამდე და თქვენ მის სამაგიეროდ ან ნაღდ ფულს გიშოვით, ან მოგცემთ ჩემს ბილეთებს, ჩემგან ხელმოწერილებს, რომელთაც, თუ ყველგან არა, იმ აღებ-მიცემობის მოედანზედ მაინც მიიღებენ, საცა თითონ მე ვმოქმედობ და ვსაქმობ**. ეგ იმედი ბანკის ბილეთების მიღებისა უცილოა, იმიტომ რომ ნდობა ბანკისადმი ბანკის ცარიელ სიტყვაზედ კი არ არის დამყარებული, არამედ იმისთანა საფუძველზედ, რომელიც სათავეა და ძირი საყოველთაო ნდობისა და საყოველთაო რწმუნებისათვის, ყველასაგან ერთნაირად ცნობილია და ერთნაირად მიღებული. ბანკს რომ ერთი რამ ამ საფუძველთაგანი დააკლოთ, ამ საქმეს ველარ გაუძლვება. ამ-გვარის **ხელის გამართვით ბანკისაგან, ნაწარმოები ხელიდამ ხელში გადავა, გაძლიერდება საქონლის მიქცევ-მოქცევა მწარმოებელთა შორის. არც ნივთი რამ, არც იარაღი, არც ერთი ნაამაგევი კაცისა აღარ დარჩება უქმად და მოუხმარებლად**.

რაში იყო ბუნება მორიგებისა, რომელიც ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, სახელდობრ — რაში გამოიჩინა თავი? იმაში, რომ გადიტანა კაპიტალი ერთიდამ მეორესთან და ფულის მაგიერობა გასწია. ეს კარგად დავიხსომოთ.

მაგრამ ხსენებულს მორიგებაში უსათუოდ ნდობა უნდა იყოს მორიგებულთა შორის. აი სწორედ ეგ ნდობა, რომლის ძალითაც კაპიტალი გადადის ერთის ხელიდამ მეორეში, რომელიც განხორციელდება ხოლმე ხსენებულ მორიგებაში და რომელიც ფულის მაგიერობას გაგვიწევს ხოლმე, არის ის, რასაც კრედიტს ეძახიან.

**კრედიტი ორ-პირი მახვილია. ეგ იმაზედ არის დამოკიდებული, კრედიტს ვინ როგორ იმსახურებს, ვინ როგორ გამოიყენებს. თუ კაცი კრედიტს წარმოების გასაძლიერებლად არ მოიხმარებს, იგი კაცის დამღუპველია. ის კრედიტი კი, რომელიც იხმარება წარმოების გასაძლიერებლად, ერთი იმისთანა ეკონომიურ ძალთაგანია, ერთი იმისთანა წყაროა საზოგადო სიმდიდრისა, ურომლისოდაც კეთილდღეობა საზოგადოებისა ძნელად იგულისხმება,** იმიტომ რომ კრედიტს, გადააქვს რა კაპიტალი ფულად თუ წარმოების მასალად, იარაღად თუ სხვაგვარ სახმარ ნივთად, გადააქვს იქიდამ, საცა ყოველივე ეგ უქმად აწყვია, იქ — საცა საჭიროა წარმოების გასაძლიერებლად, და ამ სახით მორიგებს ხოლმე კაპიტალს ყოველგან და ყოველგანვე იმ სარგებლობას მოატანინებს, რისთვისაც კაპიტალი დანიშნულია. მაშასადამე, **კრედიტი, ეკონომიურის თვალით გასინჯული, ერთი იმისთანა გამოსადეგი ღონეთაგანია, რომლის შემწეობითაც გროვდება გაფანტული და უქმი კაპიტალი საზოგადოებისა და ერთის ხელიდამ მეორეში გადადის წარმოების გასაძლიერებლად. ეგ გაძლიერება წარმოებისა ერთადერთი, მხოლოობითი საგანია და მიზანი კრედიტისა**. ამიტომაც იგივე გაძლიერება წარმოებისა მხოლოობითი ღონისძიება-ღა არის კრედიტის პასუხის გასაცემად.



ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო იპოთეკით დატვირთული ბინიდან გამოსახლების შედეგად დამდგარი უსახლკარობის პრობლემა საქართველოში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს

რადგანაც წარმოება და მასთან შეერთებული ქონება სხვადასხვა-გვარია, თითონ კრედიტიც სხვადასხვა-გვარია იმისდა მიხედვით, თუ რა წარმოებაზედ და რა ქონებაზედ არის მიქცეული. მაშასადამე, რომ თვალი ავიხილოთ მასზედ, თუ რაგვარი კრედიტი უჭირდა ჩვენს ქვეყანასა და რა-გვარი კრედიტი გახდა საფუძვლად ჩვენის ბანკების წესდებისა, საჭიროა შევიტყოთ, რა-გვარი წარმოება თხოულობდა ჩვენში კრედიტის შემწეობას და რაგვარი ქონებაა იმ წარმოებასთან შეერთებული. ამას ეჭვი არ უნდა, რომ ჩვენი ქვეყანა მიწათმომქმედი ქვეყანაა და ერთადერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს, სასოფლო მეურნეობაა, ესე იგი — იმისთანა წარმოება, რომელსაც პირდაპირ მიწასთან აქვს საქმე და მიწის-მოქმედებასთანა. ეს არის ერთად-ერთი წარმოება, რომლის გაძლიერებისათვის გვინდა შემწეობა კრედიტისა და რომელიც თითქმის ერთადერთი წყაროა ჩვენის სიმდიდრისა.

კრედიტი, რომელიც ამ წარმოებას ეხმარება, არის ეგრეთ-წოდებული სასოფლო მეურნეობის კრედიტი, ანუ საადგილ-მამულო. მაშასადამე, **საადგილ-მამულო კრედიტს, როგორც კრედიტს, საგნად მარტო ის უნდა ჰქონდეს, რომ გააძლიეროს სოფლის მეურნეობის წარმოება. და რადგან ეს წარმოება განუყოფელად შეერთებულია მიწასთან და მიწათმოქმედებასთან, ამიტომაც საადგილ-მამულო კრედიტი ირჩევა ყოველ სხვა-გვარ კრედიტთაგან იმ განსაკუთრებულ თვისებებით, რომელნიც წარმოსდგებიან თითონ მიწათმოქმედების და მიწის ეკონომიურ ბუნებისაგან**.

გავსინჯოთ ეკონომიური ბუნება ერთისაც და მეორისაც. მიწათ-მოქმედებაზედ მიქცეული, კრედიტის შემწეობით, კაპიტალი ორ-გვარად შეიძლება მოიხმაროს კაცმა: ერთი იმისათვის — რომ დროებითი და შემთხვევითი გამორჩომა ნახოს, მეორე იმისათვის — რომ სამუდამოდ მკვიდრად განაკარგოს მეურნეობა. ცხადია, რომ პირველ შემთხვევაში მიწათ-მოქმედება ვერ მისცემს მტკიცეს და კეთილსაიმედო ღონეს კრედიტის პასუხის გასაცემად და ამით კრედიტის განვითარებისათვის ხელმოკლეა, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში ყველაფერი დროებითია და შემთხვევაზეა დამოკიდებული. მეორე შემთხვევაში-კი, ესე იგი მაშინ, როცა კაპიტალი მიქცეულია მიწათ-მოქმედებაზედ მარტო იმ განზრახვით, რომ მკვიდრად და სამუდამოდ გააძლიეროს წარმოება მიწათმოქმედებისა, მიწათ-მოქმედების შემოსავალი თანდათან მატულობს, ძლიერდება, და ეგ მატება და გაძლიერება უფრო მტკიცე, უფრო მუდმივი ღონისძიებაა კრედიტის პასუხისსაგებლად. ხოლო მიწათ-მოქმედება იმ-გვარი წარმოებაა,

**«კრედიტი ორ-პირი მახვილია. ეგ იმაზედ არის დამოკიდებული, კრედიტს ვინ როგორ იმსახურებს, ვინ როგორ გამოიყენებს. თუ კაცი კრედიტს წარმოების გასაძლიერებლად არ მოიხმარებს, იგი კაცის დამღუპველია. ის კრედიტი კი, რომელიც იხმარება წარმოების გასაძლიერებლად, ერთი იმისთანა ეკონომიურ ძალთაგანია, ერთი იმისთანა წყაროა საზოგადო სიმდიდრისა, ურომლისოდაც კეთილდღეობა საზოგადოებისა ძნელად იგულისხმება»**

რომლის სამუდამოდ და მკვიდრად განკარგებისათვის საჭიროა დიდი ხანი. ამ წარმოების აჩქარება ვერა მანქანებას კაცისას არ შეუძლიან, იმიტომ რომ აქ ყველაფერი დამოკიდებულია თითონ იმ ნივთთა ბუნებაზედ, რომელნიც მაგ წარმოებას ემსახურებიან და რომელთ ბუნების შეცვლაც კაცთა ხელთ არ არის. მაგალითებრ, ვაზს, რომელსაც დღესა ვრგავთ, ვერ ვიტყვით, ექვს თვეზედ ყურძენი გამოისხიო. ამასთანაც, მიწათ-მოქმედებაზედ მიქცეული კაპიტალი შეეხორცება ხოლმე მიწასა, ისე რომ ერთბამად უკანვე ამოღება ყოვლად შეუძლებელია. შეიძლება ამოღება მხოლოდ თანდათან ნამეტანისაგან შემოსავლისა, ისიც იმ დროთა განმავლობაში, რომელიც უსათუოდ შეზომილი უნდა იყოს თითონ წარმოების ქცევის დროსთან. მიწათ-მოქმედების წარმოებაში ეგ ქცევა მეტად ხანგრძლივ დროს ითხოვს, 30-ს, 40-ს, 50-ს წელს, და ამაზედ მეტსაც.

აი ამ სახით, მიწათ-მოქმედება იმისთანა წარმოებაა, განსხვავებული ყოველ სხვაგვარ წარმოებისაგან, რომელიც შესაძლოა მტკიცედ და მკვიდრად განკარგებულ და გაძლიერებულ იქმნას მხოლოდ ხანგრძლივ დროთა განმავლობაში და რომელიც ერთხანად და ერთბამად არ უბრუნებს დახარჯულს კაპიტალსა, არამედ თანდათან და ფეხმძიმედ ზრდის შემოსავალს და იქიდამ იშორებს იმავე თანდათანობით, იმავე ფეხმძიმობით. აი, ორი განსაკუთრებული თვისება მიწათ-მოქმედებისა. აი, სახელდობრ, ამ ორის მიწათ-მოქმედების განსაკუთრებულის თვისებისაგან წარმოსდგება ორი არსებითი და აუცილებელი თვისება საადგილ-მამულო კრედიტისაცა: ერთი თვისება ის არის, რომ კრედიტი ხანგრძლივი იყოს, და მეორე ისა, რომ კრედიტს პასუხი გაეცეს ერთხანად და ერთბამად კი არა, არამედ თანდათანობით, ყოველ-წლიურის შემოსატანით ნამეტანისაგან შემოსავლისა.

**აშკარაა, რაკი საადგილ-მამულო კრედიტი უსათუოდ ხანგრძლივი უნდა იყოს, მისდა საიმედოდ იმისთანა ქონება უნდა იქმნას, რომელიც ხანგრძლივობას აიტანს, რომელიც დროთა განმავლობაში არა ფუჭდება, ფასს არ იკლებს.** ამისთანა ქონება მარტო მიწაა და ეგ მიწაა ერთად-ერთი ქონება მიწათ-მოქმედებისა, რომლითაც იგი მოიპოვებს ხოლმე კრედიტსა, ნდობას, იმიტომ რომ თითონ მომქმედს, როგორც სიკვდილის შვილს, პირადად ხანგრძლივ 40 და 50 წელიწადს ვერვინ ენდობა, არც მის წარმოებას, რომელიც ერთბამად არ უბრუნებს დახარჯულს კაპიტალსა.

ეხლა ვნახოთ, ეკონომიური ბუნება მიწისა რამოდენად ხდის შესაძლოდ საადგილ-მამულო კრედიტის ხანგრძლივობასა. მიწა ჩვენშიაც, როგორც ყველგან სხვაგან, უფრო მკვიდრი და მტკიცე თამასუქია, ვიდრე სხვაგვარი ქონება, იმიტომ რომ საზოგადო წარმოების გამო მრავლდება ერი; ერის გამრავლებით მიწას მუშტარი ემატება, მაშინ როდესაც თითონ მიწა კი არ მატულობს, არც იზრდება, რაც ბუნებას გაუჩენია — მასზედ მეტი ვერ გახდება. მუშტარის მომატებას ამ შემთხვევაში მიწის ფასის აწევა მოსდევს და ამ სახით მიწა, დღეს გირაოდ მიღებული, შესაძლოა ათს და ოცს წელიწადს ერთი-ორად მეტის ფასისა გახდეს. ამაზედ თითონ ჩვენშიაც დარწმუნდებიან, ვისაც ახსოვს, რა ღირდა უწინ მიწა ჩვენში და რა ღირს დღეს. გარდა ამისა, არ არის ქვეყნიერობაზედ სხვაგვარი ქონება, რომ ორმოც და ორმოც-და-ათს წელიწადს გასძლოს მთლად, უვნებლად, დაუკლებლად, როგორც მიწა სძლებს. ამიტომაც მარტო ეგგვარი ქონება ხდის შესაძლოდ საადგილ-მამულო კრედიტის ხანგრძლივობას.

ამ სახით, საადგილ-მამულო კრედიტი არის იმისთანა კრედიტი, რომელიც 1) ხანრძლივია, 2) ერთბამად არა თხოულობს კაპიტალის დაბრუნებას, არამედ აცლის, რომ კაცმა იმ წარმოების მიხედვით, რაზედაც მიქცეულია კრედიტი, თანდათან და ნელ-ნელად გადიხადოს ყოველწლივ სამსახური კრედიტისა გაძლიერებულის შემოსავლისაგან და 3) რომელიც, თუ არ მიწის იმედით, სხვა არაფრით არ მოიპოვება და არაფერს ვერ მიენდობა.

ამ სამს პირობას გარეთ არ არის და ვერც იქნება საადგილ-მამულო კრედიტი, ამის მოცემის მეტი არა შეუძლიან რა. ამაზედ მეტს ვინცა სთხოვს საადგილ-მამულო კრედიტს, იმას კრედიტის სუნიც არ მისდენია, და თუ მაინც თავისი დაუჟინია, თავის-თავსვე დააბრალოს, რომ ჯვართუცვია თავი ტყუილად და უბრალოდ.

თუ ეს არსებითნი პირობანი საადგილ-მამულო კრედიტისა არ არის შეტანილი ჩვენის ბანკების წესდებაში, მაშინ რომ იმისათვის ჯვარცმულ ყოფილიყო ვინმე, მშვენიერს გვირგვინს წამებისას ჩვენც ქებითა და დიდებით დავადგამდით, თუ არა და მუხას მისდგომიან, ვაშლი რატომ არ გასხიაო. იმიტომ, ბატონებო, რომ ყველას თავისი ბუნება აქვს და თავის ბუნების მიხედვით მოქმედობს. **დაუჟინიათ, ბანკებია მიზეზი, რომ ჩვენი მამულები ისყიდებაო და ერთი ყოფა და ამბავი გააქვთ, — გამოცანა ჩვენ გვერგებაო. ერთი გკითხავთ: სად იყო ბანკები, რომ მთელი ტფილისი ამ საუკუნის დასაწყისში სულ ქართველობას ეკუთვნოდა. ოც-და-ათმა წელიწადმაც არ გაიარა და მთელი ქალაქი სხვის ხელში გადავიდა! იცით, ვისი იყო სეიდაბათიდამ დაწყებული ვერამდის მთელი ქალაქი 1805 წ-დე? სუმბათაანთი, მელიქიანთი, მუხრანიანთი, ციციაანთი, ამილახვრიანთი, ორბელიანთი; და იცით, ვისი შეიქმნა 1840-მდე, სულ 35 წელიწადში? სად იყო მაშინ ბანკები!**

მაგაების მყვირალთ ის საქმე დაემართათ, რაც განსამართლების წესდების მოწინააღმდეგებს მოუვიდათ რუსეთში. ახალის წესდების შემოღებისვე უმალ დაიყვირეს: აკი ვამბობდითო, ავკაცობა გამრავლდაო ახალის წესდებისაგან! გამრავლდა კი არა, რაც ავკაცობა იყო უწინ, კანცელარიებში იმალებოდა და ეხლა კი საქვეყნოდა ცხადდება. იმიტომ ცოტაც ბევრი ეჩვენებოდათ, რადგან დღე-ყოველ გაზეთებში კითხულობდნენ. სწორედ ესე მოსდით ბანკების თაობაზედ მყვირალთაც. მინამ ბანკები არ იყვნენ, ვინ იცოდა სად რა მამულებსა ჰყიდდენ, ეხლა კი, რადგანაც კანტიკუნტად გაყიდვა საქვეყნოდა ხდება, სათვალავში უფრო კარგად მოდის და ვისაც ხალისი აქვს ყვირილისა, ყვირის, ეს ასეაო.

ამას ყველაფერს თავი დავანებოთ და უმორჩილესად ვთხოვთ „შრომის“ ჯვარცმულს მშრომლებსა, ერთი გვითხრან და გვასწავლონ: რა წესი უნდა შევიტანოთ წესდებაში, რომ ყველა მსესხებელმა ფული მამულს მოახმაროს და რა კანონი დავდვათ, რომ საადგილმამულო კრედიტიც გვქონდეს და მამულებიც არავის გაეყიდოს, ან თუ გაეყიდოს, გარეშე კაცთა ხელში არ გადავიდეს. თუ ვინმე ამისთანა სასწაულს მოგვიხდენს, ჩვენ დიდის სიამოვნებით თავს მძიმედ დავუკრავთ.

პირველი — კრედიტს იმოდენად მოეთხოვება, რამოდენადაც, როგორც ზემოთა ვსთქვით, მუხას ვაშლი, და მეორე-კი — თითონ კრედიტს ძირს მოუთხრის და იმ ექიმს ეგვანება, რომელმაც ცოცხალს კაცს თავი მოსჭრა, თავი აღარ ეტკინებაო.

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

# ნეოლიბერალური ზნეობა




## საფრანგეთში წინასწარმეტყველის შეურაცხყოფა ნებადართულია, მამათმავლების — არა!

**საფრანგეთი და, საერთოდ, მთელი მსოფლიო შეძრა ნიცის ტაძარში სამი ადამიანის მხეცურად დახოცვამ, როცა ერთ, ხანშიშესულ ქალს თავი მოჰკვეთეს. ამის შემდეგ რადიკალი ისლამისტები შეეცადნენ ტერაქტების მოწყობას ავინიონსა და საფრანგეთის საკონსულოსთან საუდის არაბეთში.**

### რამაც მამათმავლებიც კი აღაშფოთა

ტრაგიკული მოვლენები პრეზიდენტ **მაკრონის** განცხადებას მოჰყვა იმის თაობაზე, რომ იგი მხარს უჭერს წინასწარმეტყველ მუჰამედზე კარიკატურების გამოქვეყნებას. ეს მოხდა მეორე დღესვე, როცა სამზარეულო დანით თავი მოჰკვეთეს ისტორიის მასწავლებელს პარიზის გარეუბნიდან, რომელმაც თავის მოსწავლეებს ამგვარი ნახატები დაათვალიერებინა.

საფრანგეთის ხელისუფლება თავის პოზიციას „თავისუფლების დაცვის“ პრინციპით ამართლებს, მაგრამ აი რა არის საინტერესო: **სკანდალური ჟურნალი „შარლი ებდო“ დასაშვებად მიიჩნევს არა მხოლოდ მუსლიმი, არამედ მართლმადიდებელი მორწმუნეების გრძნობების შეურაცხყოფას. დასცინის ტერაქტების მსხვერპლთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — გეებს, ტრანსგენდერებს, ლესბოსელებსა და მათნაირ სექსუალურ ორიენტაციაარეულ ნაკაცარებსა და ქალყოფილებს.**

ეს არ ნიშნავს, რომ ამ გამოცემის გვერდებზე გეების თემას არ განიხილავენ; პირიქით, უამრავი მასალა იბეჭდება, მაგრამ ეს სიუჟეტები შეურაცხმყოფელია ნორმალური ადამიანებისთვის და არავითარ შემთხვევაში — ერთი და იმავე სქესის მქონეთა სიყვარულის მიმდევარი კასტის წევრებისთვის. **ერთ-ერთი ნომრის გარეკანზე გამოქვეყნებულია წმინდა ტრიადის სექსუალური ურთიერთობის გულისამრევი, მკრეხელური კარიკატურა.** თუ სოცქსელების რეაქციით განვსაზღვრავთ, ეს ნაცოდვილარი სიბინძურე მოეწონა საფრანგეთის ზნედაცემულთა მხოლოდ ერთ ჯგუფს.

რომელს? თვითონ მიხვდებით.

### ლიბერალური ქვეყანა

მამათმავლების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ჯერ კიდევ 1791 წელს გაუქმდა — საფრანგეთის დიადი რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გეებს არავინ ერჩოდა. გამონაკლისი ფაშისტების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის პერიოდი იყო, მაგრამ, როცა ლგბტ თემმა შეუტია ტრადიციულ ოჯახს, ფრანგებმა დემონსტრაციებით უპასუხეს. 2013 წელს პარიზის ცენტრში მილიონი ადამიანი გამოვიდა ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინების წინააღმდეგ. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ აქციას სექსუმცირესობათა წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

**„ჰომოსექსუალური ქორწინება გზას უხსნის უპასუხისმგებლო ეგოისტურ მისწრაფებას, როცა შესაძლებელი იქნება ბავშვის, როგორც ლეკვის, ყიდვა გასართობად,** — ამბობს ფრანგი ლესბოსელი **ნატალი**, — **ბავშვი საზოგადოებრიობის მომავალია... ბავშვი ვერასოდეს გაითავისებს, რომ მას ორი მამა ჰყავს. არ ენდოთ პროპაგანდის მტკიცებას, თითქოს ბავშვი ასეთ ოჯახში ბედნიერია. ჰკითხეთ პროფესორ რობერტ ლოპესს, რას ნიშნავს ერთი და იმავე სქესის პირთა „ოჯახის“ შვილობა.**

საფრანგეთში მიღებულია ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინების ლეგალიზაციის კანონი.

### რას არ იტყვის ხალხი

პრეზიდენტ **მაკრონზე** არაერთხელ განუცხადებიათ, რომ მას ჰომოსექსუალური კავშირი აქვს დაცვის ერთ-ერთ თანამშრომელთან, ხოლო მისი ხანდაზმული ცოლი, რომელიც ერთგვარი საფარველია, ყოველმხრივ მხარს უჭერს გეილობისტებსო.

შედეგად — **საფრანგეთში გეების გრძნობების შეურაცხყოფა მორალურ ძალადობად არის მიჩნეული. ქრისტიანების შეურაცხყოფა და დამცირება თავისუფლების გამოხატვაა. მუსლიმების? — რამდენიც გაგეხარდებათ და როცა მოგესურვებათ!**

საინტერესოა, რომ ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინების ლეგალიზაციის კანონის მიღების მომენტისთვის საფრანგეთში 200 ათასი წყვილი ჰომოსექსუალური სამოქალაქო ურთიერთობით იყო დაკავშირებული. 2013 წლიდან თავიანთი ურთიერთობა ოფიციალურად დაადასტურა 60 ათასმა წყვილმა. ამ უმცირესობის უფლებები უფრო მეტად არის დაცული, ვიდრე 6 მილიონი მაჰმადიანის.

რა მოჰყვება ასეთ განუკითხაობას, ალაჰმა უწყის!

# მეფისწული გეია, დედოფალი — ლესბოსელი. რატომ შეცვალეს ზღაპრები უნგრეთში




**XX საუკუნის მწერალი ფანტასტები მიიჩნევდნენ, რომ 2020 წლისთვის, როცა კაცობრიობა კოსმოსურ ერაში შეაბიჯებდა, ჩვენ არა მხოლოდ დავიპყრობდით მზის სისტემის უახლოეს პლანეტებს, არამედ კოსმოსური გონის კარიბჭესთან აღმოვჩნდებოდით.**



რეალობა გაცილებით პროზაული აღმოჩნდა. კოსმოსური უსასრულობის ათვისების ნაცვლად, ადამიანები სოციალური ქსელებითა და კომპიუტერული თამაშებით ერთობიან. ზემიწიერი გონის ძიება შეცვალა კაცობრიობის შემოქმედებითი მემკვიდრეობის გადახედვამ... ტოლერანტული სულისკვეთებით მისი წარმოჩენის მიზნების შესაბამისად.

შეეხო ეს ზღაპრებსაც, რომელთა ნატურალიზმის ელემენტები (მკვლელობა, ძალადობა და სხვ.) თანამედროვე მწერლებმა ამოკვეთეს და წარმოგვიდგინეს წითელქუდას და ა.შ. გაკეთილშობილებული ვარიაციებით.

მაგრამ დღეს მათი გაქრობის ჟამიც დადგა.

### იყო და არა იყო რა...

უნგრეთში გამოიცა მწერლების — **დოროთეა რედაისა** და **ბოლდისარ ნადის** წიგნი „ზღაპრები ყველასთვის“, რომლის მიზანი, ავტორთა განცხადებით, „ბავშვებისთვის ლამაზი და მრავალფეროვანი ცხოვრების“ ჩვენება იყო.

ამ ზეამოცანის განსახორციელებლად კლასიკური სიუჟეტები უცვლელად გაიმეორეს და „მხოლოდ“ მოქმედი გმირების სახეები შეცვალეს, რომლებიც დღევანდელ „პროგრესულ“ ტენდენციებს შეუფარდეს. კონკია ბოშად აქციეს, ბიჭად გარდაქმნეს, რომელსაც ბედმა გაუღიმა და მეფისწულს შეუყვარდა. შესაბამისად (როგორც ზღაპარშია), გეების ეს წყვილი ცხოვრობდა დიდხანს და ბედნიერად.

ამის ფონზე ფიფქიას მულატად გარდაქმნა წვრილმანია. გაცილებით მნიშვნელოვანია უნგრელი მწერლების მიერ თოვლის ბოროტი დედოფლის ლესბოსელად წარმოდგენა, ხოლო პოსეიდონს შეებრძოლება არა ვიღაც გმირი, არამედ — გმირი-ტრანსგენდერი; ზღაპრული ირემი ადამიანურ ენაზე ლაპარაკის უნარს გამოიყენებს, რათა გარშემომყოფებს აცნობოს, რომ არ ეთანხმება ადამიანების ქალებად და კაცებად დაყოფის პრინციპს.

ასეთმა შემოქმედებითმა თავისუფლებამ დიდი სკანდალი გამოიწვია ქვეყნის საზოგადოებაში, უნგრეთის პრემიერმინისტრმა **ვიქტორ ორბანმა** განაცხადა: **„უნგრეთი მომთმენი, ტოლერანტული ქვეყანაა ჰომოსექსუალების მიმართ, მაგრამ ყველაფერს აქვს ზღვარი და ამიტომ ვამბობ: თავი დაანებეთ ჩვენს ბავშვებს“.**

დოროთეა რედაი აქტიურად თანამშრომლობს ლგბტ-ორგანიზაციებთან, რომლებიც უნგრეთში საკმაო რაოდენობით არსებობს. მწერალი ქალბატონი თავის წიგნს განიხილავს, როგორც უკიდურეს მემარჯვენეთა შემოტევაზე პასუხს და თანაავტორთან ერთად მიიჩნევს, რომ თავიანთი „შემოქმედებითი ნაყოფის“ წინააღმდეგ დაწყებული კამპანია ძალიან ჰგავს ნაცისტების მიერ წიგნების დაწვას და სხვა არაფერია, თუ არა „კომუნისტური ცენზურა“.

მაგრამ ასეთი ცენზურის პირობებში პირველი გამოცემის 1500-იან ტირაჟს „ყველასთვის ზღაპრების“ მეორე გამოცემისას 15 ათას ეკზემპლარამდე ზრდიან.

### მოითხოვე და მოგეცემა

უნგრული ნოუჰაუ სიახლე არ არის: 2018 წელს აშშ-ის მედია იუწყებოდა, რომ ლოს-ანჯელესში დაიბეჭდა **დანიელ ჰააკის** ზღაპრები „მეფისწული და რაინდი“. საცოლის ძებნაში მეფისწული შეებრძოლა ცეცხლისმფრქვეველ ურჩხულს დამეგობრებულ რაინდთან ერთად. მათ გაერთიანებული ძალებით დაამარცხეს ავი ძალა. ერთობლივმა გამარჯვებამ წყვილი ისე დააახლოვა, რომ მეფისწულმა ცოლად შეირთო რაინდი. ავტორი აცხადებს, რომ მისი წიგნი ერთნაირ სქესიანთა „ოჯახებში“ მცხოვრები ბავშვებისთვის დაიწერა... აშშ-ისა და კანადის ჰეტეროსექსუალ მშობლებს ახალი თავსატეხი გაუჩნდათ — როგორ უნდა დაემტკიცებინათ ბავშვებისთვის, რატომ აირჩია ბიძია მეფისწულმა ცოლად ბიძია რაინდი. ამასობაში ზღაპრების გამამათმავლებულ გმირებს შეემატა მულტფილმების სერიალების — „ბობი ოთხკუთხა შარვლისა“ და „იხვების ისტორიების“ პერსონაჟები, სხვებიც კიდევ, მაგრამ მათი ჩამოთვლისგან თავს შევიკავებთ, რადგან, რაც დაგისახელეთ, ისიც გულისამრევია, ტენდენცია — საშიში, რადგან ზღაპრებისა და მულტფილმების მთავარი მოქმედი გმირები სულ უფრო მზარდ ინტერესს იჩენენ მამაკაცების საჯდომებისადმი.

გერმანულ ნაგაზებს შეხვდებით, პრაქტიკულად, ყველა სამსახურში, რომლებშიც ბრძანების შესრულებისას საჭიროა შეუპოვრობა, გონებამახვილობა, ორიენტაციის უნარი, ამტანობა და თვითმსხვერპლშეწირვაც კი. პოლიციელები, მეხანძრეები, მებაჟეები, მაშველები თავიანთი ოთხფეხა მეგობრის გამო მადლიერნი უნდა იყვნენ როტმისტრ მაქს ფონ შტეფანიცის, რომელმაც XIX საუკუნის ბოლოს გამოიყვანა ეს შესანიშნავი ჯიში.

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე ჭკვიანი ძაღლები




**ვანკუვერის (კანადა) უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორმა სტენლი კორენმა გამოსცა წიგნი „ძაღლების ინტელექტი“, რომელიც მალე იქცა ბესტსელერად. ეს წიგნი 16-ჯერ გამოიცა და 26 ენაზე ითარგმნა. სტენლი კორენი თავის წიგნში განიხილავს ძაღლის ინტელექტის სამ ასპექტს: ინსტინქტურ ინტელექტს, დამჯერობის ინტელექტსა და ადაპტაციის ინტელექტს. ინსტინქტური ინტელექტი ძაღლს აძლევს საშუალებას, შეასრულოს გენეტიკურად გადაცემული ფუნქციები, მაგალითად, მწყემსის ან დამცველის. ადაპტირებული ინტელექტი ვლინდება საკუთარი ძალებით ამოცანების შესრულებისას. დამჯერობის ინტელექტი — ეს არის ძაღლის უნარი სწავლებისადმი, შეასრულოს ადამიანის ბრძანებები.**

**სწორედ დამჯერობის ინტელექტი დაედო საფუძვლად ყველაზე ჭკვიანი ძაღლების სარეიტინგო სიას:**



## 1. ბორდერ კოლი

სარეიტინგო სიაში პირველია არც ისე დიდი, მაგრამ დაუჯერებლად ძლიერი და ამტანი ძაღლი სქელი ბეწვითა და ჭკვიანი თვალებით. შოტლანდიისა და ინგლისის საგრაფო ნორტუმბერლენდის მკაცრ მთიან პირობებში ბორდერ კოლმა გამოავლინა დაუჯერებელი უნარი სწავლისადმი და, რაც მთავარია, სურვილი, აეთვისებინა და ზუსტად შეესრულებინა ახალი ბრძანებები. ცხვრის დიდი ფარის მართვამ ამ ძაღლს განუვითარა არა მხოლოდ უშიშრობა, არამედ ანალიზისა და საუკეთესო გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარები. ბორდერ კოლის ჯიშის გაწვრთნილი ძაღლები აუქციონებზე იყიდება და საკმაოდ ძვირი ღირს, მათ შორის რეკორდსმენია ძაღლი სახელად მეგი, რომელიც ინგლისურმა კინოლოგიურმა ორგანიზაციამ 24 ათას დოლარად შეიძინა.



## 2. პუდელი

ეს ხუჭუჭა ძაღლი სამართლიანად ითვლება ჭკვიანად და სარეიტინგო სიაში მეორე ადგილი უკავია. ძაღლის ეს ჯიში ათასწლეულების განმავლობაში ცხოვრობდა ადამიანის გვერდით და მას ნადირობაში ეხმარებოდა. ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში პუდელებს ფრინველებზე სანადიროდ იყენებდნენ. ისინი ნადირობისას თავიანთ მაღალ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ავლენდნენ. დროთა განმავლობაში პუდელებმა დაკარგეს მონადირის ფუნქციები, მაგრამ შეინარჩუნეს მაღალი ინტელექტი. უკვე მრავალი წელია, პუდელები ცირკის არენაზე გამოდიან და ყოველ ჯერზე ამტკიცებენ, რომ ძალიან ჭკვიანი და მოხერხებული არიან. კინოლოგთა აზრით, პუდელს შეუძლია 50-დან 100-მდე სიტყვის გარჩევა და აქვს ადაპტაციის შესანიშნავი უნარი.





## 3. გერმანული ნაგაზი

გერმანული ნაგაზი ტყუილუბრალოდ არ ითვლება მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ ჯიშად. ეს არის ძლიერი და ამტანი ცხოველი, რომლის წინაპრებიც იყვნენ ინდური მგლები. გერმანული ნაგაზები გამოირჩევიან არა მხოლოდ შესანიშნავი დაცვითი თვისებებით, არამედ მაღალი ინტელექტითაც, რომელიც საშუალებას აძლევთ, შეასრულონ სხვადასხვა დავალება და ამოცანა. გერმანულ ნაგაზებს შეხვდებით, პრაქტიკულად, ყველა სამსახურში, რომლებშიც ბრძანების შესრულებისას საჭიროა შეუპოვრობა, გონებამახვილობა, ორიენტაციის უნარი, ამტანობა და თვითმსხვერპლშეწირვაც კი. პოლიციელები, მეხანძრეები, მებაჟეები, მაშველები თავიანთი ოთხფეხა მეგობრის გამო მადლიერნი უნდა იყვნენ როტმისტრ **მაქს ფონ შტეფანიცის,** რომელმაც XIX საუკუნის ბოლოს გამოიყვანა ეს შესანიშნავი ჯიში. აღსანიშნავია, რომ გამარჯვების აღლუმზე, რომელიც 1945 წელს გაიმართა მოსკოვში, სტალინის შინელისგან დამზადებულ (ეს განკარგულება თვითონ სტალინმა გასცა) ბალიშზე დაწვენილი მოჰყავდათ ლეგენდარული გერმანული ნაგაზი **ჯულბარსი,** რომელმაც დიდ სამამულო ომში 7 ათასი ნაღმი გააუვნებლა.



## 4. ოქროსფერი რეტრივერი

მაღალი ინტელექტისა და დამყოლი ხასიათის გამო ოქროსფერ რეტრივერს შეიძლება ვუწოდოთ ძაღლების სამყაროს „პროფესორი“ — დიდი და ბანჯგვლიანი ძაღლი კეთილგანწყობილია ადამიანის მიმართ და სიამოვნებით მეურვეობს და იცავს ბავშვებს. ოქროსფერი რეტრივერების სამშობლო შოტლანდიაა. ინგლისელები ძაღლის ამ ჯიშს ნადირობისას იყენებდნენ — მისი ამოცანა იყო მოეძებნა მოკლული ფრინველი და პატრონისთვის მიეტანა. ოქროსფერ რეტრივერს შეუძლია, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, შესანიშნავად გაერკვეს ადგილმდებარეობაში, ზუსტად შეასრულოს დასახული ამოცანა — ეს ყველაფერი მის მაღალ ინტელექტზე მიუთითებს. ბოლო ხანს ოქროსფერ რეტრივერებს სოციალური რეაბილიტაციის თერაპევტებად იყენებენ. მკვლევართა აზრით, სპეციალურად გაწვრთნილ ძაღლებთან ურთიერთობა ადამიანებს ფსიქიკური პრობლემების მოგვარებაში ეხმარება.





## 5. დობერმანი

სარეიტინგო სიაში მეხუთეა მძლავრი და ელეგანტური დობერმანი. სახელი მას დაარქვეს გერმანელი **კარლ ფრიდრიხ დობერმანის** პატივსაცემად, რომელმაც XIX საუკუნის ბოლოს შექმნა იდეალური სამსახურებრივი ძაღლი. პოლიციელად მუშაობისას დობერმანი ოცნებობდა ოთხფეხა მეგობარზე, რომელსაც ექნებოდა არა მხოლოდ დაცვითი უნარ-ჩვევები, არამედ მაღალი ინტელექტიც, რომელიც მას დაეხმარებოდა, სწრაფად შეესრულებინა პატრონის ბრძანებები და, თუ ის ახლოს არ იქნებოდა, მიეღო სწორი გადაწყვეტილებები. დობერმანი კარგად აანალიზებს და აკონტროლებს მის გარშემო შექმნილ ვითარებას, სწრაფად ითვისებს, რასაც ასწავლიან და აქვს კარგი ყნოსვა.



## 6. შელტი

ეს სიმპათიური ნაგაზი შოტლანდიის კუნძულებზე გამოიყვანეს — შოტლანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ჩრდილოეთის ზღვის საზღვართან. რბილბეწვიანი შელტი ერთგული, მშვიდი, მაგრამ საჭირო მომენტში აქტიური და მკაცრია. შედარებით მომცრო ტანის შელტებს უამრავ მოვალეობას აკისრებდნენ. ეს ნაგაზები ეხმარებოდნენ პატრონებს ცხვრის ფარის მწყემსვაში, დარაჯობდნენ ფერმებს, ებრძოდნენ პატარა მტაცებლებს, რომლებიც ცდილობდნენ, თავს დასხმოდნენ შინაურ ფრინველებს, მიჰყვებოდნენ პატრონებს შორეულ მოგზაურობაში. მიუხედავად იმისა, რომ შელტიმ დროთა განმავლობაში დაკარგა მწყემსის მოვალეობა, მაინც ადამიანების ერთგულ დამხმარედ დარჩა.

**მოამზადა ნიკა კორინთელმა**

ლეგენდა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ბუენოს-აირესთან ახლოს მდებარე ქალაქ ლანუსში დაბადებული და უკიდურეს სიღარიბეში გაზრდილი ბიჭი დღევანდელი ზოგიერთი „ვარსკვლავივით“, რომ იტყვიან, დიდ ფულს არ გაუგიჟებია და, როცა ჯერ კატალონიის „ბარსელონაში“, შემდეგ იტალიის ნეაპოლის „ნაპოლიში“ სათამაშოდ გადავიდა, წაიყვანა მთელი სანათესაო, ბავშვობის მეგობრები და იმდენი, რომ მარადონას გარშემო პატარა არგენტინა შეიქმნა.**

# დიეგო მარადონა — ფეხბურთის მეფე თუ ღმერთი?

**არსებობენ ადამიანები, რომლებსაც პირადად არ იცნობ, მაგრამ მათ გარდაცვალებას ისე განიცდი, როგორც საკუთარი ოჯახის წევრის, სისხლ-ხორცის წასვლას ამქვეყნიდან. ასეთი ადამიანები, როგორც წესი, ხელოვნების ან სპორტის კორიფეები არიან ხოლმე... რომელი ერთი გავიხსენო? იპოლიტე ხვიჩია თუ ეროსი მანჯგალაძე, დოდო აბაშიძე თუ ოთარ მეღვინეთუხუცესი, შოთა შავგულიძე თუ სერგო ზაქარიაძე და სხვები, რომელთა გარდაცვალებამ გული გვატკინა, ჯიგარი დაგვწვა და სულის ნაწილი წაიყოლა იმქვეყნად.**



წინამდებარე წერილის შექმნის მთავარი მიზეზი **დიეგო მარადონაა**, მაგრამ არ შემიძლია, არ ვახსენო ქართული ფეხბურთის მსოფლიო დონის ვარსკვლავები **მიშა მესხი** და **სლავა მეტრეველი** (რომლებმაც წერილის მთავარი გმირის სამშობლოში, არგენტინაში, ისეთი ფეხბურთი ითამაშეს, რომ მათი სახელები დღესაც ახსოვთ ხანდაზმულ არგენტინელებს), **ვიტალი დარასელია** და ჩვენი ყიფო **(დავით ყიფიანი)**, რომლის გარდაცვალებამაც თავზარი დამცა და მას შემდეგ სტადიონისკენ აღარც გამიხედავს, რადგანაც ყიფოსთან ერთად ჩემთვის ქართული ფეხბურთიც მოკვდა...

ფიქრობთ, კალამი გამექცა? არა, ბატონებო! ჯერ ჩემსას მივაგე პატივი და ახლა მხოლოდ **მარადონა**, რომლის გარდაცვალებამაც ისევე მატკინა გული, როგორც ქართული ფეხბურთის ზემოხსენებულმა ჯადოქრებმა. მარადონაც ძლიერ მეტკინა, რადგან ისიც ჩემად მიმაჩნდა. მეგონა, მარადონაზე ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ ამ დღეებში სხვადასხვა ტელეარხზე მის შესახებ გასულმა სიუჟეტებმა თუ ინტერვიუებმა ეს კაცი სხვა კუთხითაც დამანახვა და, სანამ დიეგოს ფენომენურ ფეხბურთზე ვიტყვი რამეს, მანამდე იმ „სხვა კუთხის“ შესახებ, რომელსაც სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი ჰქვია. და სწორედ დიდკაცობასთან შერწყმული დიდი ფეხბურთის გამო უყვარდათ არგენტინელებს თავიანთი ეროვნული გმირი — დიეგო მარადონა.

**ბუენოს-აირესთან ახლოს მდებარე ქალაქ ლანუსში დაბადებული და უკიდურეს სიღარიბეში გაზრდილი ბიჭი დღევანდელი ზოგიერთი „ვარსკვლავივით“, რომ იტყვიან, დიდ ფულს არ გაუგიჟებია და, როცა ჯერ კატალონიის „ბარსელონაში“, შემდეგ იტალიის ნეაპოლის „ნაპოლიში“ სათამაშოდ გადავიდა, წაიყვანა მთელი სანათესაო, ბავშვობის მეგობრები და იმდენი, რომ მარადონას გარშემო პატარა არგენტინა შეიქმნა.**

ეს ყველასთვის ცნობილი ფაქტია, მაგრამ დიეგოს ერთი საოცარი ქველმოქმედების შესახებ არაფერი მსმენოდა — ერთი პატარა ბავშვის საოპერაციოდ თანხის შესაგროვებლად „ნაპოლის“ ამხანაგური საქველმოქმედო მატჩი უნდა ეთამაშა ნეაპოლის ღარიბ გარეუბანში, მაგრამ ბოლოს კლუბმა უარი თქვა იმ მოტივით, რომ მილანის „მილანთან“ მნიშვნელოვანი მატჩი ელოდა. ჰოდა, მარადონამ, რომ იტყვიან, ფეხებზე დაიკიდა კლუბის ინტერესები, ხარჯი თვითონ გასწია, რამდენიმე თანაგუნდელიც აიყოლია და წვიმისგან ატალახებულ მოედანზე, რომელიც კარტოფილის ნათესებს უფრო ჰგავდა, ვიდრე საფეხბურთო მოედანს, გარეუბანში ადგილობრივ „ჭ“ კლასის გუნდთან ითამაშა. შედეგად ავადმყოფი ბავშვი სიკვდილს გამოსტაცა ხელიდან.

1989 წელს (უკვე მსოფლიო ჩემპიონი და და სკუდეტოს მფლობელი დიეგო „ნაპოლის“ რიგებში ბრწყინავდა) აშშ-ის ერთ-ერთმა პრესტიჟულმა სააგენტომ გამოკითხვა ჩაატარა, მსოფლიო მასშტაბით ვინ იყო ყველაზე პოპულარული პიროვნება (არა მხოლოდ სპორტში). გამოკითხვაში დიდი უპირატესობით მარადონამ გაიმარჯვა.

5 წლის შემდეგ, 1994 წელს, აშშ-ში მუნდიალი უნდა გამართულიყო და მარადონას ერთ-ერთ კომპანიასთან თანამშრომლობისთვის იმხანად ზღაპრული თანხა შესთავაზეს — 100 მილიონი დოლარი, ოღონდ ერთი „უმნიშვნელო“ პირობით — აშშ-ის მოქალაქეობა უნდა მიეღო... დიდმა დიეგომ ღირსეული პასუხი გასცა ამერიკულ ფულის ტომარას: არგენტინელობა, არგენტინის მოქალაქეობა შეუფასებელია, არ იყიდებაო. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის იმჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა **ჰენრი კისინჯერმაც** კი დაურეკა, მაგრამ, ხატოვნად თუ ვიტყვით, ის ფული დიეგომ სახეში მიაყარა გაზულუქებულ იანკებს...

ამ დემარშით მარადონა აშშ-ის პირადი მტერი გახდა და შედეგად... აშშ-ში გამართულ მუნდიალზე დიეგოს სისხლში დოპინგის მთელი კოქტეილი „აღმოუჩინეს“ და ფეხბურთის ჯადოქარი სამუდამოდ დაემშვიდობა ფეხბურთსა და ურიცხვ თაყვანისმცემელს. სიტყვა აღმოუჩინეს ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი, რომ ელემენტარული ლოგიკიდან გამომდინარე, არ მჯერა (ისევე, როგორც ბევრ სხვას) „ეფედრინის ზღაპრისა“, რადგან ჯერ კიდევ ნაპოლიში კოკაინის გამო დისკვალიფიცირებულმა მარადონამ მკურნალობის კურსი კუბაში **ფიდელ კასტროს** პატრონაჟით გაიარა და აშშ-ში გამართულ მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე ათასი თვალი და ყური რომ იქნებოდა მისკენ მიპყრობილ-ჩასაფრებული, შეუძლებელია, არ სცოდნოდა. და, თუ მართლაც აღმოაჩნდა სისხლში დოპინგი, ეს აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ მოწყობილ პროვოკაციას უფრო ჰგავს, ვიდრე რეალობას...

სხვათა შორის, მარადონა სიცოცხლის ბოლომდე დარწმუნებული იყო, რომ, რაც თავს გადახდა, სულაც არ იყო შემთხვევითი. მას შეკითხვები ჰქონდა არა, საზოგადოდ, აშშ-ის ხელისუფლებასთან, არამედ პირადად პრეზიდენტ **ბილ კლინტონსა** და მის ძმასთან, რომელიც 1989 წელს ბუენოს-აირესში ბრძანდებოდა მისიით, რომ აშშ-ში გასამართ მუნდიალამდე 5 წლით ადრე როგორმე მოეხერხებინა მარადონას გადაბირება.

ბუენოს-აირესში პრეზიდენტის ძმის ყოფნის შესახებ მარადონას მეგობარმა შეატყობინა და ცნობილი სერბი კინორეჟისორის, **ემირ კუსტურიცას**, ნათქვამის მიხედვით, მარადონამ სასტუმროში დაურეკა აშშ-ის პრეზიდენტის ძმას და შემდეგი განუცხადა:

**„ეი, შე მახინჯო! ჩემს ქალაქში ჩამოდიხარ, როდესაც მე არც ვაშინგტონში მიშვებენ და არც ნიუ-იორკში. დალახვროს ეშმაკმა! ვინ გგონია შენი თავი?“**

2007 წელს ვენესუელაში გამართულ სამხრეთ ამერიკის თასის გათამაშებაზე დიეგო მარადონა ფიდელ კასტროს წარმომადგენლის სტატუსით იმყოფებოდა. იგი ვენესუელის პრეზიდენტ **უგო ჩავესთან** მატარებლით ჩავიდა ბოლივიის პრეზიდენტ **ევო მორალესთან,** ნიკარაგუის პრეზიდენტ **დანიელ ორტეგასთან** ერთად.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო სამხრეთ ამერიკაში აშშ-ის საწინააღმდეგოდ განწყობილი სახელმწიფოების შეკრება. სახელმწიფოების, რომლებიც არ ექვემდებარებიან აშშ-ის დიქტატს, რომ იტყვიან, ჭირივით სძულთ იანკების იმპერია და ამიტომ აშშ-ის მუდმივი პოლიტიკურ-ეკონომიკური სანქციების ქვეშ არიან, მაგრამ მაინც არ ეპუებიან ამერიკელთა ბატონობას სამხრეთ ამერიკაზე.

დიეგო მარადონა არაერთხელ ყოფილა რუსეთში და პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინსაც** შეხვედრია, რომელსაც კერპად მიიჩნევდა. დიეგოს მტკიცედ სჯეროდა, რომ კოვიდ-19-ს სწორედ პუტინის რუსეთი დაამარცხებდა. ბოლოს ისიც განაცხადა, რომ ფიდელისა და ჩავესის გარდაცვალების შემდეგ, ევო მორალესი, დანიელ ორტეგა და ვლადიმერ პუტინი მსოფლიო პოლიტიკის უმაღლესი ლიგაა და რომ ვლადიმერ პუტინს ძალიან ბევრი ხალხისთვის შეუძლია მშვიდობის მოტანა...

1986 წელს მარადონამ, პრაქტიკულად, მარტომ მოიგო მექსიკაში გამართული მუნდიალი და, რაც მთავარია, ინგლისის ნაკრების დამარცხებით ინგლისელების მიერ ფოლკლენდის კუნძულების დაბომბვის შედეგად დაღუპული უამრავი ახალგაზრდა არგენტინელების გამო შური იძია. მატჩში, რომელშიც პირველი ბურთი „ღმერთის ხელით“ გაიტანა, ხოლო მეორე — 60-მეტრიანი დრიბლინგით ანგლოსაქსების თითქმის მთელი ნაკრების დარბევის შემდეგ. ეს გოლი საუკუნის გოლად აღიარა სამყარომ.

1990 წელს იტალიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ასევე მარტომ გაიყვანა არგენტინა გერმანიასთან ფინალში და, რომ არა მსაჯის მიერ მოგონილი პენალტი, იმ მუნდიალსაც მოიგებდა.

დასასრულ — პელე თუ მარადონა? ჩემი აზრით, მარადონა, რადგან, როცა პელე ბრაზილიის ნაკრებში თამაშობდა, მის გარშემო იმდენი მსოფლიო დონის ვარსკვლავი **(გარინჩა, დიდი, ვავა, რიველინო, ტოსტაო, ჟაირზინიო** და ა.შ.) იყო, რომ ბრაზილია პელეს გარეშეც გახდებოდა ჩემპიონი. ეს რომ ასე იყო, 1962 წლის ჩილეს მუნდიალმაც დაამტკიცა — პელემ პირველივე მატჩში მძიმე ტრავმა მიიღო, მაგრამ გარინჩასა და **ამარილდოს** მეთაურობით ბრაზილიამ მაინც მოიპოვა ჩემპიონობა.

ხატოვნად თუ ვიტყვით, ბრაზილიის ნაკრები ბრილიანტების ე.წ. ბაღჩა ბეჭედს ჰგავდა, რომლის ცენტრში პელეს სახით ძვირფასი და ელვარე ბრილიანტი იყო ჩასმული. და პელეს სწორედ მის გარშემო არსებული ბრილიანტები აძლევდნენ საშუალებას, ბრწყინვალედ ეთამაშა.

მარადონას კი პირიქით — გარშემო **ბურუჩაგასა** და **ვალდანოს** მსგავსი საშუალო დონის მოთამაშეები ჰყავდა; ფეხბუთელები, რომლებიც მარადონას დაღვრილი ოფლის წყალობით ატარებდნენ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. ერთადერთხელ, აშშ-ის მუნდიალზე იყო მარადონას გარშემო ვარსკვლავური შემადგენლობა (ბატისტუტა, ორტეგა და ა.შ., რომლებმაც მუნდიალის შემდეგაც დიდი ფეხბურთი ითამაშეს სხვადასხვა კლუბში) და იმ შემადგენლობით არგენტინას ჩემპიონობა უეჭველად უნდა მოეპოვებინა და ასეთ შემთხვევაში კითხვას — პელე თუ მარადონა? — აღარავინ დასვამდა, რადგან ფეხბურთს ახალი მეფე ეყოლებოდა. სხვა ყველაფერთან ერთად მუნდიალიდან მარადონას მოკვეთის მიზეზი ესეც იყო და ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ყველაზე კორუფცირებული ორგანიზაციის, ფიფას, პრეზიდენტი იმხანად ბრაზილიელი **ჟოაო აველანჟი** გახლდათ, რომელთანაც მარადონას, რბილად რომ ვთქვათ, დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა.

**დავით მხეიძე**

**1994 წელს აშშ-ში მუნდიალი უნდა გამართულიყო და მარადონას ერთ-ერთ კომპანიასთან თანამშრომლობისთვის იმხანად ზღაპრული თანხა შესთავაზეს — 100 მილიონი დოლარი, ოღონდ ერთი „უმნიშვნელო“ პირობით — აშშ-ის მოქალაქეობა უნდა მიეღო... დიდმა დიეგომ ღირსეული პასუხი გასცა ამერიკულ ფულის ტომარას: არგენტინელობა, არგენტინის მოქალაქეობა შეუფასებელია, არ იყიდებაო. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის იმჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმაც კი დაურეკა, მაგრამ, ხატოვნად თუ ვიტყვით, ის ფული დიეგომ სახეში მიაყარა გაზულუქებულ იანკებს**

**P.S. ამ დღეებში მარადონას ერთი ინტერვიუ წავიკითხე, რომელშიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა დიეგოს რატომღაც ეკითხებიან — რას იტყოდით საკუთარ დასაფლავებაზე? მარადონამ ასე უპასუხა: „რას ვიტყოდი საკუთარ დასაფლავებაზე? მადლობა, რომ ვთამაშობდი ფეხბურთს, რომელიც სიხარულსა და თავისუფლებას მანიჭებდა. ეს იგივეა, რომ ზეცა ხელით გეჭიროს. მადლობა ბურთს! ასევე დააწერეთ ჩემი საფლავის ქვას — მადლობა ბურთს!“ გარინჩას საფლავის ქვას აწერია: „მანე გარინჩა, ხალხის სიხარული“... ჩემი ნება რომ იყოს, მარადონას საფლავის ქვას ასეთ ეპიტაფიას გავუკეთებდი — „დიეგო არმანდო მარადონა — ფეხბურთის ღმერთი!“ მეფენი, როცა იქნება, კვდებიან, ღმერთები კი — არასოდეს! დააკვირდით — მარადონა ქართულად ასო-ასო ძალიან ახლოსაა სიტყვა მარადისობასთან, რომელშიც ახლახან გადავიდა ლეგენდარული ფეხბურთელი. მშვიდობით, მწვანე მინდორზე გენიალურო ფეხბურთელო და ცხოვრებაში დიდო კაცო!**

**„თუ მოვკვდები, კვლავ გამოვჩნდები ამქვეყნად, როგორც დიეგო არმანდო მარადონა. მე ვარ ფეხბურთელი, რომელსაც ბედნიერება მოაქვს ადამიანებისთვის, და ეს ჩემთვის საკმარისზე მეტია“.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ღმერთის ხელი» ზეცაში აფრინდა

## მარადონას გამორჩეული ციტატები ფეხბურთზე, ნარკოტიკებზე, რომის პაპსა და პუტინზე




**2020 წლის 25 ნოემბერს გული გაუჩერდა ფეხბურთის ლეგენდას, მსოფლიოში სახელგანთქმულ ფეხბურთელსა და მწვრთნელს, არგენტინელ დიეგო არმანდო მარადონას, რომელსაც ამა წლის 30 ოქტომბერს შეუსრულდა 60 წელი. მსოფლიოში უპოპულარესი ფეხბურთელის კარიერასა და ცხოვრებას ჩვენმა გაზეთმა 2018 წელს ვრცელი წერილი მიუძღვნა (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №42 (466), 21-27 ნოემბერი, 2018 წ.). ახლა კი გთავაზობთ მის ყველაზე ფრთიან გამონათქვამებს ცხოვრებაზე, ფეხბურთზე, ნარკოტიკებზე, რელიგიაზე, პუტინზე და სიკვდილზეც კი.**





მარადონას მიერ ხელით გატანილი ბურთი ინგლისელთა კარში



მარადონა ოჯახთან ერთად



მარადონა და მესი



მარადონა და ვლადიმერ პუტინი

დიეგო მარადონამ სახელი გაითქვა იტალიის „ნაპოლში“ თამაშით, მაგრამ არგენტინის ნაკრების მაისურით მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა (1986 წ.) და ვიცეჩემპიონობა (1990 წ.). მისი ცხოვრება ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა. მიუხედავად ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერისა, ის იტანჯებოდა ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულებისგან, მკურნალობდა ფსიქიატრიულში და ხშირად ხვდებოდა სკანდალებში. მარადონა ყოველთვის გამოირჩეოდა მწვავე გამონათქვამებით და ყოველთვის ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა.

აი, მისი ყველაზე ფრთიანი ფრაზები:

### ცხოვრებაზე არგენტინაში

* „მე ვარ ფეხბურთელი, რომელსაც ბედნიერება მოაქვს ადამიანებისთვის“;

*** „ამ ყველაფრისთვის რომ მიმეღწია, მთელი ცხოვრება მძიმე სამუშაოს ვასრულებდი. თუ ამ ფაქტს ვინმე უარყოფს, შეუძლია, უკანალზე მაკოცოს“;**

* „მე შემიძლია, ვიყო თეთრი ან შავი, მაგრამ ნაცრისფერი — არასოდეს“;

*** „არგენტინა — ეს მე ვარ“.**

### ფეხბურთზე

მარადონას ყველაზე მეტი გამონათქვამი აქვს ფეხბურთზე, სპორტულ კარიერაზე და ეს არ არის გასაკვირი, რადგან ფეხბურთმა მოუტანა დიდება.

*** „ფეხბურთი სიამოვნებისა და სიხარულის თამაშია, მოთამაშეებმა სტრესი არ უნდა გამოსცადონ. სტრესი — ეს არის მათთვის, ვინც მთელი ცხოვრება სამუშაო მაგიდას უზის“;**

* „თუკი ეს ხელი იყო, მაშინ ეს ღვთის ხელი იყო“, — თქვა მარადონამ თავის ისტორიულ გოლზე ინგლისის ნაკრების კარში 1986 წლის ჩემპიონატზე;

*** „აზრი არ აქვს კამათს, ვინ არის უკეთესი — მე თუ პელე, ნებისმიერი იტყვის, რომ მარადონა უკეთესია“;**

* „მწვრთნელები ვერასოდეს მოიგებენ მატჩს, ვინც უნდა იყოს ის, **გინდ მარადონა, გინდ მენოტი**, გინდაც **ბილარდო,** ნამდვილი გამარჯვებულები მხოლოდ ფეხბურთელები არიან“.

### ფეხბურთელებზე

*** „ათასობით ისეთი ბიჭი, როგორიც არის ბექჰემი, ე.წ. მესამე სამყაროს მტვრიან ქუჩებში თამაშობს“;**

* „ობამა უფრო უპასუხებს შენს ზარს, ვიდრე მესი“;

*** „რონალდუმ თქვა, რომ საუკეთესოა ისტორიაში, გადაეცით, ხალხს ნუ აცინებს“.**

### ნარკოტიკებზე

ბრწყინვალე სპორტული კარიერის მიუხედავად, მარადონა მოიხმარდა ნარკოტიკებსა და ალკოჰოლს, ზოგჯერ მატჩზეც კი მისულა გაბრუებული. მკურნალობდა, რათა თავი დაეღწია ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისგან.

*** „ნარკოტიკის პირველად გასინჯვის შემდეგ მალე ხვდები, რასთან მოგიწევს ბრძოლა ყოველდღიურად. ნარკოტიკი იწვევს ეიფორიას, თითქოს ახლახან მოიგე ჩემპიონატი. და აი უკვე ფიქრობ: რა მნიშვნელობა აქვს, რა მოხდება ხვალ, დღეს ხომ ჩემპიონი ვარ!“**

* „მე ყველაფერი გავაფუჭე, რაც მქონდა. ახლა უკვე მინდა, ოჯახური ცხოვრებით დავტკბე!“

*** „ფსიქიატრიულ კლინიკაში, სადაც ვმკურნალობდი, ერთი თავს ნაპოლეონად მიიჩნევდა, მეორე — სან-მარტინად. მე კი არავინ მიჯერებდა, რომ მარადონა ვიყავი“.**

### ოჯახზე

სამწუხაროდ, ნარკოტიკების, ალკოჰოლისა და ე.წ. მსუბუქი ცხოვრებისადმი სიყვარულმა დაღი დაასვა მარადონას პირად ცხოვრებას.

*** „ნარკოტიკების გამო ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვტოვე — ჩემი ქალიშვილების აღზრდა, ამას თავს ვერასდროს მივუტევებ“;**

* „მე ვაღიარებ მხოლოდ ორ შვილს — დალმასა და ჯანინს. დანარჩენები ჩემი ფულისა და შეცდომების შედეგია“;

* „დედაჩემს მიაჩნია, რომ საუკეთესო ვარ. მე კი არასოდეს ვეკამათები დედას“.

### რელიგიაზე

მარადონას არასოდეს დაუმალავს, რომ თავგადაკლული ქრისტიანია და ღმერთი ეხმარებოდა კარიერაში, მაგრამ ის უარყოფითად იყო განწყობილი ეკლესიის ხელმძღვანელების მიმართ.

*** „ღმერთმა კარგად თამაშის ნიჭი მომმადლა. აი რატომ ვიწერ პირჯვარს ყოველი თამაშის წინ, მოედანზე გასვლისას. ვფიქრობ, თუ ასე არ მოვიქცევი, მას ვუღალატებ“;**

* „ვატიკანი ჩემთვის სრული სიცრუეა!“

*** „დიახ, მე გავილაშქრე რომის პაპის წინააღმდეგ, ჩავედი ვატიკანში და დავინახე ოქროს სახურავი. და შემომესმა პაპის ლაპარაკი ღარიბი ბავშვების დახმარებაზე... მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, გაყიდე სახურავი, რაღაც გააკეთე!“**

### პოლიტიკოსებსა და პუტინის სიყვარულზე

დიეგო მარადონა არასოდეს ყოფილა პოლიტიკოსი და ამას ხსნიდა იმით, რომ არ შეუძლია მოჰპაროს რიგით ადამიანებს.

*** „ჩემს ქვეყანაში პოლიტიკოსები მდიდრდებიან, ადამიანები კი მათგან არაფერს იღებენ. ჩემთვის ბევრჯერ შემოუთავაზებიათ პოლიტიკაში წასვლა, მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობდი; იმიტომ, რომ არ შემიძლია, ხალხს მოვპარო“;**

* „მსოფლიოში პოლიტიკოსები არჩევნებში ფულით იმარჯვებენ. ფიდელმა კი ყველა დაამარცხა შაშხანით, იმიტომ, რომ მაგარია! მე მიყვარს კუბა!“

*** „ვლადიმერ პუტინი ჩემი კერპია. სახლში, კედლებზე ჩამოკიდებული მაქვს ფოტოგრაფიები. გვერდიგვერდ კიდია პუტინისა და ფიდელის ფოტოები“.**

### ...და თავის სიკვდილზე

„თუ მოვკვდები, კვლავ გამოვჩნდები ამქვეყნად, როგორც დიეგო არმანდო მარადონა. მე ვარ ფეხბურთელი, რომელსაც ბედნიერება მოაქვს ადამიანებისთვის და ეს ჩემთვის საკმარისზე მეტია“.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**P.S. ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა, 80 წლის პელემ, როცა მარადონას სიკვდილის შესახებ შეიტყო, განაცხადა: „ერთხელაც იქნება, მე და შენ ზეცაში ვითამაშებთ!“**

**კიდევ ერთმა არგენტინელმა ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ლიონელ მესიმ კი განაცხადა: „ძალიან სამწუხაროდ ყველა არგენტინელისა და სრულიად მსოფლიოსთვის, მარადონა ტოვებს ჩვენს სამყაროს, მაგრამ ის სულ არ მიდის, რადგან მუდამ იქნება ჩვენ გვერდით“.**

# პოლონეთისა და უნგრეთის პრემიერმინისტრები ევროკავშირის დაშლაზე ალაპარაკდნენ



მათეუშ მოროვეცკი და ვიქტორ ორბანი

**პოლონეთის პრემიერმინისტრი მათეუშ მორავეცკი ბუდაპეშტს ეწვია და თავის უნგრელ კოლეგა ვიქტორ ორბანთან ერთად ევროკავშირის 2021-2027 წლების ბიუჯეტზე იმსჯელა.**

პოლონეთმა და უნგრეთმა ევროკავშირის ბიუჯეტი წინასწარ დაბლოკეს, რადგან თანხის გაცემის იმ მექანიზმის წინააღმდეგ გამოდიან, რომელიც ემსახურება პრინციპს „თანხები კანონის უზენაესობის დაცვის სანაცვლოდ“. გერმანია, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა, ცდილობს, გამოსავალი იპოვოს შექმნილი ვითარებიდან.

პრემიერმინისტრი ვიქტორ ორბანი დაჰპირდა პოლონელ კოლეგას, რომ უნგრეთი არ დათანხმდება რამე შეთავაზებას და უკან არ გაიწვევს ბიუჯეტზე დადებულ ვეტოს, თუ პოლონეთი ამის წინააღმდეგი იქნება, „ჩვენ ერთად ვიბრძოლებთ“, — აღნიშნა ორბანმა.

მათეუშ მორავეცკიმ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ მექანიზმი, რომლის გამოყენებასაც ცდილობენ ევროკავშირელი კოლეგები, პოლიტიკურად მოტივირებულია და წარმოშობს განხეთქილებას, რომელიც ევროკავშირის დაშლას გამოიწვევს.

„ჩვენ კარგად ვიცნობთ ამ მექანიზმებს; ვიცით, როგორ შეიძლება თითოეული ნორმის ინტერპრეტაცია; ვიცით, რას გამოიწვევს ეს და ჩვენს მეგობრებს ევროკავშირიდან ვაფრთხილებთ, არ წავიდნენ ამ გზით“, — განაცხადა მორავეცკიმ და დასძინა, რომ ამ საკითხზე მჭიდრო კონტაქტი აქვს სლოვენიის პრემიერ **იანეზ იანშთან.**

**iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**



# პუტინს რუსეთის მოსახლეობის 67,7% ენდობა

**საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის სრულიად რუსეთის ცენტრის მონაცემით, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს რუსეთის მოქალაქეების 67,7% ენდობა.**

რესპონდენტებს სთავაზობდნენ, პოლიტიკოსების სიიდან აერჩიათ ისინი, ვისაც ენდობიან. გამოკითხულთა 67,7-მა პროცენტმა მიუთითა პრეზიდენტი, 28,6%-მა მას უნდობლობა გამოუცხადა. ამასთანავე, პუტინის მოღვაწეობა დადებითად შეაფასა გამოკითხულთა 61,6%-მა.

გამოკითხვა ჩატარდა 16-დან 22 ნოემბრის პერიოდში.

**rusnext.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**



# ბაიდენმა ძაღლთან თამაშისას ფეხი მოიტეხა

**28 ნოემბერს 78 წლის ჯო ბაიდენმა, რომლის გამარჯვებას აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპი არ აღიარებს, 2 წლის გერმანულ ნაგაზთან თამაშისას ფეხი დაუცურდა და ტერფი დაიზიანა.**

**ბაიდენს ორი მოტეხილობა აქვს და მომდევნო რამდენიმე კვირა სიარული ლიმიტირებულად შეეძლება,** — განაცხადეს ჯორჯ ვაშინგტონის საუნივერსიტეტო საავადმყოფოს სპეციალისტებმა.

# საქართველოში პურის მოხმარებამ 30%-ით მოიმატა

**პანდემიის პერიოდში, როცა მოსახლეობას ძალიან გაუჭირდა, საკვები პროდუქტების დიდი წილი პურმა ჩაანაცვლა. შესაბამისად, პროდუქტის მოხმარებამ 30%-ით მოიმატა, — განაცხადა „პურის მცხობელთა ასოციაციის“ თავმჯდომარე მალხაზ დოლიძემ.**

„პანდემიის პირველ ეტაპზე პურის მოხმარება 15-20%-ით გაიზარდა. ვგულისხმობ, მარტს, აპრილსა და მაისს, ხოლო პანდემიის დაწყებიდან დღემდე — 30%-ით. პურზე მოიმატა მოთხოვნამ ყველა ქვეყანაში, სადაც ძირითადი საკვები პროდუქტი პურია და ხალხს გაუჭირდა. გარდა ამისა, მარხვის პერიოდში პურის მოხმარება კიდევ უფრო მეტად მოიმატებს“, — განაცხადა დოლიძემ და დასძინა, რომ აუცილებელია, მთავრობამ ფქვილის ფასის სუბსიდირებაზე იზრუნოს, რათა პური არ გაძვირდეს.

**ცნობისთვის:** რუსული საექსპორტო ხორბლის ფასი რეკორდულ ნიშნულზეა. 1 ტონა ხორბალი 250-253 დოლარი ღირს.

**www.bpn.ge**





# შოტლანდიაში დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმი 2021 წელს ჩატარდება

**შოტლანდიის პირველმა მინისტრმა ნიკოლა სტერჯენმა განაცხადა, რომ სურს, 2021 წელს ჩაატაროს ახალი რეფერენდუმი ქვეყნის დამოუკიდებლობის შესახებ, — იუწყება გაზეთი The Times-ი.**

„შოტლანდიას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, აირჩიოს, იყოს თუ არა დამოუკიდებელი უკვე შემდეგი პარლამენტის მუშაობის პერიოდში“, — განაცხადა სტერჯენმა ITV Border-თან ინტერვიუში.

**2014 წლის რეფერენდუმში შოტლანდიელთა 55%-მა ხმა მისცა დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, მაგრამ ბრექსიტმა და იმან, როგორ ებრძვის ბრიტანეთის მთავრობა კოვიდპანდემიით გამოწვეულ კრიზისს, შოტლანდიელთა შორის დამოუკიდებლობის მომხრეთა რაოდენობა გაზარდა.**

ბოლო რამდენიმე გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ შოტლანდიის მოსახლეობა მხარს უჭერს დამოუკიდებლობას. ანალიტიკოსების ვარაუდით, შოტლანდიის ნაციონალური პარტია, სტერჯენის ხელმძღვანელობით, კარგ შედეგს მიაღწევს 2021 წლის მაისში გასამართ საპარლამენტო არჩევნებში.

**finam.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# საჩუქარი ქართველი მკითხველისთვის — ჰეგელის «ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე»

გერმანულიდან ქართულად ითარგმნა, დაისტამბა და უკვე იყიდება უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსის — გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე“. ეს საჩუქარი ქართველ მკითხველს რელიგიის დაუღალავმა მკვლევარმა, გერმანული ენიდან არაერთი ფილოსოფიური ნაშრომის მთარგმნელმა ვიქტორ რცხილაძემ და გამომცემლობა Carpe Diem-მა (დირექტორი ალექსანდრე ალადაშვილი) გერმანული „გოეთეს ინსტიტუტის“ დახმარებით გაუკეთეს.




წიგნი იყიდება თბილისში, მაღაზია „ლატერნაში“ (ცოტნე დადიანის № 7, სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“, მე-2 სართული) და რუსთაველის № 16-ში.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894